ეროვნული ბიბლიოთეკა

# გილოცავთ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დღეს!


# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

შაბათი, 26 მაისი, 2007 წელი.

№ 99 (5700)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika ფასი 50 თეთრი.




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბრძოლის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

## გუშინ, რუსთაველის პროსპექტზე

რუსთაველზე გუშინ დილიდან სამხედრო აღლუმის გენერალური რეპეტიცია მიმდინარეობდა.

რეპეტიციას თავდაცვის მინისტრი დავით კეზერაშვილიც დაესწრო. იგი სამხედროების მომზადებით კმაყოფილია.

აღლუმთან დაკავშირებით დედაქალაქის ზოგიერთი ქუჩა გადაკეტილი იყო.

დღეს საქართველოს დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით გამართულ საზეიმო აღლუმზე სულ 14 575 სამხედრო გამოვა. შეიარაღებული ძალები 11 075 ჯარისკაცით იქნება წარმოდგენილი, დანარჩენი 3 500 კი რეზერვისტია. მათ გაერთიანებული შტაბის უფროსი ზაზა გოგავა უხელმძღვანელებს.

რაც შეეხება მძიმე ტექნიკას, როგორც თავდაცვის სამინისტროში განაცხადეს, აღლუმზე 80 ერთეული „ლენდროვერი“, 12 ერთეული 152-მმ-იანი საარტილერიო დანადგარი, 14 ერთეული „კამაზი“ და 120 ერთეული „კრაზი“ იქნება წარმოდგენილი, სულ 245 ერთეული.

გარდა ამისა, თავდაცვის სამინისტრო 40 ერთეულ საფრენი აპარატის გამოყვანას გეგმავს, მათ შორის: 4 ერთეული „იროკეზი“, 14 ერთეული სამხედრო-სატრანსპორტო შვეულმფრენი, 8 ერთეული საბრძოლო შვეულმფრენი, 10 ერთეული მოიერიშე ტიპის თვითმფრინავი სუ-25 და 4 ერთეული სასწავლო-საბრძოლო თვითმფრინავი „ალბატროსი“.

②







ჯემალ კასრაძის ფოტო.

● 29 ქვეყანამ ყველაფერი აწონ-დაწონა, საღად განსაჯა და ერაყიდან ჯარები გამოიყვანა — გინდ ღალატი უწოდეთ ამას, გინდა პირის მოშლა, უპირველესი ჩვენი ქვეყნების ინტერესებიაო...



# გუშინ, რუსთაველის პროსპექტზე

(პირველი გვერდიდან)

დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით, დღეს დილის 05 საათიდან მოძრაობა გადაიკეტება რუსთაველზე, ფილარმონიიდან „ზემელამდე“, თავისუფლების მოედანზე, პუშკინის ქუჩაზე, ბარათაშვილის ხიდის მარცხენა პანდუსამდე.

შს სამინისტროს ცნობით, ასევე ჩაიკეტება ლესელიძის ქუჩა, დროის მცირე მონაკვეთით მოძრაობა მარჯვენა სანაპიროზე საპირისპირო მიმართულებით იქნება შესაძლებელი.





ალლუმის დამთავრების შემდეგ მოძრაობა გაიხსნება რუსთაველის პროსპექტზე და დაკეტილი დარჩება ორბელიანის მოედანი, თავისუფლების მოედანი, რუსთაველის პროსპექტისა და ჭანტურიას ქუჩის კვეთამდე არსებული მონაკვეთი.

ასევე 05 საათიდან გადაიკეტება ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონის მიმდებარე ცაბაძის ქუჩა საქართველოს თასის ფინალურ შეხვედრასთან დაკავშირებით.

მოძრაობა შეუფერხებლად იქნება ვარაზისხევის, მელიქიშვილისა და კოსტავას ქუჩებით, მთაწმინდისა და ვერის მიმართულებით ტრანსპორტი იმოძრავებს ბარნოვის ქუჩის გავლით ჭონქაძის ქუჩის მიმართულებით.

ქალაქში დამატებით გამოყვანილი იქნება პოლიციის თანამშრომლების ორი ასეული, რომელიც უზრუნველყოფს როგორც საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას, ისევე მოძრაობის უსაფრთხოებასაც.

**ინტერპრესნიუსი**

№ 99. შაბათი, 26 მაისი, 2007 წელი.

◎ განსჯა

# ვაიდა, სიმართლეა?!

## ისეთ „შახსეი-ვახსეის“ დაგიტრიალებთ, „თავო ჩემოს“ არაბულად გამღერებთო

**საქართველოში** ინტერნეტის მეშვეობით, „ერაყის ისლამური არმიის“ ხელმოწერით, მუქარის წერილი მოსულა. მისი 11 ასლი პერსონალურად დაეგზავნათ პოზიცია-ოპოზიციის წარმომადგენლებს, მათს შორის, პარლამენტის თავმჯდომარესაც.

მუქარის არსი ესაა — ან გაიყვანეთ ჯარები ერაყიდან, ანდა, ისეთ „შახსეი-ვახსეის“ დაგიტრიალებთ, „თავო ჩემოს“ არაბულად გამღერებთო. მოკლედ, ჯიჰადი — სალვთო ომი გამოგვიცხადეს.

უმრავლესობა-უმცირესობა შესანატრი ერთსულოვნებით, ირონიული შემწყნარებლობით მარცვლავდა, შეიძლება ეს პროვოკაცია იყოს, შეიძლება ხაკერებმა იმაიმუნეს, შეიძლება გაუგებრობააო...

კი, შეიძლება ასეც იყოს, მაგრამ შეიძლება სხვაგვარაც იყოს.

ერაყში ქართული ჯარის დამატებითი კონტიგენტის გაგზავნის საპრეზიდენტო ინიციატივის პარლამენტში განხილვის საკითხი რატომღაც გადაიდო. მიზეზად თავდაცვისა და უშიშროების საპარლამენტო კომიტეტის უფროსობის სრული შემადგენლობით პორტუგალიაში მივლინება დასახელდა...

რაკი ამგვარ იურიდიულ ნიუანსებში ვერ ვერკვევი, ამ მიზეზის მართებულობა-უმართებულობაზე ვერაფერს ვიტყვი, მაგრამ ის კი ვიცი, რომ პრეზიდენტის ნებისმიერი ინიციატივა პარლამენტმა, კანონით, 24 საათში უნდა განიხილოს. მერედა, რაღას შეჰქონდათ, თუ იცოდნენ, რომ მაინც ვერ განიხილავდნენ და ამით კანონს დაარღვევდნენ? ან რა ასე აუცილებელი იყო ზემოხსენებული კომიტეტის მთელი „ნაღების“ გამივლინება? ყოველი მათგანი მინიმუმ ტალეირანიაა, თუ ბიუჯეტს ფული „ყურებიდან უჟონავს?“ ეგებ, სულაც სპეციალურად მოაცილეს აქაურობას და შორეული პორტუგალიიდან გამოათქმევინეს დამცინავი შეხედულებები ხაკერთა, მავან ავყიათა შესაძლო უშნო ხუმრობასა თუ გაუგებრობაზე?

საერთაშორისო უმძლავრეს ტერორისტულ ორგანიზაცია ალ კაიდას, ვისთანაც მსოფლიომ ვერა გააწყო რა, სამიზნე არასოდეს ეშლება და არც არასოდეს ხუმრობს. იმდენი შემაძრწუნებელი სისხლიანი მაგალითის დასახელება შეიძლება, შესაძლოა, მხოლოდ გახსენებითაც გული შეუღონდეს კაცს. „ერაყის ისლამური არმია“ კი, ვისი ხელრთვაც „ამშვენებს“ მუქარას, თავის ქვეყანაში სწორედ „ალ კაიდას“ დასაყრდენია.



აშშ-მა ერაყში ისეთ ჭანჭრობში შეტოპა, ჯარი თუ დროზე არ გაიყვანა, ჩახრჩობა გარდუვალია. თურმე, თავად ბუშის ადმინისტრაციაში ამბობენ, ვისაც დროზე შეუძლია ღალატი, მას წინასწარმეტყველის ნიჭი აქვსო. ერაყში თავიდან 34-მა ქვეყანამ შეიყვანა ე. წ. სამშვიდობო ჯარების კონტინგენტი. ახლა იქ ხუთისღაა. თვით დიდმა ბრიტანეთმა, აშშ-ის ყველაზე ერთგულმა პარტნიორმაც კი, გაიყვანა კონტინგენტის ნახევარი. პრემიერის პოსტზე ბლერის შემცვლელი, როგორც ექსპერტები ამტკიცებენ, თავის მუშაობას სწორედ დარჩენილი მეორე ნახევრის გაყვანით დაიწყებს.

საქართველო კი თავის კონტინგენტს 2000 კაცამდე ზრდის. 29 ქვეყანამ ყველაფერი აწონ-დაწონა, საღად განსაჯა და ერაყიდან ჯარები გამოიყვანა — გინდ ღალატი უწოდეთ ამას, გინდა პირის მოშლა, უპირველესი ჩვენი ქვეყნების ინტერესებიაო...

მუქარის უშუალო „ადრესატთა“ და აზრის გამომთქმელთაგან მხოლოდ ირინა სარიშვილმა აღიქვა წერილი სერიოზულად და ირანის საელჩოშიც აპირებდა მისვლას, მაგრამ თავად ქალბატონი ირინას, მისი პოლიტიკური აგონიის სერიოზულად აღმქმელი თითქმის აღარავინაა.

ლევან ბერძენიშვილს კი ასეთი რამ მოუვიდა აზრად: შესაძლოა, ეს ხელისუფლების „შემოგდებული პაკეტი“ იყოს, რათა ხალხის ყურადღება ამაზე გადმოიტანოსო.

ვარაუდები, ვარაუდები, ვარაუდები...

ეგებ, მართლაც ვინმემ „გარეკა“ და ასე გვეოხუნჯა? ფსიქოლოგიაში ხომ ყოველ ქმედებას წინ განსჯა-გააზრება უძღვის, ანუ აზრის წარმოქმნისაგან მის განხორციელებამდე ხშირად ერთი ნაბიჯილაა. ე. ი. თავად ისიც არაა მთლად საქილიკო, როცა მავანის გონებაში ასეთი მუქარა ჩამოყალიბდება.

ამიტომ ჩვენმა ყოჩალმა უშიშროებამ უცილობლად უნდა გამოიძიოს და დაადგინოს, მართლაც რა არის ეს?

ვაიდა, სიმართლეა?

**კონსტანტინე გურგენიძე**

◎ ღვთის რისხვა?

# მენე, თეკელ, ფარეს!

**ბუნებაში შემთხვევით არაფერი ხდება. ყველაფერი მიზეზშედეგობრიობას ექვემდებარება, ისიც კი, ზედ რუსთაველზე აგური რომ ჩამოვარდეს და თავზე დაგეცეს!**

ჰოდა, რამდენიც უნდა იძახოს ხელვაჩაურის გამგებელმა, ამ ამბავს კუდს ნუ გამოაბამთო, შემთხვევითი დამთხვევააო, საყრდენი კედელი გამოეცალა და სახურავი ჩამოწვაო, ხალხს ვერ დააჯერებს, რომ მართლა შემთხვევით ჩამოინგრა ხელვაჩაურის გამგეობის შენობა და კინაღამ ადამიანები იმსხვერპლა (სამი ქალბატონი საავადმყოფოში მოხვდა).

რის შემთხვევითობა, ამ ამბავში სწორედაც განგების ხელი ურევია, უფალი სჯის მკრეხელებს, რომლებმაც ფერიის ეკლესიის მშენებლობა ხელყვეს, დაანგრიეს და ფეხით გადათქერესო, — ხმამაღლა ამბობს ერი და ბერი.

მართლაც, ასეთი „დამთხვევა“ არ გინდა?! — ორი კვირაც არ გასულა, რაც ხელვაჩაურის გამგეობის ბრძანებით ფერიის ეკლესია დაანგრიეს (ნეტა ვინ „მი-



უსადაგა“ ამ ღვთისგმობას დანგრევის ნაცვლად „დემონტაჟი“?) და აი, პირველ „მემონტაჟეებს“ ჭერი ჩამოექცათ. ახლა ვნახოთ, უფრო ზევით — ბათუმსა თუ თბილისში — ვის დაეჯახება ტროლეიბუსი, რათა უტყუარად დავკვალიანდეთ, რომ სწორედ ის იყო იმ მკრეხელობის ავტორი — „დემონტაჟის“ ბრძანება სწორედ მისგან მოდიოდა.

უხილავმა ხელმა ბალთაზარის სასახლის კედელზე უკვე დაწერა საბედისწერო სიტყვები: „მენე, თეკელ, ფარეს“!..

**ალექსანდრე ავალიანი**

● ალმაშფოთებელია, რომ სილნალში თსუ ფილიალი უქმდება, და მის ნაცვლად ტურისტული სკოლა იხსნება

ეროვნული ბიბლიოთეკა




◎ ფორუმი

# სააკაშვილი თურმე ოსიც ყოფილა, სომეხიც, აზერბაიჯანელიც, ებრაელიც და თანაც – ასპროცენტიანი ქართველიც

## დავიცვათ ერის სულიერი ფასეულობები!

**სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტმა“ საერთაშორისო სიმპოზიუმს „გლობალიზაცია და ცივილიზაციათა შორის დიალოგი“ უმასპინძლა.**

მისი მიზანი პრესრელიზში იყო ჩამოყალიბებული – მეოცე და ოცდამეერთე საუკუნეების მიჯნაზე მსოფლიო აგრესიულმა შეუწყნარებლობამ და ძალადობამ მოიცვა. ამიტომ დიალოგის, შემწყნარებლობის, კულტურული თვითმყოფადობისა და მრავალფეროვნების დაცვის პრინციპების გათვალისწინებით, უფრო მეტად უნდა განვითარდეს კულტურათა და ცივილიზაციათა ურთიერთობა, ხოლო ფორუმის მონაწილეებმა გაიზიარონო საქართველოში განსხვავებული რელიგიის, კულტურისა და ენის მშვიდობიანი თანაარსებობის მრავალსაუკუნოვანი გამოცდილება.

მონაწილეებს მიესალმა და სიტყვით გამოვიდა საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი. ამ თემას მან სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი უწოდა, რადგან საქართველო თავისი იდენტურობის ხელახალი აღმოჩენის პროცესში ყოფილა. თურმე, ბოლო ათწლეულში ხელახლა აღმოგვიჩენია წარსულის პერიპეტიები; საქართველო ოთხი წლის წინათ ჯერ კიდევ არშემდგარი სახელმწიფო ყოფილა, მოსახლეობას არ მიეწოდებოდა ელექტროენერგია, არ შენდებოდა ახალი გზები, სკოლები, არ შემოდიოდა ინვესტიციები. მთლიანი ეროვნული შემოსავალი, პრეზიდენტის თქმით, 2003 წელთან შედარებით, სამჯერ გაზრდილა. **„დამისახელეთ ქვეყანა, რომელსაც მოკლე დროში ასეთი წარმატებისთვის მიეღწიოს“,** – დაასკვნა სააკაშვილმა.

ამ საამაყო შესავლის შემდეგ, პრეზიდენტმა განსაკუთრებული თანადგომა აღუთქვა ეროვნული უმცირესობის წარმომადგენლებს. თურმე მისთვის ადრე სომხობა დაუბრალებიათ. **„ვისაც ეზიზღება სომხები საქართველოში, მე ვიქნები სომეხი, ვისაც ეზიზღება აზერბაიჯანელი მთავრობაში, ვიქნები აზერბაიჯანელი.**

**ამას წინათ აღმოვაჩინე, რომ ვარ ოსი და დიდი სიამოვნებით ვიქნები ოსი. რა თქმა უნდა, დიდი პატივი იქნება, რომ ვიქნები ებრაელი. მაგრამ ყველა ძალიან საეჭვო ადამიანზე მეტად ასპროცენტიან ქართველად დავრჩები“.**

ამ სიტყვებს დარბაზმა ტაში შეაგება, თუმცა პრეზიდენტმა აფხაზი რატომღაც არ ახსენა და შეიძლება ამით ისინი გაანაწყენა.

მიხეილ სააკაშვილმა აფხაზეთზეც გაამახვილა ყურადღება და ტრაგედია უწოდა 300 ათასი ქართველის დევნილობას: **„თუ ჩვენ დავუშვებთ, რომ XXI საუკუნეში არსებობს იდეოლოგია, რომლის მიხედვით ვიღაცას ეთნიკური ნიშნით სახლში არ აბრუნებენ, არა მხოლოდ ჩვენ აღარ ვართ სახელმწიფო, არამედ, საერთოდ, კაცობრიობას და მსოფლიო თანამეგობრობას სერიოზული პრობლემები აქვს. ორი თვის წინათ, გაგრის სკოლებიდან ყველა ქართული წიგნი გამოიტანეს და დაწვეს. სად არის თანამეგობრობა? რატომ არავინ ამოიღო ხმა“?**

მიხეილ სააკაშვილის თქმით, საქართველო, როგორც სახელმწიფო, შედგა თავისი მრავალეთნიკური, მრავალკულტურული იდენტურობის აღიარებით. ეს ჩვენი სისუსტე კი არა, სიძლიერეა, ასე შევძლებთ დიალოგის წარმართვას დანარჩენ სამყაროსთანო.

ფორუმის მონაწილეებს მიესალმა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II. მან გლობალიზაციისა და ინტეგრაციის პირობებში განსაკუთრებული ხაზი გაუსვა იმ სულიერი, კულტურული და ეროვნული ფასეულობების შენარჩუნებისთვის ძალისხმევას, რაც ქართველმა ერმა საუკუნეთა მანძილზე დააგროვა.

პატრიარქმა აღნიშნა, რომ მშვიდობიანი და მეგობრული ურთიერთობა სხვადასხვა რელიგიის მიმდევრებთან გაგრძელდება. **„მომავალშიც ყველაფერს გავაკეთებთ, ეს ბალანსი და მეგობრული ურთიერთობა რომ არ დაირღვეს“,** – თქვა მან.

ფორუმის – „გლობალიზაცია და ცივილიზაციათა შორის დიალოგი“ – ორგანიზატორები იყვნენ საქართველოს საგარეო საქმეთა, განათლებისა და მეცნიერების, კულტურის, სპორტისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროები, საგანმანათლებლო და შრომითი საქმიანობის ურთიერთდახმარების საერთაშორისო ფონდი, „დიალოგ ევრაზიის“ პლატფორმა.

ფორუმი საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის, იუნესკოს გენერალური დირექტორის კოიშირო მაცუურას პატრონაჟითა და მისი უწმინდესობის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II მხარდაჭერით გაიმართა.

**თამარ შაიშმელაშვილი**

◎ ინფორმაცია

### პატრიარქმა ათონელი ბერები მიიღო

სრულიად საქართველოს კათოლიკოს- პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ საპატრიარქო რეზიდენციაში საქართველოში სტუმრად მყოფი ათონელი ბერები მიიღო.

პატრიარქმა ბერებს საკუთარი საგალობლები მოასმენინა. სასულიერო პირებმა უწმინდესს ხელით ნაქარგი სამღვდელთმთავრო ოლარი და სხვა საჩუქრები გადასცეს.

ბერები საქართველოში ერთ კვირას დარჩებიან და სიწმინდეებს მოილოცავენ.

### დევნილები სასტუმროს არ ტოვებენ

სასტუმრო „ქუთაისიდან“ დევნილთა უმრავლესობა გამოსვლას არ აპირებს, რის გამოც გამორიცხული არ არის, შენობის მესაკუთრემ, ძალოვან სტრუქტურებს მიმართოს.

ქუთაისის მთავრობამ სასტუმრო, სადაც აფხაზეთიდან დევნილი 90 ოჯახი 1993 წლიდან ცხოვრობს, ორი წლის წინათ შპს „რეინტერ ინვესტს“ მიჰყიდა. 30 ოჯახმა კომპენსაციის მიღებაზე თანხმობა განაცხადა და შენობა უკვე დატოვა. 60 ოჯახი კი 4-ათასდოლარიანი კომპენსაციის ათი ათასამდე გაზრდას ითხოვს.

### გურამ შარაძის მიერ დაარსებულ მუზეუმს აუქმებენ?

„საქართველოს ლეიბორისტული პარტიის“ წევრ ნესტან კირთაძის თქმით, ხელისუფლება გურამ შარაძის მიერ დაარსებული ემიგრაციის მუზეუმის გაუქმებას აპირებს.

„ლეიბორისტების“ ოფისში გამართულ პრესკონფერენციაზე ნესტან კირთაძემ განაცხადა, რომ თსუ VIII კორპუსში განთავსებულ ემიგრაციის მუზეუმს გაუქმება, ფასდაუდებელ დოკუმენტებს კი ქუჩაში გამოძევება ემუქრება.

მისივე ინფორმაციით, მან და მისმა თანამოაზრეებმა „მსოფლიოს ყოველთა ქართველთა კონგრესსა“ და იუნესკოს მიმართეს დახმარებისთვის, რათა ემიგრაციის მუზეუმი არ გაუქმდეს.

გურამ შარაძის ძალისხმევით ემიგრაციის მუზეუმი 1994 წლის 10 ოქტომბერს გაიხსნა.

**ინტერპრესნიუსი**



◎ ინფორმაცია

### ერგნეთში ქალბატონი ნაღმზე აფეთქდა

ქართულ- ოსური კონფლიქტის ზონაში, სოფელ ერგნეთში საკუთარ ბაღში მუშაობისას 40 წლის მზია ჩუბინიძე ნაღმზე აფეთქდა.

დაშავებულის მდგომარეობა საკმაოდ მძიმეა, მას გორის საავადმყოფოში გაუკეთეს ოპერაცია.

რაც შეეხებათ ძალოვანებს, კომენტარები იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლებოდა ნაღმი აღნიშნულ ადგილზე მოხვედრილიყო, მათ ჯერ არ გაუკეთებიათ.

### უსამძიმრებენ რუსეთის საელჩოს

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ რუსეთის ფედერაციის საელჩოს გაუგზავნა ნოტა, რომლითაც კემეროვოს მხარის ნოვოკუზნეცკის მაღარო „იუბილეინაიაში“ მომხდარი ტრაგედიის გამო ღრმა მწუხარება გამოხატა.

საქართველოს საგარეო პოლიტიკური უწყება გულწრფელ სამძიმარს უცხადებს დაღუპულთა ოჯახებს.

რუსეთის ქალაქ ნოვოკუზნეცკის მაღაროში დაღუპულთა რიცხვი 28-მდე გაიზარდა.

მაღაროში მეთანის აფეთქების დროს სულ 217 ადამიანი მუშაობდა.

**ინტერპრესნიუსი**

◎ დარტყმა ზნელეთიდან

# თუ ეს რეფორმაა, ვაირეფორმა რაღაა?

## ვინ და რისთვისღა ისწავლის ქართულ ენას?!

**სიღნაღსა და ახალქალაქში თსუ ფილიალების გაუქმება კიდევ ერთი, დამატებითი მიზეზი გახდა საიმისოდ, რომ ქვეყანაში მიმდინარე განათლების რეფორმა საზოგადოების კრიტიკის სამიზნედ ქცეულიყო.**

ალმაშფოთებელია, რომ სილნალში თსუ ფილიალი უქმდება, და მის ნაცვლად ტურისტული სკოლა იხსნება (!). წელს დავიწყეთ პირველად ტურისტული კადრების მომზადება, ასეთი სკოლა სიღნაღში უკვე გავხსენით და ისინი მალე სხვა რაიონებსა და რეგიონებშიც გაიხსნებაო, „მოგვახარა“ ამ დღეებში საქართველოს ეკონომიკის განვითარების მინისტრმა გიორგი არველაძემ.

სწორედ მსგავს შემთხვევებში ამბობენ ხოლმე, კომენტარი სრულიად ზედმეტიაო...

25 მაისს, ამ საკითხის თაობაზე საგანგებო პრესკონფერენცია გამართეს საქართველოში მოქმედმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა. მათ შორის იყვნენ ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებიც, რომლებმაც დაგმეს განათლების სამინისტროს უსამართლო გადაწყვეტილება.

**ილონა ქოჩოი:** ჩვენ, ეთნიკურ უმცირესობათა წარმომადგენლებმა, გადავწყვიტეთ მივმართოთ განათლების სამინისტროს, არასამთავრობო ორგანიზაციებსა და საერთაშორისო თანამეგობრობას თხოვნით, შეჩერდეს სასწავლებლების გაუქმება რეგიონებში. ამას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს იქ მცხოვრები არაქართული მოსახლეობისთვის.

**ალექსანდრა კალატოზიშვილი:** განათლების სამინისტროს ამგვარი გადაწყვეტილება ჩვენთვის სრულიად მიუღებელია. თსუ ფილიალების გაუქმებით რეგიონში განათლების ერთადერთ წყაროს ვაუქმებთ. პრაქტიკულად, ხელს ვუწყობთ ემიგრაციულ პროცესებს, მოაზროვნე, ინტელექტუალი ახალგაზრდების გადინებას რაიონებიდან და საქართველოდანაც. თუ ადრე ეთნიკურ უმცირესობათა წარმომადგენლები საქართველოში ცდილობდნენ მიეღოთ უმაღლესი განათლება და ქართულ ენას საგანგებოდ სწავლობდნენ, ამგვარი „რეფორმის“ გამოისობით, ისინი თავიანთ ისტორიულ სამშობლოებში წავლენ განათლების მისაღებად და არც ქართული ენის საფუძვლიან შესწავლას მოინდომებენ.

**ლაშა ბლიაძე:** მინდა საზოგადოების ყურადღება კიდევ ერთხელ მივაქციო იმ ფაქტს, რომ ბოლო ხანებში საქართველოს რეგიონებში ერთმანეთის მიყოლებით აუქმებენ თსუ ფილიალებს. ხელისუფლება თითქოსდა ეროვნულ უმცირესობათა საზოგადოებაში ინტეგრაციისთვის ზრუნავს, მაგრამ, ამავე დროს, ის აუქმებს დედაუნივერსიტეტის ფილიალს რაიონში, სადაც კომპაქტურად ცხოვრობენ არაქართველები. ერთადერთი ალტერნატივა, რომელსაც სტუდენტებსა და პროფესორმასწავლებლებს სთავაზობენ, თბილისში საცხოვრებლად გადმოსვლაა. ალბათ, მოგეხსენებათ, რა მდგომარეობაა რეგიონებში, როგორ უჭირს იქ ხალხს მატერიალურად, თავისი სპონტანური გადაწყვეტილებებით კი განათლების სამინისტრო არღვევს ადამიანის უფლებებს ზოგადად, ეთნიკურ უმცირესობათა უფლებებსაც და იმ საერთაშორისო კონვენციებსაც, რომლებსაც მხარს უჭერს საქართველო. იმედია, საზოგადოება უყურადღებოდ არ დატოვებს ამ არასასურველ პროცესებს.

**ხათუნა ჩიგოგიძე**

# დღევანდელობა

● მაშ, რატომ უყვარდა ქართველ ხალხს, რატომ სცემდნენ თაყვანს? — იმიტომ, რომ ეროვნული გმირი იყო, გმირის ყველა თვისებით შემკული

ეროვნული ბიბლიოთეკა



◎ მამულიშვილი

ის გაჩენილი იყო ავთანდილად, არ ისწრაფვოდა პირველობისკენ, ამითი იყო მიუწვდომელიცა და პირველიც.

ნოდარ წულეისკირი

## „შენ უკვდავების ხარ ბინადარი“...

*„როდესაც ქართველი ერის ბედზე ფიქრობ, მრავალუცნობიან განტოლებას ხედავდე თითქოს, გგონია, აჰა, აღზევდა ერი, არწივივით მოედო ხსოვნის კაბადონს, მოიხილა მზემ. შედეგთა ასხმა წარსულიდან აწყმომდე, აწმყოსაც გასცდა და გაანათა გაურკვევლობით მოცული თვალსაწიერი მომავლისა. სინამდვილეში კი მატლივით უცოცია იქ, სადაც საქმე მყობადს ეხება“. — ასე უფიქრია წლების წინათ საქართველოს ეროვნულ გმირს მერაბ კოსტავას. ახლა კი, შეიძლება ითქვას, მავანთათვის დავიწყების ჩრდილი დასდგომია და ლამის მიჩქმალულა სიყვარული ისტორიისა. ნუთუ „წარსულზე ფიქრი მომავლისათვის მზაობასაც არ ნიშნავს“? ალბათ, არ ნიშნავს იმათთვის, რომლებიც მხოლოდ დღევანდელ დღეზე ფიქრობენ და მომავალი არ უწერიათ. მათ ხომ „დასათავთუხებელ ჯეჯილს ლახვარივით ჩასცეს სეტყვა“.*

**„ოდითგანვე ასე მოგვდგამს ქართველებს, დღენიადაგ ჩვენს სიმცირეს მივსტირით, რადგან მტერი აურაცხელი გვყავდა მუდამ, მაგრამ დიდი კაცი თუ გამოგვერია, ისე დავკორტნით, როგორც დაკოდილ ძერას ყვავები“.**

საქართველოს ბედს ჰგავდა მისი ცხოვრებაც — ტანჯული და მრავალნაგვემი. მერაბ კოსტავამ უძნელესი გზა გამოიარა, მრავალი წელი დაჰყო ციხეში, მრავალი — გადასახლებაში, მაგრამ ზნეობრივად გამარჯვებული დარჩა მუდამ, ბოლომდე შეინარჩუნა სულიერი სიმტკიცე.

როგორც მისი თანამედროვენი ამბობენ, ის იყო განათლებული, სტუმართმოყვარე, კარგი მეგობარი და მეზობელი...

მართალია, ის არც გამოჩენილი მუსიკოსი ყოფილა, არც გამოჩენილი მეცნიერი და არც გამოჩენილი მწერალი, თუმცა მშვენიერ ლექსებსაც წერდა და მუსიკალური განათლებაც ჰქონდა მიღებული. ჩნდება კითხვა: **მაშ, რატომ უყვარდა ქართველ ხალხს, რატომ სცემდნენ თაყვანს? — იმიტომ, რომ ეროვნული გმირი იყო, გმირის ყველა თვისებით შემკული.**

ასე დაგვანათლა ბუნებამ. ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყნის შვილები მუდამ ხმალშემართულნი უნდა ვყოფილიყავით, რათა გავმკლავებოდით გარსმოჯარულ მტერს. ერთ დამპყრობელს მუდამ ცვლიდა მეორე და ასე დაუსრულებლად. იყო საშიშროება ერის გადაგვარებისა, გადაშენებისა, მაგრამ სწორედ ასეთ დროს მოგვივლენდა განგება გმირს, რომელიც „სალათას ძილისგან“ გამოგვაფხიზლებდა, ამქვეყნიურ მოვალეობას შეგვახსენებდა, ჩაწიხლულ სულს დაგვიამებდა...

მკითხველი რეტროგრადობას დაგვწამებს უცილოდ. მაგრამ აკი ილია ამბობდა: „წარსული მკვიდრი საძირკველია აწმყოსი, როგორც აწმყო — მომავლისა“. ჩვენ კი ეს ყოველივე ბუნდოვნად გვახსოვს (ან გვახსოვს კი, საერთოდ?!) და არც ვცდილობთ, მოვიგონოთ წარსულის დღენი, დღენი თავისუფლებისა და ერთად ყოფნისა, საქართველოს ერთსულ და ერთხორც შეკავშირებისა.

26 მაისს მუდამ უნდა მოვიგონოთ ნაადრევად ჩამქრალი ვარსკვლავი, „ერის სინდისი“ — მერაბ კოსტავა, რომელმაც გასჭრა მყარი საძირკველი მომავალი საქართველოსი.

მერაბ კოსტავა — ჩვენი ახლო წარსული, ტკივილიანი, სევდიანი და თითქმის მივიწყებული, მაგრამ მაინც „შენ არ მომკვდარხარ, შენ გძინავს, მოქანცული ხარ ბრძოლითა“. „მწუხარე სახის რაინდი“, რომელმაც შეუბღალავი სახელი დატოვა გმირისა (რაც ნამდვილად იშვიათობაა), ხოლო თან წაიღო თავისუფლებისათვის მებრძოლი მამულიშვილის სახელი. **„მას უყვარდა საქმე და არა — თავისი თავი ამ საქმეში“.**

ალბათ, შემთხვევითი არ უნდა იყოს ის ფაქტი, რომ გმირი 26 მაისს დაიბადა, საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს. შეიძლება ითქვას, თავიდანვე „თოფის ლულაზე დაისვა ბედისწერამ“. ამიტომაც, „რადგან განგებას რომელი უყვარს, მასვე მოუვლენს სასტიკ განსაცდელს“... „სიკვდილი კი ყოველთვის როდია სიკვდილი. ზოგჯერ ის გვირგვინია. მერაბ კოსტავას ტანჯულ ცხოვრებას სიკვდილმა დაადგა შარავანდედი, დაულეწა ხორცი და ძვალი და აღუზევა სული“.

დაბოლოს, გმირები არ კვდებიან. მათ საუკუნედ უგრძელდებათ სიცოცხლე...

**„შენ სივრცეებმა**
**დაგაბინადრეს,**
**შენ უკვდავების**
**ხარ ბინადარი“...**

„საუკუნეებს ლეგენდად გაჰყვება ერთ დროს ტაბუდადებული შენი სახელი და გვარი: მერაბ კოსტავა, ეს პრესტიჟული ტიტული და წოდება: საქართველოს სიყვარულით მკერდგაპობილი რაინდი“.

სენეკას თქმისა არ იყოს: **„ჩვენთვის, ადამიანებისათვის საჭიროა იმისთანა კაცი, რომ მის მიხედვით და მაგალითით შევძლოთ საკუთარი ხასიათის გაწვრთნა და განმტკიცება. ო, რა ბედნიერია იგი, ვინც არამც თუ ჩვენთან ყოფნით გვწვრთნის ჩვენ, არამედ მარტო თავისის სახელის ხსენებითაც“...**

**ჟანა დარსალია,**
**მონიკა ჩოკორაია,**
**მასმედიისა და საზოგადოებრივი კომუნიკაციების ინსტიტუტის („მასკის“) სტუდენტები.**

◎ გვწერენ

## 26 მაისი მაინც სხვაა

**წლეულს, 9 აპრილს, ჩვენი პირველი პრეზიდენტის, ბატონ ზვიად გამსახურდიას მთაწმინდაზე დაკრძალვასთან დაკავშირებით, წარმოიშვა აზრი, რომ ამიერიდან ვიუქმოთ და ვიდღესასწაულოთ 9 აპრილი და არა 26 მაისი!**

ნუ ავჩქარდებით, კარგად მოვიფიქროთ და განვსაჯოთ. 26 მაისი 9 აპრილზე ნაკლები არაფრით არ არის და მას ღირსეული პატივი უნდა მივაგოთ. 1918 წელს თავისუფლება პირდაპირ „ხონჩით მოგვართვეს“, მაგრამ ვერ შევინარჩუნეთ და ვერც შევინარჩუნებდით, მაგრამ ეს დღე გულისტკივილით მუდამ უნდა მოვიგონოთ. ვიგონებთ კიდევაც! აბა საოკუპაციო მუზეუმი რისთვის შევქმენით? იუნკერებს და მათთან ვაჟკაცურად დაღუპულ მარო მაყაშვილს ვინ დაივიწყებს!..

9 აპრილზე კიდევ უფრო სისხლიანი იყო 1956 წლის მარტის ამბები. ესეც არ უნდა დავივიწყოთ. ორივე შემთხვევაში მსოფლიომ მხარი დაგვიჭირა. გაიგეს ვინ ყოფილა ქართველი ხალხი. ყოველ ისტორიულ დღეს პატივი უნდა მივაგოთ, 26 მაისი მაინც პირველია, დამოუკიდებლობის პირველი დღეა.

**ვაჟა სილაგაძე**

◎ კანონმდებლები

## რას მოგვცემს თავისუფალი ეკონომიკური ზონა?

**პარლამენტში რამდენიმე ხნის წინათ შევიდა მთავრობაში მომზადებული კანონპროექტი „თავისუფალი ინდუსტრიული ზონების შესახებ“. იგი თვით უმრავლესობის წევრებს შორისაც კი აზრთა სხვადასხვაობას იწვევს.**

თავისუფალი ეკონომიკური ზონა შემოფარგლული ტერიტორიაა, სადაც ქვეყნის დანარჩენ ტერიტორიასთან შედარებით შეღავათიანი ეკონომიკური რეჟიმი მოქმედებს. პროექტსი ავტორების აზრით, ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისთვის აუცილებელია ამ ზონებში დაწესდეს მოგების ნულოვანი გადასახადი. ოპონენტები კი სვამენ კითხვას, თუ ეს საკმარისია ეკონომიკური განვითარებისთვის, რატომ არ შეიძლება ეს მთელი ქვეყნის მასშტაბით გაკეთდეს? მათი აზრით, ამის რესურსი ბიუჯეტში ნამდვილად არის. თავისუფალი ეკონომიკური ზონებისთვის კიდევ ერთი შეღავათი ქონების გადასახადის გაუქმებაა. ოპონენტები ამასაც ქვეყნის მასშტაბით მოითხოვენ. კანონპროექტში აღნიშნულია, რომ ზონაში ანგარიშსწორება ნებისმიერი ვალუტით ხორციელდება. ოპონენტების აზრით, ეს ლარის ერთადერთ საგადამხდელო საშუალებად გამოყენებას შეუქმნის საფრთხეს.

**„თუ რამე შეღავათს მოვიფიქრებთ, გაცილებით უკეთესი იქნება, რომ ეს შეღავათი მთელი საქართველოს მასშტაბით განხორციელდეს, რათა მთელი ქვეყანა ერთნაირად ინტეგრირებულად განვითარდეს. თუკი, ვთქვათ, ფოთში შეიქმნა ასეთი ზონა და ანგარიშსწორებისთვის, ძირითადად დოლარს და ევროს გამოიყენებენ, ახალქალაქსა და მარნეულში, შესაბამისად, — დრამსა და მანათს. გარდა ამისა, ძალიან დიდი იქნება მეზობელი სახელმწიფოებიდან წამოსული დაფინანსება ამ ზონაში საქმიანობისათვის. მაგრამ ჯერჯერობით ტერიტორიული მთლიანობა ვერ აღგვიდგენია და რამდენად ვართ მზად ამისთვის? ამას დაფიქრება სჭირდება“,** — მიიჩნევს საპარლამენტო უმრავლესობის წევრი ლადო პაპავა.

ალსანიშნავია, რომ პროექტის ამოქმედება არ გამოიწვევს ბიუჯეტიდან დამატებითი ასიგნებების გამოყოფას, რაც იმას ნიშნავს, რომ მთავრობა თავისუფალი ეკონომიკური ზონის შექმნაში ფულის ჩადებას არ აპირებს. ასეთ შემთხვევაში, ცხადია, ზონის შექმნაზე ხარჯებს კერძო სექტორი და, თანაბარ პირობებში, უცხოელებიც გაიღებენ. ჩვენი ტერიტორიებით მათი დაინტერესება კი კანონპროექტის ოპონენტებს სახიფათოდ მიაჩნიათ.

**მზია ხურცილავა**

◎ ქრონიკა

## საკადრო ცვლილებები საქართველოს კონტროლის პალატაში

**საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარემ ლევან ჭოლაძემ უწყების დეპარტამენტების ხელმძღვანელებს კონტროლის პალატის თავმჯდომარის ახალი მოადგილეები ხათუნა კალანდაძე (პირველი მოადგილე) და ლევან მხეიძე წარუდგინა.**

**ხათუნა კალანდაძე** დაიბადა 1970 წელს, ქ. თბილისში; დაამთავრა ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართალმცოდნეობის ფაკულტეტი. 1994-2001 წლებში მუშაობდა საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო პროკურატურაში. 2001-2004 წლებში — საქართველოს გენერალურ პროკურატურაში სხვადასხვა თანამდებობაზე. 2004-2007 წლებში იყო საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარის მოადგილე. 2004 წელს მიენიჭა პირველი კლასის იურისტის წოდება, ფლობს ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებს.

ლევან მხეიძე დაიბადა 1976 წელს, ქ. თბილისში, დაამთავრა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო ბიზნესის ფაკულტეტი. 2004-2007 წლებში იყო საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ფინანსური პოლიციის ოპერატიული და საგამოძიებო დეპარტამენტების უფროსი. 2004 წელს აირჩიეს საქართველოს პარლამენტის წევრად. სხვადასხვა დროს მუშაობდა „თბილგაზში“, შპს „გაზმშენში“, ქ. თბილისის სამგორის რაიონის შს სამმართველოში. ფლობს ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებს.

**საქართველოს კონტროლის პალატის მასმედიასა და საზოგადოებასთან ურთიერთობის ბიურო**

◎ ინფორმაცია

## მართლა აფეთქებდნენ ნავთობსადენს?

**ენერგეტიკის** მინისტრი ნიკა გილაური ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის აფეთქების მცდელობის შესახებ ინფორმაციას არ ფლობს. ამის შესახებ მან გუშინ განაცხადა.

როგორც ცნობილია, თურქეთის სამართალდამცავმა ორგანოებმა ქალი კამიკაძე დააკავეს, რომელსაც ასაფეთქებელი ნივთიერება და ორი ხელყუმბარა აღმოაჩნდა.

დაკავებული, თურქეთის პოლიციის ცნობით, ბაქო-თბილისის-ჯეიჰანის ნავთობსადენზე ტერაქტის მოწყობას გეგმავდა.

**ინტერპრესნიუსი**



ეროვნული ბიბლიოთეკა

ასეა ეს. არა, ბატონო, ჰაერზე სულაც არა თქმულა, როგორც ზოგიერთს ეჩვენება, რომ რაც კარგები ვართ, უფრო სწორად, რაც მაგრები ვართ, ქართველები ვართ. მერე რა ვუყოთ, თუ ჩასარეცხებიც ბლომად გვირევია



## ◉ ერთი ახალი სენსაციის კვალდაკვალ

მართლა საოცარი არხია ეს „რუსთავი-2", რევოლუციურად ვმუშაობო, სწორედ ამ არხმა უნდა დაიკვეხოს. დაიკვეხნის და მართალიც იქნება. „ვარდების რევოლუცია" რა ამ არხმა არ მოახდინა (აბა, ხუთმილიონიან ვალს მარტო „ინტელექტუალური მხარდაჭერისთვის" ვინ სულელი ჩამოაწერდა!.. როცა ამისათვის სხვებს ეგრევე ციხეში სვამენ!). რაღა კიწმარიშვილის წვლილი და რაღა საააკაშვილის წილი ამ ქვეყნის გადატრიალების საქმეში... რა ვიცი, რომელი ერთი სიახლე თუ ახალი ამბავი ჩამოვთვალო, პირველად საქართველოში „რუსთავი-2"-მა რომ შეგვატყობინა. ბევრს არ გამოვეკიდები თუნდაც რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმერ პუტინის ამბავს გავიხსენებ. „რუსთავი-2"-მდე აბა, ვინ იცოდა, რომ პუტინს ბავშვობა კასპში, კერძოდ კი, სოფელ მეტეხში ჰქონდა გატარებული, რომ დედამისი იქა ცხოვრობს და და-ძმანიც იქა ჰყვანან. მე შენ გეტყვი, სხვა რუსებისგან განსხვავებით, ჩვენებური, ქართლური სიდინჯე არა ჰქონდეს! ისიც ხომ ყველასათვის ცნობილია, რომ ასევე სხვა რუსებისგან განსხვავებით, თუნდაც ელცინისგან განსხვავებით, სასმელში შიგ არ ვარდება, მაგრამ რაღაც დიდ საერთაშორისო წვეულებაზე თუ საჭირო გამხდარა სადღეგრძელოს თქმა, სადღეგრძელო აუცილებლად კასპის არყით შეუსვამს ანდა მეტეხური „ჩინურით" (ამბობენ, სადღეგრძელოებს თურმე თავისთვის ქართულად დუდუნებს ხოლმე). განა ეს უბრალო ამბავიც ცხადს არა ხდის ძალიან ბევრს რასმე უცხადოსა და დაფარულს?!.

აგერ ახლა კი ამ ჩვენმა „რუსთავი-2"-მა კიდევ ერთი გასაგიჟებლად ახალი სენსაცია გვახარა (24 მაისის „კურიერის" მეტეხურ რეპორტაჟზე მოგახსენებთ) — კასპიდან ყოფილა იტალიელი ტოტო კუტუნიოც, რომელიც მოუწვევიათ თუ არა საქართველოში, სიამოვნებით დათანხმებულა, რომ 26 მაისს ქართველებთან ერთად ეზეიმა ჩვენი დამოუკიდებლობა, თავისუფლება და დემოკრატია...

ამ გამოჩენილი მომღერლის რომიდან გამომგზავრების წინ იტალიურ გაზეთ „მესეჯეროში" დაბეჭდილა კუტუნიოს მცირე ინტერვიუ, რომლის თარგმანსაც ქვემოთ გთავაზობთ (თარგმანისთვის მადლობას მოვახსენებთ იტალიაში ქართული დიასპორის ერთ-ერთ წარმომადგენელს — თორნიკე შურღაიას, რომელმაც იტალიიდან თბილისამდე ტოტო კუტუნიოსთან ერთად იმგზავრა, რათა მონაწილეობა მიეღო როგორც ჩვენს ზეიმში, ისე უცხოეთის 40 ქვეყნის ქართული დიასპორის წარმომადგენელთა იმ შეხვედრაში, თბილისში 27 მაისს რომ გაიმართება).

# ტოტო კუტუნიო:

# კასპში აუცილებლად ჩავალ, კუტუნაანთა,

ანუ ღვინიაშვილებთან ვიმღერებ კიდეც, ღვინოსაც დავლევ... და „ფესტოსის დისკოზე" გაშიფრულ საგალობელსაც შევასრულებ...



*— ბატონო ტოტო, — ეკითხება იტალიელი ჟურნალისტი ცნობილ მომღერალს, — ალბათ, განსაკუთრებული გრძნობით მიემგზავრებით საქართველოში, რადგან, როგორც ცნობილია, მამათქვენი, რომელიც იტალიაში ებრძოდა ფაშიზმს, იქაურია. ასეა ხომ?*

**— რასაკვირველია, განსაკუთრებული და თანაც როგორი განსაკუთრებული გრძნობით... სულგანათლებულ მამაჩემს ხშირად უთქვამს, მეტადრე ღვინის სმის დროს, მე სტალინის ქვეყნიდან ვარო. გორთან ახლოს რომ კასპია, იქიდანაო. თან მეტეხს ახსენებდა ხოლმე, მგონი, სოფლის სახელი უნდა იყოს. იქ ჩემი სისხლი და ხორცი ღვინიაშვილები ცხოვრობენ, რომელთაც კუტუნაანთ ეძახიან. ჩვენი გვარი კუტუნიოც იქიდან წარმოდგება. მამაჩემი სინამდვილეში ღვინიაშვილი ყოფილა, მაგრამ, რადგან თურმე კუტუნაანი იყვნენ, იტალიაში კუტუნიობა ამჯობინა, უფრო იტალიურად ჟღერს. საერთოდ, როგორც ყველა ქართველი, მამაჩემიც ძალიან ნიჭიერი, ჭკვიანი კაცი იყო, იცოდა, როდის რა ნაბიჯი უნდა გადაედგა (თანაც კიდევ კუტუ ქართულადაც იგივე ყოფილა, რაც იტალიურად. როგორი დამთხვევაა?!). ასე რომ, ღმერთმანი, გულით მიმიხარია...**

*— 26 მაისს, რასაკვირველია, ვერ მოიცლით, დიდი კონცერტი გაქვთ, მაგრამ საერთოდ, ალბათ, კასპსაც მოინახულებთ.*

**— ცხადია, ჩემი ერთ-ერთი მთავარი მიზანი სწორედ ეგ არის. სულაც არ გამოვრიცხავ, რომ ჩემი ნახევარქართველობის ბრალია, თუ ასერიგად მიყვარს კარგი ღვინოც და კარგი სიმღერაც. იტალიასა და საქართველოს ურთიერთობა კი მამაჩემით არ დაწყებულა, ჩვენს წელთაღრიცხვამდე იწყება.**

*— რახან ძველი ურთიერთობა ახსენეთ, ხომ არაფერს გვეტყოდით იმ კოლხურ საგალობელზე, რომელიც იტალიელმა არქეოლოგმა ლუიჯი პერნიემ 1908 წელს აღმოაჩინა და „ფესტოსის დისკოს" სახელწოდებით არის ცნობილი. ისიც უთუოდ მოგეხსენებათ, რომ ამ დღეებში საქართველოში უკვე გაშიფრეს ეს დისკო.*

**— საქართველოდან მოსულმა ამბავმა „ფესტოსის დისკოს" გაშიფვრის თაობაზე ნამდვილად შემძრა. ხუმრობა ხომ არ არის თითქმის 4 ათასი წლის წინანდელი დისკოს გაშიფვრა. ამ ფაქტმა, მართლაც, შესაძლოა, მსოფლიო ისტორიის მდინარება შეცვალოს. მე აუცილებლად შევხვდები პროტოქართულ, ანუ კოლხურ ენაზე ამ დისკოს გამშიფვრელ ქართველ მეცნიერს — სენიორ კვაშილავას (ბოდიში, სახელი არ მაგონდება), რომელმაც დიდი შამპოლიონის გმირობა გაიმეორა (ეგვიპტურ იეროგლიფთა გამშიფვრელზე მოგახსენებთ) და იტალიელი პერნიეს ოცნება 100 წლის თავზე აახდინა. ქართველი ხალხი, როგორც ვხედავთ, მართლაც გამორჩეულად მაღალნიჭიერი და გაბედული ხალხია, თანაც უძველესი. ჯერ მარტო ის რად ღირს, რომ ოქროს დამუშავება კაცობრიობამ იქ ისწავლა და ეგრეთ წოდებული აბრეშუმის გზაც იქ გადიოდა, რაც ჩინურ-ქართული ურთიერთობის მითაუამინდელობას, ანუ ადამისდროინდელობას მეტყველებს. ამიტომაც არის, რომ ჩინელები ამჟამადაც ამ გზით მოგზაურობენ როგორც თვით საქართველოში, ისე მთელ მსოფლიოში. თუნდაც შუმერების ამბავი აიღეთ. მე მსმენია ამ საკითხში არტისტ ქაფიანოს დამსახურება (ჩანს, ჩვენი ძვირფასი ნახევარქართველი ტოტო კუტუნიო ბატონ ზურაბ ქაფიანიძეს გულისხმობს). შუმერებიც ხომ ქართველთა წინაპრები ყოფილან. ეტყობა, მთელი უძველესი სამყაროს ჭიპი მართლაც საქართველოშია (ეს აკი დოკუმენტურად დაამტკიცა კიდეც ვინმე მწერალმა გივი ალაზნისპირელმა და უზარმაზარი წიგნიც დაწერა, მსოფლიოს ჭიპი ხარაგოულშიაო. ხარაგოული, როგორც ვიცი, ზესტაფონთან უნდა იყოს ახლოს).**

*— ერთი სიტყვით, რაღა სიტყვა გავაგრძელოთ, ბევრი კარგი შეხვედრა მოგელით თქვენს უძველეს ქართულ ფესვებთან.*

**— ბევრი, ძალიან ბევრი. ვნახოთ, კასპში კუტუნაანთ იქნებ სულაც სენიორ კვაშილავასთან ერთად ვეწვიო და ორივემ ერთად შევასრულოთ იმ ჩემიანების ოჯახში „ფესტოსის დისკოზე" ჩვენს წელთაღრიცხვამდე 1850-1600 წლებში, როგორც უკვე საბოლოოდ გარკვეულია, პროტოქართულ, ანუ კოლხურ ენაზე ჩაწერილი საგალობელი. ასე რომ მე ძალიან ძველთაძველ ქვეყანაში მივდივარ სრულიად ახალი სიყვარულით, რომელიც, ვფიქრობ, ამ სტუმრობის შემდეგ კიდევ უფრო გამიღვივდება. რაც შეეხება „ფესტოსის დისკოს" ქართულ ასავალ-დასავალს, იტალიაში დაბრუნებისთანავე ამ ცნობას ქართული გაზეთიდან უთუოდ „მესეჯეროს" გადავაბეჭდინებ.**

**არ გამოვრიცხავ, რომ თბილისიდან იქნებ მოსკოვშიც ჩავიარო და პრეზიდენტ პუტინს შევხვდე. მერე რა ვუყოთ, რომ ის რუსია და მე იტალიელი, ამავე დროს ორივენი ხომ კასპიდან მოვდივართ...**

*ასე მთავრდება „მესეჯეროს" ფურცლებზე გამოქვეყნებული მთელ მსოფლიოში სახელგანთქმული მომღერლის ინტერვიუ.*

* * *

მკითხველს კარგად მოეხსენება, რომ არც პუტინი და არც კუტუნიო პირველები არ არიან, ვისაც თუნდაც რამდენიმე წვეთი, მაგრამ მაინც ქართული სისხლი უდგათ ძარღვებში. აბა, გადახედეთ ისტორიას... იქით ნაპოლეონიო, აქეთ პეტრე დიდიო, ის კი არა, ზოგი იმასაც ამბობს ჰიტლერის დიდი ბებია შავყვერიგლეჯიაშვილი იყო ახმეტიდანო (გუდის ყველიც, ჩანს, ამიტომაც ყვარებია). ან, ვინ იცის, იქნებ უმამაცესი გარიბალდიც ქართველი იყო. სიტყვა „გარიბალდი" ჩვენებურად ხომ ცხვრის ხუჭუჭა ტყავისგან დამზადებულ ბუხრის ქუდს ნიშნავს...

კიდევ ერთხელ მადლობა „რუსთავი-2"-ს რომ ქართველთათვის კიდევ ერთი ფრიად სასიხარულო ამბავი პირველმა გვამცნო და ათასგვარი მამულიშვილურ-პატრიოტული ფიქრები აგვიშალა...

ასეა ეს. არა, ბატონო, ჰაერზე სულაც არა თქმულა, როგორც ზოგიერთს ეჩვენება, რომ რაც კარგები ვართ, უფრო სწორად, რაც მაგრები ვართ, ქართველები ვართ. მერე რა ვუყოთ, თუ ჩასარეცხებიც ბლომად გვირევია.

არადა ნამდვილად კარგები და მაგრები რომ არ ვიყოთ, ეს იტალიელი იადონი ტოტო კუტუნიო თუნდაც ნახევარ ქართველობას დაიჩემებდა?!.

აუ, ალბათ, რა მოლოდინში და სამზადისში არიან კასპში კუტუნაანი!..

მოამზადა
**გურამ გოგიაშვილმა**

*P. S. იმის შემდეგ, რაც ჩვენი ძვირფასი სტუმარი კასპში ჩავა და თავისიანებს, ანუ კუტუნაანთ შეხვდება, იმ ამბავსაც წვლილად მოვუთხრობთ მკითხველს ჩვენი გაზეთის ფურცლებზე.*

გ. გ.

## ◉ წერილი რედაქციას

# ამბიციური აჟიოტაჟი

**ვინმე პაატა შამუგიას „ხელგანარჯის" განხილვას არ ვაპირებთ. ვწერთ მხოლოდ ჩვენში გავრცელებული ნიჰილიზმის გამო.**

ადრე ვცხოვრობდით აბსურდულ წესრიგში, ახლა კი გადავერთეთ აბსურდულ თავისუფლებაში. ყველას აქვს უფლება, წეროს ანტიპოეზია, ცუდიც კი, მაგრამ სნობიზმის გამო ჯეროვნად ვერ ვაცნობიერებთ, რომ თავისუფლება კულტურაა, რომ ჩვენივე სნობიზმით ხელს ვუწყობთ ხოლმე ახალგაზრდა კაცის ცდუნებას, რომელმაც, ეტყობა, ჩათვალა, რომ ჩვეულებრივი შემოქმედებით ვერ მიაღწევს თავისთვის სანატრელ პოპულარობას და იძულებულია, მიმართოს აჟიოტაჟის გამომწვევ ხერხს.

გავიხსენებთ თ. დოსტოევსკის ერთ-ერთი პერსონაჟის სიტყვებს, მიმართულს მეორე ცდომილი პერსონაჟისადმი: „перед горем твоим преклоняюсь".

**შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის რუსთველოლოგიის განყოფილების თანამშრომლები**



ეროვნული ბიბლიოთეკა



## ჩვენ

ამიტომ იდგა ანდრო 1956 წლის მარტის სისხლიან დღეებში თანატოლებთან ერთად მტკვრის სანაპიროზე. ტყვიას სასწაულებრივად გადაურჩა. 9 აპრილის ღამეც ხომ კოშმარად ექცა... ახლა კი, როცა სიცოცხლის სამოცდათხუთმეტწლიანი ტვირთით მხრები აქვს დამძიმებული, ისევ ახალგაზრდობის, მომავალი თაობის აღზრდის კეთილშობილურ ჭაპანს სწევს...



**ადამიანი დროში**

# კაცი, რომელიც აშენებს ქალაქს

*ჩემი თაობიდან ვინც აქამდე მოაღწია, თითქმის ყველას ბევრი უბედურება და ცოტა სიხარული ერგო წილად. დიდ სამამულოში, ამჟამად მხოლოდ მსოფლიო ომად რომ ნათლავენ (და ისე მეჩვენება, ამით მხოლოდ ომის კი არა, იქ დაღუპული ვაჟკაცების თავგანწირვის დაკნინება სურთ), ყოველი მეორე ან მესამე მაინც დაობლდა.სამაგიეროდ, ჩემი თაობა სულით და ხორცით ჯანსაღი იყო, პატრიოტობა და სიყვარული სახლშიც, საზოგადოებაშიც, უმაღლეს სასწავლებელსა და სკოლაშიც კი შეისისხლხორცა.*

ანდრო რურუას დედით ობლობა ერგო წილად და ჯერ კიდევ ჩვილს ბებიამ უპატრონა. შემდეგ კაცურკაცობის საგზალიც დაუდო და სიცოცხლეც ისე უშურველად დაახარჯა მის აღზრდას. პირველ რიგში ქართველობა შეასისხლხორცა, სინდის-ნამუსით შემოსა, რაც, დამეთანხმებით, საკმაოდ ძვირი მონაპოვარია, განსაკუთრებით დღევანდელობაში.

ჩვენი მიზანი იყო, წილი დაგვედო ძლიერი საქართველოს მშენებლობაში. ამიტომ იდგა ანდრო 1956 წლის მარტის სისხლიან დღეებში თანატოლებთან ერთად მტკვრის სანაპიროზე. ტყვიას სასწაულებრივად გადაურჩა. 9 აპრილის ღამეც ხომ კოშმარად ექცა... ახლა კი, როცა სიცოცხლის სამოცდათხუთმეტწლიანი ტვირთით მხრები აქვს დამძიმებული, ისევ ახალგაზრდობის, მომავალი თაობის აღზრდის კეთილშობილურ ჭაპანს სწევს...

ბიჭს სწავლის წყურვილი არ ასვენებდა. სკოლა ოქროს მედალზე რომ დაამთავრა, მისთვის ყველაფრის გამმეტებელმა ბებიამ ლამის მთელი საბადებელი გაყიდა, რომ ბიჭს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სადაც უგამოცდოდ ეპატიჟებოდნენ, გზა გახსნოდა. ამ გადასახედიდან კიდევ ერთხელ ვრწმუნდები, რომ მაშინდელ თაობას ცხოვრების მიმართ გაცილებით მეტი პასუხისმგებლობის გრძნობა ჰქონდა, ვიდრე ეს დღევანდელებშია.

უმაღლესი განათლებით ფიზიკოსი მეტალურგიაში მიავლინეს. იყო ასეთი წესი, (დღევანდელობაში დავიწყებული, მაგრამ თურმე მართლაც ოქროს წესი) კურსდამთავრებულის შრომით მოწყობაზე სასწავლებელი ზრუნავდა. ოღონდ ის კი გაუკვირდა, პრაქტიკის არმქონეს, გამოუცდელს ქარხნის მშენებარე „თბოელექტროცენტრალის" საქვაბეების საკონტროლო-საზომ ხელსაწყოთა და ავტომატიკის მონტაჟის მიმდინარეობის მეთვალყურეობა რომ დაავალეს.

ქარხნების ტექნოლოგიურ ციკლში ამ დარგს უმნიშვნელოვანესი როლი ენიჭება. მისმა გაუმართაობამ, მცირე უზუსტობამ შეიძლება კოსმოსური ხომალდივითააფრინოს ჰაერში უზარმაზარი კონსტრუქცია.

ანდრომ ირწმუნა საკუთარი თავის ძალა და დავალებასაც წარმატებით გაართვა თავი, მაგრამ მასში შემოქმედის გენი მეტი იყო, ვიდრე უბრალო შემსრულებლისა. ამიტომ იმხანად საქვეყნოდ ცნობილ ინსტიტუტს „ავტომატმრეწვს" მიაშურა, სადაც მეცნიერული ძიების დიდი პერსპექტივა იყო.

ახალგაზრდას, მუშა იქნებოდა ეს, ინჟინერი, მედიცინის, ხელოვნებისა თუ კულტურის მუშაკი, იმხანად უსათუოდ ოჯახი უნდა ჰქონოდა.

ჰოდა, ანდრო რურუამაც მოიწყო თავისი ბუდე. კახელთა სიძე გახდა. მისი მეუღლე, ქალბატონი ასმათი პედაგოგი იყო. სხვისი შვილებიც ხომ ღირსეულად ზარდა, თავისებიც დააფრთიანა. ორი ქალიშვილი ექიმი ჰყავს. მამის სეხნია ვაჟმა კი, ანდროს უმცროსმა შვილმა, მამის გზა აირჩია და ფრთა შეასხა ანდაზას, ის ურჩევნია მამულსაო. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, სამშობლოში მიღებული ცოდნა ირლანდიაში განავრცო. ჯერ ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი გახდა, შემდეგ დოქტორის ხარისხიც ისეთივე წარმატებით მოიპოვა. ახლა იქ ახალგაზრდებს ლექციებს უკითხავს, თან პირველმა გადო მეგობრული ხიდი ორ ქვეყანას შორის. ირლანდიელი მეცნიერები ქართველ კოლეგებთან დააკავშირა და დიდ მამულიშვილურ საქმეს აკეთებს. მოვლენებს გავუსწარი. შვილი ხომ მამამ დააკვალიანა, აზიარა და შეაყვარა მეცნიერის რთულ, მაგრამ ღირსეულ საქმეს...

რუსთავის „ავტომატმრეწვის" ინსტიტუტში ანდრო რურუამ თავიდანვე გააჩაღა შემოქმედებითი საქმიანობა. მისი ხელმძღვანელობით ჩამოყალიბდა საქართველოში პირველი ელექტრონული გამოთვლითი მანქანების ცენტრი. პარალელურად, ამ დარგში კადრების მომზადებაზე იზრუნა და რუსთავის ტექნიკუმში თვითონვე უკითხავდა სტუდენტებს ლექციებს, ხოლო შემდგომში თბილისის ტექნიკურ უნივერსიტეტში დაიწყო მოღვაწეობა. იმ დროს საბჭოთა კავშირს ვერ გასცილდებოდი და ამიტომ მოსკოვში მოუწია დისერტაციის დაცვა. იმავდროულად მონაწილეობდა დიდ საკავშირო თუ საერთაშორისო სიმპოზიუმებში, სადაც ფართო სამეცნიერო საზოგადოების წინაშე გამოდიოდა ლექციებით, რომელთაც უდიდესი პრაქტიკული ღირებულებები ჰქონდა.

ჯერ კიდევ განყოფილების გამგედ ყოფნისას, ანდრო რურუა ხელმძღვანელობდა რუსთავის მეტალურგიული კომბინატის მილსაგლინავი საამქროს „აგრეგატ-400"-ზე უნივერსალური მართვის ავტომატიზებული სისტემის შექმნას, რომელიც მაშინდელი საბჭოთა კავშირის მთელ რიგ ქარხნებშიც დაინერგა. და განა მარტო აქ, უცხოეთშიც დაინტერესდნენ ამ სიახლით. თუ რა სიკეთე მოიტანა ქართული მეტალურგიის ამ ახალმა ტექნოლოგიურმა სიტყვამ, ამის ჩამოთვლას აღარ შევუდგებით. ფაქტი ისაა, რომ ამ მნიშვნელოვანი სიახლისთვის მას საბჭოთა კავშირის სახელმწიფო პრემია მიანიჭეს. ამგვარ ჯილდოს ჰაიჰარად რომ არ იძლეოდნენ, ეს ყველამ იცის.

ბოლო ხუთი წლის მანძილზე მის მიერ ჩატარებული სამუშაოების ჩამოთვლაც კი ცხადყოფს, თუ რაოდენ ნაყოფიერია ანდრო რურუას, როგორც ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატის, საქართველოს საინჟინრო აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, ბიზნეს აკადემიის აკადემიკოსის შემოქმედებითი მოღვაწეობა. მისი ხელმძღვანელობით „ავტომატმრეწვში" შემუშავდა და შეიქმნა სამრეწველო საწარმოებში ენერგორესურსების მოხმარების კონტროლისა და აღრიცხვის ავტომატიზებული სისტემები. იგი ათობით სხვა მრავალი სიახლისა და სამეცნიერო ნაშრომის ავტორია. ასევე გახდა საერთაშორისო კონფერენციის „საიდენტიფიკაციო სისტემების მართვის ამოცნობა" საპროგრამო კომისიის წევრი, ასევე სამეცნიერო ჟურნალ „ინტელექტის" სარედაქციო კოლეგიის წევრი.

დიახ, სამეცნიერო კვლევითმა ინსტიტუტმა „ავტომატმრეწვმა", რომელიც საკავშირო იყო და საქართველოში ერთადერთი ფართო პრაქტიკული ასპარეზი გაუხსნა მეცნიერს, თვითონაც მრავალი საინტერესო ფურცელი ჩაწერა ამ შემოქმედებითი ტრადიციების მქონე კოლექტივის ცხოვრებაში.

შემოქმედმა კაცმა, ანდრო რურუამ მხოლოდ მეცნიერის სახელი არ იკმარა. იგი ფართოდ ჩაება ქალაქის საზოგადოებრივ ცხოვრებასა და საქმიანობაში და წლების მანძილზე დიდად ემამულიშვილებოდა მშობლიურ ქალაქს. თავის დროზე იყო მშრომელთა საზოგადოების დამფუძნებელი, რუსთაველის საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილე, რუსთავის დემოგრაფიული საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილე, საქალაქო საბჭოს მრავალი მოწვევის დეპუტატი. პარალელურად ლექციებს უკითხავდა რუსთავის ქიმიურ-მეტალურგიული ტექნიკუმის, პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტებს. მის მიერ აღზრდილი მეტალურგები, ქიმიკოსები, სხვადასხვა სპეციალობის ინჟინრები დღესაც დიდ საქმეებს არიან შეჭიდებულნი.

ანდრო რურუა ამჟამად თბილისის სახელმწიფო ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორია. 75 წლის შემოქმედებითი ღვაწლით მხრებდამძიმებული, ისევ ისე მკაცრი, პრინციპული და მომთხოვნია, ოღონდ ფრიად ლმობიერი და გულისხმიერიცაა იმათ მიმართ, რომელთაც შრომა არ ეზარებათ. დროის ფუჭად მკარგავებსა და მცონარეებს კი არ სწყალობს. არც ნაცნობობა ჭრის მასთან, ნიშანს წყალწყალა ცოდნაში არ წერს და არა მარტო სტუდენტებთან, ცხოვრებაშიც ასეა.

**ანდროს ბებიამ უპატრონა და მისი ლოცვა დაჰყვება ცხოვრების გზაზე. დღეს თვითონ ბაბუაა, ჯერჯერობით ორ შვილიშვილს მოძღვრავს, ერისკაცობის სულით აპურებს. რუსუდანი სტუდენტია, ხელოვნებას ეუფლება, ხოლო გიგის, თუმცა ჯერ პატარაა, ახლავე წერთნის მამულიშვილის სარბიელზე გასაფრენად. რურუების ჯიშისანი მალე კიდევ მომრავლდებიან, უმცროსი ანდრო სადაცაა დაოჯახდება და...**

**გივი ჯაჭუა**

**აუქციონი**

# ჰესებს ახალი მეპატრონე ჰყავთ

**სახელმწიფოს კუთვნილებაში მყოფი ობიექტების გასხვისება ეკონომიკური განვითარების სამინისტროში სრული სვლით მიმდინარეობს. უახლოესი აუქციონი მაისის ბოლო დღეს გაიმართება, მანამდე კი, 24 მაისს, მორიგი აუქციონი შედგა, რომელზეც 15 ობიექტი იყო გამოტანილი, თუმცა მათგან განაცხადი მხოლოდ რვაზე შევიდა. ობიექტების გაყიდვიდან სახელმწიფო ხაზინაში მიღებული თანხის ოდენობამ 3 მილიონ 344 ათასი დოლარი შეადგინა.**



ალსანიშნავია, რომ ყველაზე ძვირად სს „ჩხორჰესის" სახელმწიფო საკუთრებაში არსებული აქციების 73,91 აქციები გაიყიდა. 900 ათას დოლარად შეფასებული ობიექტის აქციები ბოლოს მილიონ 550 ათას დოლარად გასხვისდა. მისი ახალი მფლობელი შპს „ბონესერ თრეიდინგ ლიმიტედია", რომლის კონკურენტი იყო კომპანია „ბლოკ ჯეორჯია". გარდა აღნიშნულისა, შპს „ბოსენერ თრეიდინგ ლიმიტედმა" ასევე შეიძინა ქობულეთის რაიონის სოფელ კვირიკეთში მდებარე „კინკიშაჰესი".

**ოთარ ტურაბელიძე**

**ინფორმაცია**

## თბილისში გუდიაშვილის ბაღი გაიხსნა



თბილისის მერმა გიგი უგულავამ ძველი თბილისის რაიონში გუშინ განახლებული გუდიაშვილის ბაღი გახსნა.

„ეს ბაღი თბილისის ერთ-ერთი სავიზიტო ბარათი გახდება. ძველი ბაღის რეკონსტრუქციის შედეგად ადრინდელი დეკორაციების შენარჩუნება შევძელით. ძალიან ორიგინალურია შადრევანიც, რომელიც ღამე საუცხოოდ ლამაზია. გუდიაშვილის ბაღის მიმდებარე ტერიტორიაზე თბილისის ერთ-ერთი ტურისტული მარშრუტი გადის და ამ თვალსაზრისითაც აუცილებელი იყო მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა და გალამაზება", — განაცხადა გიგი უგულავამ პრეზენტაციაზე.

ბაღის შუაგულში ახალგაზრდა მოქანდაკის ირაკლი წულაძის ქანდაკება-შადრევანია დამონტაჟებული, სახელწოდებით „პირველი წვიმა". იგი ქოლგის ქვეშ შეფარებული შეყვარებულების ქანდაკებას წარმოადგენს.

ქანდაკება ბრინჯაოშია ჩამოსხმული და მასალის თანხები მოქანდაკეს ძველი თბილისის რაიონის გამგეობამ გამოუყო.

**ინტერპრესნიუსი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ცხოვრება

● ნუ გგონიათ, რომ 7,73 თეთრი მწირი თანხაა: გადაამრავლეთ იგი თქვენს მიერ თვეში მოხმარებული გაზის ოდენობაზე, შემდეგ ეს თანხა თორმეტჯერ გაზარდეთ და თავადაც დარწმუნდებით, თუ რამდენი დაგეზოგებათ წელიწადში



◎ ტარიფი

## ლუკმა გააჩლეს...

ზღვა კოვზით დაილიაო, ამბობენ. ძნელი წარმოსადგენი კია ამ პროცესის რეალურად განხორციელება, მაგრამ რაღაც ჭკუასთან ახლოს მყოფი აზრი რომ არის ამ თქმაში გატარებული, ესეც უდავოა.

ჩვენი არნახულად გაძვირებული ცხოვრების პირობებში ბევრს, ალბათ, რამდენიმე თეთრი სულაც არაფრად მიაჩნია და არც გაემტყუნება: ყველაზე იაფფასიანი საგანი — ასანთის კოლოფი — ხუთი თეთრი ღირს. ჰო, კიდევ სამედიცინო ამომწოვ სალბუნსაც ასევე ხუთ თეთრად (ხშირად, ხურდაში) მოგართმევენ სოკოებივით მომრავლებულ კომერციულ აფთიაქებში.

ამიტომ, ერთი შეხედვით არც 8-9 თეთრია დიდი ბედენა, მაგრამ, ცნობილი კომიკური პერსონაჟის მაკარ კოტრიაშვილის სიკეთისა არ იყოს, მილიონს კაპიკიც რომ აკლდეს, მილიონი აღარ იქნებაო. ჰოდა, იმას მოგახსენებდით, რომ ორი კოლოფი ასანთის ფულიც რომ ერთი მეორეს დაემატება და თუნდაც მცირე შეღავათის სახით დაგროვდება, შეჭირვებული მოსახლეობისთვის ესეც შვება იქნება.

თუმცა, რომ იტყვიან, კალამი ოდნავ გამექცა და ახლა მთავარ სათქმელს მოგახსენებთ. ყველამ მშვენივრად უწყის, რომ პირველი მაისიდან, სემეკის გადაწყვეტილების თანახმად, საქართველოში გაზის ახალი სამომხმარებლო ტარიფი ამოქმედდა, რომლის სიმძიმე მოსახლეობამ უკვე იგრძნო. გაზის ქვითრებში ახალი ტარიფის შესაბამისად გაზრდილი თანხებია მითითებული (არადა, ჯერ, მოგეხსენებათ, მხოლოდ სანახევროდ!), მოიმატა პურის ფასმაც, აღარაფერს ვამბობ დანარჩენ გაძვირებულ პროდუქტებზე.

აქვე იმასაც მივაქცევ მკითხველის ყურადღებას, რომ გაზაფხულსა და ზაფხულში გაზსაც, ელექტროენერგიასაც შედარებით ნაკლებს მოვიხმართ, თქვენ შემოდგომასა და, მით უმეტეს, ზამთარში ნახეთ! ამდენად, გაზის გადიდებული ტარიფის გადახდა ქვეყნის მოსახლეობას მძიმე ტვირთად დააწვება (ნურც ის დაგვავიწყდება, რომ ხელისუფლების ტყით სარგებლობის ახალი, ხალხისთვის აშკარად არახელსაყრელი პოლიტიკის წყალობით, ახლა ტყეში შეშას მოჭრის კი არა გაყინულ-გათოშილი შვილების პატრონი, ლობიოს შესადგმელ ჭიგოსაც ვერ გამოიტანს ქართულ-ჩინურ-იტალიურ თუ სხვა ჯურის კომპანიების სქელჯიბოსანთა უნებართვოთ, რომლებიც საქართველოს ტყეებს დაეპატრონენ).

გაზის ტარიფის მომატება მძიმე ტვირთად დააწვება, უწინარესად, ქვეყანაში ისედაც მცირე რაოდენობით მომუშავე საწარმოებს, რომლებიც ბუნებრივ გაზს მოიხმარენ. ამდენად, მეტად მნიშვნელოვნად წარმოგვიჩნდება ჩვენში სოლიდარობის ცენტრის მიერ მომზადებული საკანონმდებლო წინადადება, რომელიც ბუნებრივი გაზის იმპორტისა და მიწოდების დამატებული ღირებულების გადასახადისგან გათავისუფლებას ითვალისწინებს. ამდენად, ახალი ტარიფი ერთ კუბურ მეტრ გაზზე 8-9 თეთრით უნდა შემცირდეს რეგიონების მიხედვით, რომლებიც, როგორც ცნობილია, ახლა განსხვავებულ საზღაურს იხდიან მოხმარებული საწვავის საფასურად. სოლიდარობის ცენტრმა სთხოვა საქართველოს პარლამენტის დეპუტატებს, მხარი დაუჭირონ ამ წინადადებას, რადგანაც იგი თითოეული მოქალაქის ინტერესებშია.

ბოლოს მხოლოდ ორიოდე ციფრს შემოგთავაზებთ, პატივცემულო მკითხველო. თბილისში არსებული გადასახადისთვის დღგ-ს „გამოკლება“, დედაქალაქში მოსახლეობის მიერ მოხმარებული ერთი კუბური მეტრი გაზის საფასურს 50,62 თეთრიდან 42,89 თეთრამდე, ანუ 7,73 თეთრით შეამცირებს.

**ნუ გგონიათ, რომ 7,73 თეთრი მწირი თანხაა: გადაამრავლეთ იგი თქვენს მიერ თვეში მოხმარებული გაზის ოდენობაზე, შემდეგ ეს თანხა თორმეტჯერ გაზარდეთ და თავადაც დარწმუნდებით, თუ რამდენი დაგეზოგებათ წელიწადში.**

**ოთარ ტურაბელიძე**



◎ საკურორტო სეზონი იხსნება

## ახალგაზრდებს ზღვაზე გარუჯვა უკვე მოუსწრიათ

### აჭარა მეზობელი ქვეყნების დიდ ინტერესს იწვევს

ასე ჩქარა არ ველოდი, მაგრამ თბილისში უკვე გამოჩნდნენ შავ ზღვაზე გარუჯული ახალგაზრდები. თითქოს ჯერ ძალიან არ ცხელა, მით უმეტეს გაზაფხულმა დაიგვიანა და მზემ თავიც მოგვანატრა, მაგრამ ახალგაზრდებს ყველაფერი ეჩქარებათ და უკვე გასარუჯად აჭარას მიაშურეს. თუ დავუკვირდებით, ეს ნაბიჯი მართლაც ჭკვიანურია, ახლა დამსვენებელს გაცილებით იაფად შეუძლია დაისვენოს კურორტზე, ზღვაზე გავიდეს, ფიჭვნარში ისუნთქოს ჟანგბადითა და იოდით გაჯერებული ჰაერი და სასტუმროში ან დაქირავებულ ბინაში ნაკლები თანხაც გადაიხადოს.

უკვე დაიწყო აჭარის საკურორტო პოტენციალის რეკლამა არა მარტო საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში, არამედ ყოფილ მოკავშირე რესპუბლიკებში ტელევიზიის, ინტერნეტისა და საინფორმაციო ცენტრების მეშვეობით. აჭარაზე მალე დაიწყება სარეკლამო რგოლის ჩვენება აზერბაიჯანის სამ და სომხეთის ორ სატელევიზიო არხზე.

გარდა ამისა, ჩვენი მეზობელი აზერბაიჯანის დედაქალაქ ბაქოში აჭარის უმშვენიერესი ხედებით დამშვენებული სარეკლამო ლაითბოქსები დაიდგმება, აქტიური სარეკლამო საქმიანობა არის გაჩაღებული უკრაინაში, სადაც ნაციონალურ ტურისტულ ორგანიზაციასთან თანამშრომლობით სხვადასხვა სახეობის სარეკლამო ტურები განხორციელდება.

შავი ზღვისპირეთის უბადლო რეგიონის აჭარის ღირსეული იმიჯის შესაქმნელად დაგეგმილია საერთაშორისო ტურისტული გამოფენები, ასევე სარეკლამო პრესტურების მოწყობა ადგილობრივი და უცხოელი ჟურნალისტებისთვის.

აჭარას, უკვე მაისიდან მოყოლებული ივლისის ჩათვლით, ესტუმრებიან ჟურნალისტები და დაინტერესებული ტურისტული სააგენტოები აზერბაიჯანიდან, უკრაინიდან, ირანიდან, თურქეთიდან. გარდა ამისა, აჭარაში ტურიზმის გაფართოებით დაინტერესდნენ და მის საკურორტო პოტენციალს გაეცნობიან სპეციალური ტურისტული ფირმები ბალტიისპირეთიდან, ისრაელიდან, აშშ-იდან, შვედეთიდან და სხვა ქვეყნებიდან.

სტუმრების მოლოდინშია აჭარა და იგი ღირსეული დახვედრისთვის ემზადება. მასპინძლობის საუკეთესო ტრადიციებიდან გამომდინარე, აჭარის ხელისუფლებამ კარგა ხანია, რაც მომავალი სეზონისთვის დაიწყო ზრუნვა. ბათუმში სელიმ ხიმშიაშვილის პროსპექტის ბოლომდე, ფაქტობრივად ზღვისპირა პარკის მთელ ტერიტორიაზე, მიმდინარეობს აგროტექნიკური, სარემონტო-სამშენებლო სამუშაოები. მთლიანად განახლდა განათების სისტემა.

დასასვენებელი პარკი ნამდვილ ბაღნარად გადაიქცევა. უჩვეულო გასართობები, სხვადასხვა ტიპის ატრაქციონები კიდევ უფრო მომხიბვლელს გახდის საკურორტო ქალაქს.

დიდი სამუშაოები მიმდინარეობს ქობულეთსა და ჩაქვში. საკურორტო ზოლში გალამაზდა და შეიღება შენობების ფასადები, მოეწყო და განახლდა ოთხი სკვერი საბავშვო ატრაქციონებით. დაწყებულია სამი მინისტადიონის მშენებლობა. ქობულეთში გამშვენიერდა რუსთაველის ქუჩა, ხოლო ალმაშენებლის ქუჩა დამშვენდა ნარგავებით, შეკეთდა გზები, ბორდიურები, დამონტაჟდა ღლის განათება.





მთელი აჭარა აქტიური საკურორტო სეზონის დაწყების მოლოდინშია. დამსვენებლებს აქ ელოდებათ მრავალი ახალი სასტუმრო, იშვიათი გასართობები, ცხელი მზე, ლურჯი ზღვა და ულევი სიხარული.

**ლალი ძინძლაძე.**

◎ მხარე

## კახეთის გამგეობებში ფინანსურ დოკუმენტაციას სწავლობენ

კახეთის მუნიციპალიტეტის გამგეობების ფინანსურ დოკუმენტაციას საშემოსავლო სამსახური ბოლო ერთი კვირაა სწავლობს. კულუარებში იმასაც ამბობენ, რომ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გივი ბუჩუკური დააკავეს.

ამის შესახებ ინფორმაციას ოფიციალურად არავინ ადასტურებს. დაკავების ფაქტს კატეგორიულად უარყოფს საკრებულოს პრეს-მდივანი ანა ბენაშვილი რომელიც აცხადებს, რომ ფინანსური პოლიცია ისევე, როგორც მთელს კახეთში, დედოფლისწყაროს საკრებულოშიც გეგმიურ შემოწმებას ახორციელებს. იგი იქვე იმასაც დასძენს, რომ ამ ეტაპზე არც ერთი თანამდებობის პირის პასუხისმგებლობის საკითხი არ დაუყენებიათ...

როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, გივი ბუჩუკური სარწყავი მილების გაუჩინარებასთან დაკავშირებით 50-მდე ადამიანთან ერთად მოწმის სახით დაკითხეს, მათ შორის იყო რამდენიმე მაღალჩინოსანი. ასევე დაიკითხა ჯართის ბიზნესში ჩართული ყველა ადგილობრივი პირი.

დედოფლისწყაროში მითქმა-მოთქმა არ ცხრება საკრებულოს თავმჯდომარის დაკავებასთან დაკავშირებით. კახეთში მოქმედი არასამთავრობო სექტორი და ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლები მიიჩნევენ, რომ შესაძლოა, ბუჩუკურის დაკავების შესახებ ხმები ჭორი იყოს, რაც მისი დაკითხვის გამო გავრცელდა, თუმცა, როგორც ამბობენ, „კვამლი უცეცხლოდ არ ჩნდება“...

**ილია მარტყოფლიშვილი.**

კვირაძალი

● ჩვენი ერის სოციალურ-პოლიტიკური არსებობისათვის ყურძნის მტევანივით ლამაზად შეკრულ-აწყობილ სახელმწიფოს და დამოუკიდებლობასაც, ჩვენდა სავალალოდ, ახლავე აედევნენ შავი ღრუბლები



ყოველკვირეული ლიტერატურულ-პუბლიცისტური ჩანართი №103

№ 99. შაბათი, 26 მაისი, 2007 წელი.



# 1918 წელი, 26 მაისი...

## სიტყვა სრულიად საქართველოს კათოლიკოზ-პატრიარქ კირიონ II-ისა

„ეს არს დღე, რომელ ჰქმნა უფალმან, ვიხარებდეთ და ვიშვებდეთ ამასა შინა“
(ფს. 117, მუხ. 25).

დიდება ღმერთსა სრულმყოფელსა, ყოვლისა კეთილისასა!

დიდი ისტორიული დღე გაგვითენდა, 26 მაისი სამუდამოდ და საშვილიშვილოდ დარჩება ფრიად მნიშვნელოვან დღედ, აღსრულდა ჩვენი უდიდესი ნატვრა, ჩვენ ნეტარხსენებულთა წინაპართა მუდმივი ლტოლვილება. ღმერთმა განუსვენოს იმ თავდადებულ მამულიშვილებს, რომელთაც თავი შესწირეს სამშობლოს კეთილდღეობისათვის და თავგანწირულად იბრძოდნენ ჩვენი ქვეყნის განთავისუფლებისათვის. დიდის წვალების შემდეგ იშვა ჩვენი თავისუფლება მაც გამოგვზარდა ჩვენ და კაცად გვაქცია. როდესაც კაცს უბედურება თავზედ დაატყდება, დაჰკარგავს მას, ველური კაცის ხარისხზედ ჩამოდის იგი. და ობლის კვერივით გვიან გამოცხვა.

მადლობა ღმერთს! ასი წლის მონობის ბორკილი აეხსნა მრავალტანჯულ ქართველ ხალხს. ესე უდიდესი აქტი ერთხმად მიიღო ყველა წოდების ქართველმა, მიუხედავად პარტიებისა და რწმენისა. აღსრულდა მუდმივი ნატვრა საქართველოსი. 26 მაისს, 5 საათზე, გაისმა პირველი თავისუფალი სიტყვა თავისუფალ საქართველოში, მაგრამ ნუ დავივიწყებთ, რომ თავისუფლება და დამოუკიდებლობა გვაკისრებს დიდ ზრუნვას და დიდ მოქალაქეობრივ სიბრძნე-სიფხიზლეს თხოულობს ჩვენგან.

ერთობაში არის ძალაო, ამბობენ და თუ ასეა, ეხლანდელი მომენტი, მით უმეტეს, მოითხოვს ყველასაგან ძმურ შეერთებას და შრომას.

თავისფლება ის წმინდა და ტკბილი დედის ძუძუა, რომელმონობისთანა მწარე ხვედრი დედამიწამ არ იცის. თავისუფლებას ბინა აქვს თავისუფალი კაცის გულში. იგი დამაგვირგვინებელია ჩვენი ცხოვრებისა. თავისუფლება ღვთიური ნიჭია.

ჭეშმარიტი მამულიშვილი მოვალეა, თუ პოლიტიკური გარემოება მოითხოვს, იარაღით ხელში დაიცვას მამაცმა მამულიშვილმა მოპოვებული თავისუფლება. „კაცი ჯაბანი რითა სჯობს, დიაცსა ქსლისა მბეჭდველსა და სჯობს სახელისა მოხვეჭას, ყოველსა მოსახვეჭელსა“, — ამბობდა უკვდავი შოთა.

მაშ, გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს!

გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს ხალხს!

გაუმარჯოს ყველა იმ ერებს, რომელნიც ჩვენთან ერთად იცხოვრებენ თავისუფალ საქართველოში!

(ამ დროს საქართველოს პატრიარქმა საზეიმო ვითარებაში აღმართა ეროვნული დროშა, რასაც ხალხის ხმამაღალი ოვაციები და მხურვალე ტაში მოჰყვა).

მიიღეთ ეს უძველესი ბაირაღი, რომელიც დიდის სიფრთხილით დაცული იყო ერთს ქართულ ოჯახში და რომელიც არა ერთხელ ჩვენ წინაპართა ძლევა-მოსილი მოუტანიათ სამშობლოში, — გაუფრთხილდით მას, როგორც ეროვნულ სიწმინდეს.

ლოცვა-კურთხევა და მადლი უფლისა ჩვენისა გიძლოდეთ და მარად ჰფარავდეს ქართველ ერს! ამინ!

# თავისუფალ საქართველოს ეკლესიის ძეთა და ასულთა მიმართ ეპისტოლე სრულიად საქართველოს საკათოლიკოზო საბჭოსი

საქართველოს ეკლესიის ძვირფასნო ძენო და ასულნო, მადლი თქვენდა და მშვიდობა ღვთისა მიერ მამისა ჩვენისა და უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი!

გაგვითენდა! როგორც არის, ცა გაგვეხსნა! ბოლოს ჩვენთვინაც დაირეკა ბრწყინვალე აღდგომის სალიტანიო მხიარული ზარები! საქართველო აღდგა, ჩვენი სათაყვანო სამშობლო უკვე დამოუკიდებელ სახელმწიფოდ არის გამოცხადებული!

როგორც მკვდრეთით აღდგომილმა ქრისტემ თვისის საფლავის კარიდან გადააგორა ლოდი, ისე დღევანდელმა საქართველომ მოიხსნა მონობა, ასის წლის განმავლობაში მძიმე ლოდად რომ აწვა მკერდზე, ულმობლად რომ ბორკავდა მას და უსულო ცხედარს ამსგავსებდა...

ასეთი ბედნიერება მინდორში არ გვიპოვია. ამას მივაღწიეთ, როგორც კურთხეულის ქართველი ერის მედგარის და გონგიერის ხანგრძლივი მეცადინეობით, ისე ჩვენი იესო ქრისტეს წყალობით, ჩვენი სამშობლოს დაუცხორმელის მეოხის, ყოვლად წმიდა ღვთისმშობლის ფარვა-მცველობით, ჩვენი სულიერის დედის, — მოციქულთა სწორის, ნონოსი და ჩვენის სისხლისა და ხორცის დიდებული მოწამეების — არჩილისა, ლუარსაბისა და ქეთევანის — საქართველოს კეთილდღეობისათვის მარად-დღე ღვთის წინ მხურვალე შუამდგომლობით!

ქება და სახელი შენ, ქართველო ერო, დიდება და თაყვანისცემა, ტკბილო იესო, ყოვლად წმიდით დედით შენითურთ, მადლობა და შვილებრივი სიყვარულით მარად ხსენება თქვენ, ჩვენნო გაუქრობელნო სულიერნო ლამპარნო, მოციქულო ნინო, დავით აღმაშენებელო, უკვდავო თამარ, ქეთევან და სხვანო!..

საყვარელნო! ხშირად ბრწყინვალე მზეს ღრუბლები ეფინებიან და აბნევენ ხოლმე. შემოსულ ყურძენს ესევიან წასახდენად ქურდები და ოთხფეხები, აგრეთვე საამოდ მობიბინე ჯეჯილს ეტანება ხოლმე ამოსაგდებ-მოსაძოვად ნახირი.

ჩვენს მზესაც, — ახლად შეძენილს თავისუფლებას, — ჩვენი ერის სოციალურ-პოლიტიკური არსებობისათვის ყურძნის მტევანივით ლამაზად შეკრულ-აწყობილ სახელმწიფოს და დამოუკიდებლობასაც, ჩვენდა სავალალოდ, ახლავე აედევნენ შავი ღრუბლები და ნისლი, ახლავე ამოუჩნდნენ შიგნით და გარეთ მტრები წარმტაცნი, შურითა და უსამართლობით აღვსილი პირები...

ძვირფასნო! ყველას მოგეხსენებათ, რომ სავსე ვენახში და თავთავ-ამოღებულ ყანაში შესეული საქონლის გამოსადევნად ერთგვარი გულსმოდგინებით, თანასწორი დაუზარებლობით და დაუყოვნებლივი სისწრაფით მიეშურებიან ხოლმე მესაკუთრეს ოჯახიდან დიდი და პატარა, ქალი და ვაჟი, ჯანსაღი და სნეულებაში მყოფი.

ჩვენც ნამდვილად ამგვარად უნდა ვუპატრონოთ, ამგვარად უნდა ვუერთგულოთ და ვუჭირისუფლოთ ყველამ სამშობლოს, მიუხედავად ჩვენის საზოგადოებრივის მდგომარეობისა, სქესისა, ჰასაკისა და პოლიტიკური რწმენისა. სამშობლოს გაჭირვებამ, სამშობლოს ბედნიერად არსებობისა და აყვავების წრფელმა სურვილმა უნდა ყველანი აგვამეტყველ-აგვამოქმედოს უსათუოდ ერთი და იგივე ენით, ერთი და იგივე გრძნობა-გულმოდგინებით და მაშინ არავითარი მტერი საშიში არ იქნება ჩვენთვის, ვერავითარი გარეშე ძალა ვერას გაიტანს ძვირფასი სამშობლოდან, რომელიც უფრო საყვარელი შეიქმნება ჩვენთვის, როდესაც მისთვის ბრძოლას დავითმენთ.

ხალისიანად ამოვუდგეთ გვერდში ყველანი ჩვენს მთავრობას, რითაც და რამდენადაც შეგვიძლია, ხელი შევუწყოთ მას ქალმა და კაცმა ხელმწიფებრივ შრომა-მუშაობაში, საჭირო ნუ იქნება ჩვენთვის იძულება და სასტიკი ზომები მთავრობის განკარგულებათა კერძო და საზოგადო ცხოვრებაში გასატარებლად! ნუ დავიყოფით, როგორც მოქალაქენი, ერთი მეორეს მოპირდაპირე და მოქიშპე ჯგუფებად! საქვეყნო, საზოგადო საქმეებში ვიმოქმედოთ ყოველთვის შეერთებულად, მდიდარმა და ღარიბმა, მრეწველმა და მუშამ, ვაჭარმა და მოხელემ, სოფლელმა და ქალაქელმა და ღმერთი გვიკურთხებს ნორჩ სახელმწიფოს, უფალი განამტკიცებს ჩვენს თავისფლებას.

საყვარელნო! მხნე ვიყვნეთ და განვძლიერდეთ! ამინ.

(სტილი ყველგან დაცულია).



„საქართველოს რესპუბლიკის ღერბი არის ძლევამოსილი გიორგი თეთრ რაშზე ამხედრებული“... (1920 წლის კონსტიტუციის პროექტიდან. თავი I, მუხლი V).

ეროვნული ბიბლიოთეკა



# კვირაძალი

● დაღუპულთა სტატისტიკა იზრდება, მაგრამ ისინი, ჟურნალისტები, მაინც ყველაზე ცხელ წერტილებში წასასვლელად ემზადებიან...




***როგორც ცნობილია, ექსტრემალური ჟურნალისტიკა კონფლიქტურ სიტუაციებში ყალიბდება და უჩვეულო ფაქტებსა და მდგომარეობებს იკვლევს.***

***ჟურნალისტი ინფორმაციის მოსაპოვებლად ძალიან რთულ გარემოებაში იმყოფება. მაგალითად, რეპორტაჟები ცხელი წერტილებიდან, ტრაგედიის ადგილებიდან... ომები, რევოლუციები, სტიქიური უბედურებები – ეს „ექსტრემალ“ ჟურნალისტთა დაკვირვების სფეროა და შემოქმედების სივრცე. რისკი, რომელიც იქ მოპოვებულ მასალას გულისხმობს, ხშირად შეუფასებელი რჩება. უფრო მეტიც, ამ ტიპის ჟურნალისტებს ზოგჯერ მიზანმიმართულად ანადგურებენ.***

# ექსტრემალური ჟურნალისტიკა




## დ ღ ე ს

**სტატისტიკა 2003-2007 წლების ჩათვლით:** ცნობილია, რომ ამ პერიოდში ყველაზე მეტი ჟურნალისტი ერაყის ომს ემსხვერპლა. 2003 წელს 150 ჟურნალისტი დაიღუპა. აქედან 74 ერაყელი, ხოლო 2007 წლის ჩათვლით, იგივე ერაყში 1.420 ჟურნალისტი გახდა ცემის, დევნის და გატაცების მსხვერპლი. არა მარტო ერაყში, ასევე სხვა ქვეყნებშიც: ჩინეთში 40 ჟურნალისტი დაიღუპა. ნეპალში – 16, ვიეტნამში 7 და სხვა...

პოსტსაბჭოთა სივრცის ერთერთი ყველაზე გახმაურებული სახე **გიორგი ღონღაძე**, უკრაინის ოფიციალური პირების დაკვეთით, გახდა ტყვიის სამიზნე. ის იბრძოდა სიტყვის თავისუფლებისთვის და იყო **„უკრაინსკაია პრავდა“**-ს ხელმძღვანელი. მოკლეს 2000 წლის 16 სექტემბერს, რის შემდეგაც უკრაინის შინაგან საქმეთა სამინისტრომ აღძრა საქმე, საზოგადოების აზრით, დაგეგმილ მკვლელობაზე. გიორგი ღონღაძე ყოველთვის არგუმენტირებულად აკრიტიკებდა ხელისუფლებას, რის გამოც ხშირად ემუქრებოდნენ. ლეონიდ კუჩმასა და ფუნქციონერ დერკაჩის სატელეფონო საუბრიდან მოხდა ფარული მოსმენის გაშიფრა. აღმოჩნდა, რომ მათ განზრახული ჰქონდათ ღონღაძის ლიკვიდაცია. მოკლულის დედა ალექსანდრა ღონღაძე კატეგორიულად ითხოვდა და დღესაც ითხოვს პროკურატურის ხელმძღვანელობის დასჯას, რაც ჯერჯერობით დაუკმაყოფილებელია.

რუსი ჟურნალისტის **ანა სტეპანოვა-პალიტკოვსკაიას** რეპორტაჟებში იყო დიდი მცდელობა სიმართლის დაწერისა. უნდოდა გამოეძია ჩეჩნეთის ომის კულუარული სინამდვილე მისი სტილი იყო უკიდურესი სითამამე და მაქსიმალური კრიტიკა ერთერთი სტატია სახელწოდებით, **„Люди исчезаюшие“**, რომელშიც აღწერილი იყო ზალიმხან მურდალოვის გაუჩინარება და წამება, განსაკუთრებით გახმაურდა და შეიძლება ითქვას, სკანდალურიც გახდა. ამის შემდეგ მას ემუქრებოდნენ ტელეფონით და წერილობით. ხელს აწერდა ფსევდონიმით ვინმე „კადეტი“ რომელსაც აქამდე იცნობდნენ, როგორც სერგეი ლაპინს. პოლიტკოვსკაიამ მიწერა შინაგან საქმეთა მინისტრს, რომ ითხოვდა დაცვას და დროებით ავსტრიაში გაემგზავრა წიგნის დასაწერად ჩეჩნეთის შესახებ. ლაპინი დაიჭირეს და გაასამართლეს. შემდეგ პოლიტკოვსკაია დაბრუნდა ავსტრიიდან და გააგრძელა გამოძიება ჩეჩნეთის თემაზე.

2006 წლის 7 ოქტომბერს პოლიტკოვსკაია ლიფტში იპოვეს მოკლული. პოლიციის თანამშრომლებმა იქ აღმოაჩინეს მაკაროვის ტიპის იარაღიც და პირველივე შეხედვითაც ჩანდა, რომ ეს პროფესიონალი მკვლელის შესრულებული იყო, ვის უკანაც სხვა ძალები იდგნენ. გაჩნდა კითხვა: **ვინ?** ვარაუდით იგი მოკლა ახლო მეგობარმა ან კოლეგამ.

მკვლელობების კასკადი გრძელდება. ჟურნალისტები კვლავ იხოცებიან ექსტრემალურ სიტუაციებში: ომებში, რევოლუციებში, სტიქიური უბედურებების ჟამს... სტატისტიკა იზრდება, მაგრამ ისინი, ჟურნალისტები, მაინც ყველაზე ცხელ წერტილებში წასასვლელად ემზადებიან...

## გუშინ

1990-91 **„სამოქალაქო ომად“** წოდებული, თბილისის ომის დროს, ბევრი გაზეთი დაიხურა, შეწყდა ტელე და რადიომაუწყებლობა. საქართველო ორ ნაწილად გაიყო. თბილისი სამხედროებით აივსო და საერთოდ, ავტომატიანი ხალხით (მათ შორის, იდგა იარაღიანი ინტელიგენციაც).

ომის დროს და შემდეგაც, რამდენიმე არალეგალური გაზეთი, შეიძლება ითქვას, ბარიკადებზე გამოდიოდა, როცა იხვრიტებოდა მიტინგები, მანიფესტაციები, არბევდნენ ძველი ხელსიუფლების მომხრეებს...

გაზეთ **„საქართველოს სამრეკლოს“** ფურცლებზე უჩვეულო რუბრიკა გაჩნდა: **„ტელეჟურნალისტი ეკრანის გარეშე“**, სადაც „მოამბის“ ინფორმაციები ტელემედიის ნაცვლად, ბეჭდურ მედიაში იბეჭდებოდა. ყოფილ ტელეჟურნალისტებს გაზეთის ფურცლებზე მიჰყავდათ საინფორმაციო პროგრამა „მოამბე“ (პოლიტიკიდან დაწყებული ამინდის პროგნოზით დამთავრებული).

**„ძვირფასო ტელემაყურებლებო, თქვენ უყურებდით რუსთაველის პროსპექტის ნგრევას, ნანგრევებიდან გესოდათ ვაშა, ყიჟინა, სიმღერა „მტერზე გამარჯვებისა“, მაგრამ თვქენ არ გინახავთ ზუსტად იმ დროს, იქვე ასიოდე მეტრში როგორ სასტიკად დაარბიეს მშვიდობიანი მიტინგი, თქვენ, არც დემონსტრაციების დახვრეტა გინახავთ არც სამეგრელოში თარეში, არც... თქვენ ყველაფერი უნდა ნახოთ“...**

* * *

ჩვენ გავესაუბრეთ მაშინდელ „ექსტრემალ“ ჟურნალისტებს. **ინტერვიუ მზია ბაქრაძესთან.**

**— ყველაფერი მნიშვნელოვანია თავისი შედეგით. როგორ აფასებთ იმ მოვლენებს?**

— რა თქმა უნდა, უარყოფითად, ინტელიგენციის წარმომადგენლები, მსახიობები, პოეტები, რეჟისორები, რომელთაც კომუნისტური პერიოდის ნოსტალგია ჰქონდათ, საბჭოთა კონიქტურნის მობრუნებას ცდილობდნენ. მოსკოვი მართავდა ამ ხალხს და შევარდნაძე იცავდა მათ.

**— და მაინც, რა მოხდა, რა შედეგი მივიღეთ?**

— ადამიანის უფლებები დაირღვა, მოხდა სამხედრო გადატრიალება შევარდნაძე რუსეთის ჯარის დახმარებით მოვიდა და გაიმყარა პოზიციები. ამ ყველაფერზე წლების მანძილზე სპეცსამსახურები მუშაობდნენ.

**— თქვენ მაშინ ექსტრემალურ სიტუაციაში გიწევდათ მუშაობა. რეპორტაჟებს გადასცემდით ბუნკერში დამონტაჟებული რადიოკვანძიდანაც...**

— ეს იყო ერთი ძალიან პატარა ოთახი, აღჭურვილი იმ აპარატურით, რომელიც ფაქტიურად, თავიდან ბოლომდე, მაშინდელმა უზენაესი საბჭოს წევრმა **ვიქტორ დომუხოვსკიმ** გააკეთა. თქვენ ვერ წარმოიდგინეთ, ეს პოლონელი კაცი როგორი პატრიოტი იყო საქართველოსი.

**— ამჟამად სად ბრძანდება ბატონი ვიქტორი?**

— პოლონეთშია, ემიგრაციაში, ანუ თავის ისტორიულ სამშობლოში...

**— თქვენს მუშაობაში იყო თავგანწირვის მომენტები. მიუხედავად იმისა, რომ სასურველი შედეგი ვერ მიიღეთ, იგივეს გაიმეორებდით?**

— საქართველოს თავისუფლებისთვის ვიბრძოდი მაშინ. ჩემი სურვილით გავაკეთე ყველაფერი, ქართველობაზე დაყრდნობით. ზვიად გამსახურდია გამოიყურებოდა, როგორც მხსნელი. მომწონდა მისი აზროვნება, მისი სიყვარული საქართველოსადმი. ამდენი ბრძოლის, თუნდაც, მარცხის მიუხედავად, მაინც იგივეს გავიმეორებდი, რადგან ვთვლი, რომ ის გზა იყო სწორი და რაც კეთდებოდა, ქართველობისთვის კეთდებოდა.

**— თქვენ გემუქრებოდნენ. რა ტიპის იყო ეს მუქარები?**

— დედაჩემს ურეკავდნენ და ეუბნებოდნენ, რომ „თავმოჭრილს იპოვით შვილს“-ო. სახლამდე დაცვას მივყავდი, ორსულობის მეოთხე თვეში ვიყავი, როცა მიწევდა იძულებით დამალვა, რადგან მთელ ჩემს ოჯახს საფრთხე ემუქრებოდა. ომის შემდეგაც დამსდევდნენ. სხვადასხვა სახლებში ვიმალებოდი... სხვათა შორის, თანაგრძნობას და თანადგომას არა მარტო ქართველები მიცხადებდნენ.

**— თქვენ დღემდე უმუშევარი ხართ და რამ განაპირობა ეს?**

— ჟურნალისტიკა და პოლიტიკა არის განუყოფელი ნაწილი. ყველა თემაზე გამიკეთებია გადაცემა. ექსტრემალურ სიტუაციაში მიმუშავია, მაგრამ თუ ხარ ასაკოვანი, დღეს გაურღვეველი კედელი გხვდება. მე რომ ვიარსებო, არ მეძლევა საშუალება. (ქალბატონი მზია 49 წლის არის. თ.ბ.)

**— იმ ფაქტებმა თქვენი ცხოვრება რადიკალურად შეცვალა. ცვლილებებს კიდევ ელით?**

— მე ისიც მიკვირს, დღემდე როგორ მოვდივართ, მაგრამ ღვთისნიერი ხალხი კიდევ შემორჩა საქათრველოს, რომლებიც მეხმარებიან. თითქმის ყველა ორგანიზაციას, ოფიციალურს თუ არაოფიციალურს, მივმართე, მაგრამ ყურადღებას არავინ მაქცევს. თუკი ჩემი დონის ადამიანები საჭირო არარიან საქართველოში, წავალ საზღვარგარეთ. მე ვარ კანონმორჩილი, ხოლო კანონიერი გზით ვერაფერს მივაღწიე.

**ინტერვიუ ელიზბარ ჯაველიძესთან**

**— დროის გადასახედიდან როგორ აფასებთ სამოქალაქო ომს?**

— შეფასება იგივეა. ზვიად გამსახურდიამ, რომელიც ჯ. ბუშის განმარტებით, „დინების საწინაალმდეგოდ“ მიდიოდა, თქვა: **„მდინარის დინებას მხოლოდ მკვდარი თევზები მიჰყვებიან“...** მოსახლეობის ანგაჟირებული ნაწილი, გარეშე ძალების მიერ მართული, საქართველოს პრეზიდენტს დაუპირისპირდა. მე იმ დროს განათლების მინისტრი ვიყავი... დავდექი იქ, სადაც აუცილებლობა და საქართველოს მომავალი მოითხოვდა.

**— იმ პერიოდში რამდენიმე არალეგალური გაზეთი გამოდიოდა. რედაქტორები და სტატიების ავტორები ზოგჯერ ხელს არ აწერდნენ... ფრთხილობდნენ და გასაგებია რატომაც...**

**თქვენი გაზეთის ყველა ნომერს დიდი შრიფტით აწერია: „რედაქტორი ელიზბარ ჯაველიძე“, ანუ პასუხისმგებლობას საკუთარ თავზე იღებდით. არ გეშინოდათ თუ შიში დაძლიეთ?**

— შიშს არ უნდა აჰყვე. შიში უნდა დაძლიო. ჟურნალისტის ერისადმი ერთგულება ამგვარადაც გამოიხატება. შევარდნაძის ჩამოსვლის დროს იყო სრული ქაოსი. უმოწყალოდ ხვრეტდნენ ხალხს, გარეული ნადირივით დასდევდნენ და კლავდნენ. **„საქართველოს სამრეკლოში“** ამ ამბებს ვაშუქებდი. გვიჩივლეს. სასამართლო 4 თვე გრძელდებოდა. გაზეთს აღარ გვიბეჭდავდნენ. იძულებული გავხდი, დამეხურა.

**— გაზეთის დახურვის შემდეგ რას საქმიანობდით?**

— არ გავჩერდი. სხვა გაზეთი დავაარსე. – **„სამრეკლო“**, რიგ მასალებთან ერთად, დავბეჭდე თარგმანი ინგლისური გაზეთიდან, სადაც **შევარდნაძე იყო ნახსენები, როგორც ნარკოტიკების რეალიზატორი.**

ამ წერილის გამო ჩემზე მეორედ აღიძრა საქმე. ითხოვდნენ სახალხოდ მომეხადა ბოდიში შევარდნაძისათვის. მახსოვს, პოლიციელები მეხვეწებოდნენ: ჩვენ გაგვლანძღე, ჩვენზე რაც გინდა ის დაწერე, ოღონდ შევარდნაძეს მოუხადე ბოდიშიო...

**— თქვენ გდევნიდნენ და იძულებული გახდით საქართველოდან წასულიყავით, მაგრამ დაბრუნდით...**

— თბილისში უკვე საშიში იყო დარჩენა. მე და რეზო ურუშაძე ჩემს სახლში ვმუშაობდით, სადაც პოლიციელები შემოგვიცვივდნენ და დაგვაპატიმროეს. მალე გაგვნთავისუფლეს. ჩავატარეთ პრესკონფერენცია, სადაც განვაცხადეთ, რომ კონსტიტუციური გზით დავამხობდით ხელისუფლებას.

მას შემდეგ უფრო სარისკო გახდა ჩემი თბილისში დარჩენა. 1996 წელს ოჯახით, გავემგზავრე გერმანიაში, მაგრამ უცხო ქვეყანაში თავს ცუდად ვგრძნობდი. მიუხედავად იმისა, რომ იქ კარგი ფინანსური მდგომარეობა მქონდა, სამშობლოში დაბრუნება ვარჩიე.

* * *

თბილისელებს ახსოვთ ასეთი კადრი: ბატონი ელიზბარ ჯაველიძე როგორ ჩამოვიდა თვითმფრინავის ტრაპიდან და საქართველოს მიწას ეამბორა...

დღეს კი ქალბატონი მზია ბაქრაძე იძულებულია უცხოეთში გაემგავროს. იქნებ ვინმემ შეაჩეროს პროფესიონალი ჟურნალისტის, ნიჭიერი ადამიანის, ეს იძულებითი ნაბიჯი?.. არავინ იცის, რას გვიჩვენებს მომავალი დრო...

* * *

მსოფლიოს გლობალური „დემოკრატიზაციის“ ფონზე, მასმედიის თავისუფლების და უსაფრთხოების საკითხი ისევ კითხვის ნიშნის ქვეშაა... ჯერ კიდევ, 30-იან წლებში, ცნობილი რეპრესიების ხანაში, ოფიციალური განცხადით, ცენზურა არ არსებობდა. 1936 წელს, სტალინური კონსტიტუციის „შუქზე“ მოხდა პრესის თავისუფლების დეკლარირება. მაშინდელი ნორმატიული აქტებიც ჟურნალისტის ხელშეუხებლობის, სიმართლის და ობიექტურობის ცრუ გარანტიებს იძლეოდა...

ყოველივე ზემოთქმული შესაძლოა ჟურნალისტიკის გუშინდელ დღედ მოგვეჩვენოს, მაგრამ ვფიქრობთ, რომ საერთო ტენდენციები ხვალინდელზეც მეტყველებს... როგორი იქნება მომავალში ექსტრემალური ჟურნალისტიკა? რა გველის, ანუ რა ტიპის ბარიკადებზე მოუწევთ დგომა „ექსტრემალ“ და არაკონფორმისტ ჟურნალისტებს?...




**თაკო ბოჯგუა**
**მასმედიისა და მასობრივი კომუნიკაციების ინსტიტუტის IV კურსის სტუდენტი.**

**ჩანართზე მუშაობდნენ ნინო ხოფერია და კახა ქორიძე**

● საქართველოს პარლამენტში მიაჩნიათ, რომ მოსკოვს ასეთი შეხვედრა სჭირდება, უწინარეს ყოვლისა, იმისთვის, რომ, ქართულ მხარესთან მოაგვაროს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში რუსეთის შესვლასთან დაკავშირებული საკითხები

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# სააკაშვილს პუტინთან შეხვედრა სჭირდება



საქართველოს პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს ჯერჯერობით არ გადაუწყვეტია, დაესწრება თუ არა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის არაფორმალურ სამიტს, რომლის გამართვაც დაგეგმილია 10 ივნისს სანკტ-პეტერბურგში.

ამავე დროს, სულ რამდენიმე დღის წინათ პრეზიდენტის ადმინისტრაციაში აცხადებდნენ, რომ ასეთი მოგზაურობა იგეგმება და ახლა მიმდინარეობს საპროტოკოლო საკითხების დაზუსტება. მოელოდნენ, რომ უკვე პეტერბურგიდან ჩავიდოდა სააკაშვილი პრაღაში სამუშაო ვიზიტით, სადაც მან უნდა მიიღოს მონაწილეობა რადიო „თავისუფლების" იუბილესადმი მიძღვნილ ღონისძიებაში.

მაგრამ არ არის გამორიცხული, რომ საქართველოს პრეზიდენტის საზღვარგარეთის ქვეყნებში მოგზაურობის ივნისის გრაფიკში რაღაც შესწორებები შეიტანონ, როგორც ეს მოხდა მაისში, როცა სააკაშვილმა სულ ბოლო მომენტში გადადო ვიზიტი ჩინეთში.

ოთხშაბათს, რესპუბლიკის მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა გელა ბეჟუაშვილმა მოულოდნელად განუცხადა ჟურნალისტებს, რომ სააკაშვილს „ჯერჯერობით არ მიუღია" გადაწყვეტილება სანკტ-პეტერბურგის სამიტში მონაწილეობის თაობაზე. ამასთან, როგორც მინისტრმა დაადასტურა, შესაბამისი ოფიციალური მიწვევა თბილისში ნამდვილად მიიღეს.

რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა ხაზით ჯერჯერობით არ არის პასუხი ქართული მხარის შემხვედრ წინადადებაზე, რომელიც გულისხმობს სამიტის ფარგლებში მიხეილ სააკაშვილის და მისი რუსი კოლეგის – ვლადიმერ პუტინის შეხვედრის გამართვას. თბილისში ასეთ შეხვედრას საჭიროდ მიიჩნევენ, და ხაზს უსვამენ იმას, რომ აუცილებელია რუსეთ-საქართველოს გამწვავებული ურთიერთობის დამარეგულირებელი გზების განხილვა. როგორც ცნობილია, გასული წლის შემოდგომის შემდეგ ორ ქვეყანას შორის შეწყვეტილია სატრანსპორტო მიმოსვლა, რუსეთის ფედერაცია საქართველოს მოქალაქეებისთვის არ გასცემს ქვეყანაში შესასვლელ ვიზებს, ქართული პროდუქციისთვის ჩაკეტილია რუსული ბაზრები. ცხადია, რომ ამ საკითხების გადაწყვეტა შესაძლებელი იქნება მხოლოდ პრეზიდენტების დონეზე.

თბილისში სურთ, რომ რუსეთის მხრიდან მიიღონ მყარი გარანტიები სახელმწიფოთა მეთაურების შეხვედრის გამართვის შესახებ და არ განმეორდეს ის, რაც მოხდა გასული წლის ნოემბერში მინსკში ანალოგიური ღონისძიების დროს. შეგახსენებთ, რომ მაშინ ბელორუსიის დედაქალაქში ვერ გაიმართა სრულფასოვანი მოლაპარაკება, რადგან სააკაშვილი პუტინს პირისპირ მხოლოდ ლიფტთან თუ შეხვდა, ასეთ „ფორმატში" კი სერიოზული პრობლემების განხილვა შეუძლებელია.

ამავე დროს თბილისში იმის იმედიც აქვთ, რომ ვლადიმერ პუტინი ამჯერად არ აარიდებს თავს სააკაშვილთან შინაარსიან საუბარს. როგორც საქართველოს პარლამენტის საგარეო კავშირურთიერთობის კომიტეტის თავმჯდომარემ კოტე გაბაშვილმა თქვა, „რუსეთს აქვს თავისი ინტერესები და იგი მზად არის შეხვედრისთვის".

საქართველოს პარლამენტში მიაჩნიათ, რომ მოსკოვს ასეთი შეხვედრა სჭირდება, უწინარეს ყოვლისა, იმისთვის, რომ, ქართულ მხარესთან მოაგვაროს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში რუსეთის შესვლასთან დაკავშირებული საკითხები. თბილისმა ამ ორგანიზაციაში რუსეთის შესვლაზე თანხმობის სანაცვლოდ მოითხოვა, რომ მოსკოვმა შეასრულოს რუსეთ-საქართველოს საზღვრის აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მონაკვეთზე საბაჟო გამშვები პუნქტების ლეგალიზაციისათვის ნაკისრი ვალდებულებანი. 30-31 მაისისთვის თბილისში დაგეგმილია ამ ორი ქვეყნის დელეგაციებს შორის შესაბამისი მოლაპარაკებების გამართვა.

შესაძლოა, რომ სანკტ-პეტერბურგში პრეზიდენტ სააკაშვილის გამგზავრების შესახებ გადაწყვეტილება სწორედ ამ მოლაპარაკების დასრულების შემდეგ მიიღონ. თუმცა, არც ის არის გამორიცხული, რომ ამ საკითხის თაობაზე საქართველოს პრეზიდენტი თავის სიტყვას იტყვის 26 მაისს, როცა იგი, როგორც რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდალი მიიღებს საქართველოს დამოუკიდებლობის 16 წლისთავისადმი მიძღვნილ პარადს.

**ანატოლი გორდიენკო**

**НЕЗАВИСИМАЯ ГАЗЕТА**

## მოკლედ

**ამერიკის** შეერთებულ შტატებში განიხილავენ კანონს, რომელიც აუქმებს green card ლატარიას. შეერთებული შტატების კონგრესის წარმომადგენელთა პალატამ მიიღო კანონი, რომელმაც კარდინალური ცვლილებები უნდა შეიტანოს ამერიკის საიმიგრაციო წესებში. ამჟამად ამ კანონს განიხილავს სენატი, და სავსებით დასაშვებია, რომ მასში სერიოზულ ცვლილებებს შეიტანენ. თუ სენატი მოიწონებს კანონს, იგი ამოქმედდება მას შემდეგ, რაც ქვეყნის პრეზიდენტი მოაწერს მას ხელს.

* * *

**მაჰმუდ აჰმადინეჯადმა** განაცხადა, რომ ირანი აპირებს გახდეს ბირთვული სათბობის ექსპორტიორი-ქვეყანა. ბირთვულ სფეროში ირანის მიერ მიღწეული პროგრესი ქვეყნის პრეზიდენტმა შეადარა მატარებლის მოძრაობას, რომელსაც მოშლილი აქვს მუხრუჭები, მაგრამ რომლის საჭესაც „სამართლიანი ადამიანები მართავენ". აჰმადინეჯადმა აღნიშნა, რომ თეირანი არ დაიხევს უკან მსოფლიო გაერთიანების წინაშე, რადგან მას აქვს იმის უფლება, რომ ფლობდეს მშვიდობიან ბირთვულ ტექნოლოგიებს.

* * *

**ვიქტორ იუშჩენკომ** უკრაინის შინაგან საქმეთა მინისტრის ვასილ ცუშკოს დაქვემდებარებიდან გამოიყვანა შინაგანი ჯარები და მინისტრის წინააღმდეგ აღძრა სისხლის სამართლის საქმე. შინაგანი ჯარების სარდალს ალექსანდრე კიხტენკოს დაევალა უზრუნველყოს უმნიშვნელოვანესი სახელმწიფო ობიექტების, გენერალური პროკურატურისა და საკონსტიტუციო სასამართლოს შენობების უშიშროება.

* * *

**კორეის** სახალხო-დემოკრატიულმა რესპუბლიკამ იაპონიის ზღვაში გამოსცადა მცირე სიშორის რაკეტები. რაკეტები გაუშვეს კორეის ნახევარკუნძულის აღმოსავლეთი და დასავლეთი სანაპიროებიდან. იაპონიაში ამტკიცებენ, რომ რაკეტების ფრენის რადიუსი მცირეა და ისინი ამ ქვეყანას უშუალო საფრთხეს ვერ შეუქმნიან. რუსეთის ზღვისპირეთის მხარის ტერიტორიაზე რადიაციული ფონი შეესაბამება ჩვეულებრივ მაჩვენებელს და ნორმის გადამეტება იქ არ დაფიქსირებულა.

* * *

**არაბული** მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მტკიცებით, ისრაელმა მოამზადა „ჰამასის" „დასახვრეტი ლიდერების სია", რომელშიც ფიგურირებენ „ჰამასის" პოლიტიკური ხელმძღვანელობის 11 წევრის და 5 სამხედრო მეთაურის გვარები. ამ სიაში მოხვდნენ „ჰამასის" პოლიტბიუროს მეთაური ჰალედ მაშალი, პალესტინის პრემიერ-მინისტრი ისმაილ ჰანია, პოლიტბიუროს წევრები მუჰამედ ნაზალი და იმად ალალიამი. აღსანიშნავია, რომ ამ მოძრაობის ზოგიერთი ლიდერი ამჟამად პალესტინის ავტონომიის ფარგლებს გარეთ იმყოფება.

# საქართველოში ყველა „პაციფისტი" გაათანაბრეს



**საქართველოში 2002 წლის ივნისიდან მოქმედებს კანონი, რომელიც იძლევა ქართულ არმიაში სამსახურის გადავადების შესაძლებლობას. ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინათ, სამსახურის ერთი წლით გადავადება ჯდებოდა 200 ლარი, 10 წლით კი – 2 ათასი ლარი.**

მაგრამ, „ვარდების რევოლუციის" შემდეგ ეს ფასები მნიშვნელოვნად გაიზარდა. „200 ლარის გადახდა ერთი წლით სამსახურის გადავადებისათვის არის ზღაპარი და სისულელე", – ასეთ დასკვნამდე მივიდა აწ უკვე საქართველოს ყოფილი თავდაცვის მინისტრი ირაკლი ოქრუაშვილი. სწორედ მას ეკუთვნის ინიციატივა ქართულ არმიაში გაწვევის პირობების მნიშვნელოვნად გამკაცრების შესახებ. ჯერ კიდევ მანამ, სანამ თავის ინიციატივას შეიტანდა პარლამენტში, ოქრუაშვილი ჟურნალისტებს დაპირდა, რომ „ერთი წლით გადავადება ეღირება 1500 ლარი, სამი წლით – 3 ათასი, სწავლის გამო გადავადება მოხდება მაქსიმუმ ხუთი წლით და ეს ეღირება 6 ათასი ლარი. რაც შეეხება სამსახურის 10 წლით გადავადებას, რომელიც ახლა 2 ათასი ლარი ღირს, ასეთი რამ აღარ მოხდება. ყველასთვის თანაბარი პირობები უნდა შეიქმნას".

თუმცა, არმიაში სამსახურის გადავადების პრაქტიკის მოწინააღმდეგეები ხშირად ამბობდნენ, რომ საჯარისო მოვალეობის მოხდისგან თავის აცილება იმ პირობებში, როცა ქვეყანას ჯერ კიდევ ვერ გადაუჭრია ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის პრობლემა, ამორალურია.

ასეა, თუ ისე, სადღეისოდ გათვალისწინებულია არმიაში გაწვევის გადავადება 18 თვით, რაც 2 ათასი ლარი ჯდება. ამ უფლებით სარგებლობა გასაწვევს შეეძლება მხოლოდ ორჯერ, თანაც მანამ, სანამ 25 წელი შეუსრულდება, გვაცნობეს საქართველოს თავდაცვის სამინისტროში.

**ირინე ბარამიძე**

**НОВЫЕ ИЗВЕСТИЯ**

# რუსეთი ისმენს სააკაშვილ-იუშჩენკოს სატელეფონო საუბრებს

**„რუსთავი-2" ტელეკომპანიამ გაავრცელა საქართველოს და უკრაინის პრეზიდენტების – მიხეილ სააკაშვილის და ვიქტორ იუშჩენკოს სატელეფონო საუბრის შინაარსი, რომელიც ინტერნეტში იყო განთავსებული. საუბრის დროს ორი ქვეყნის პრეზიდენტებს არ უმსჯელიათ რაიმე საიდუმლო საკითხებზე და მას მხოლოდ საკონსულტაციო ხასიათი ჰქონდა. მაგრამ, მაინც დაიბადა ასეთი კითხვა: ვინ უსმენდა საქართველოს და უკრაინის პრეზიდენტების საუბარს?**



როგორც ჟურნალისტებს განუცხადა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა ვანო მერაბიშვილმა, „რუსეთი იმდენად ხშირად აქვეყნებს საჯაროდ უკრაინაში სატელეფონო საუბრებს, რომ კითხვაზე, თუ ვინ აკეთებს ამას, პასუხი ძალზე მარტივია". რუსეთის სპეცსამსახურები იყენებენ მოძველებულ საბჭოურ მეთოდებს, მიაჩნია მერაბიშვილს.

საქართველოს პარლამენტის მეცნიერებისა და განათლების კომიტეტის თავმჯდომარემ ნოდარ გრიგალაშვილმა დასძინა: „არაკეთილმოსურნეებმა ჩვენ (საქართველოს და მის პრეზიდენტს) ძალზე დიდი რეკლამა გაგვიკეთეს", რადგან საუბრის შინაარსიდან ირკვევა, რომ სააკაშვილს ეთათბირებიან არა მარტო მეგობარი სახელმწიფოების პრეზიდენტები, არამედ ევროკავშირის გავლენიანი პოლიტიკოსებიც.

საპარლამენტო ოპოზიციის ნაწილს რუსეთი სატელეფონო საუბრების მოსმენაში უშუალოდ არ დაუდანაშაულებია. კერძოდ, „მრეწველთა" ფრაქციის ლიდერს ზურაბ ტყემალაძეს მიაჩნია, რომ, უწინარეს ყოვლისა, უნდა დაადგინონ, თუ კონკრეტულად სად უსმენდნენ საუბარს – საქართველოში თუ უკრაინაში. „ამის გაკეთება შეეძლოთ როგორც საქართველოს, ისე უკრაინის და რუსეთის სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებს. მე ერთმნიშვნელოვნად ვერ ვიტყვი, თუ ვინ გააკეთა ეს", – თქვა მან. როგორც ტყემალაძემ აღნიშნა, ეჭვი არ ეპარება, რომ მის სატელეფონო საუბრებსაც ისმენენ.

**ИНФОРМАЦИОННОЕ АГЕНТСТВО РОСБАЛТ**

№ 99. შაბათი, 26 მაისი, 2007 წელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მოგონებათა კრიალოსანი

● რამდენჯერ შევსწრებივარ: აი, ძილის წინ საწოლზე ჩამომჯდარი, პირჯვარს იწერს და ბუტბუტებს: „ღმერთო, შენ მიმყოფე კარგად ჩემი ქმარ-შვილი“

ეროვნული ბიბლიოთეკა

◎ თაობათა უწყვეტი ჯაჭვი

## შვილის საჩუქარი

მამა ალიონზე გადიოდა სახლიდან. უკვე მოგიყევი, ანანიკო, ეპიზოდები მამაჩემის — შენი დიდი ბაბუის ცხოვრებისა. რაც თავი მახსოვს, სულ „ხელმძღვანელ თანამდებობაზე“ იყო: ხან კოლმეურნეობის თავმჯდომარე, ხან საბჭოს თავმჯდომარე, ხან პარტკომი... ოღონდ, ეგ არის, ბაბუ: ვენედიქტე მარდალეიშვილს თანამდებობები სათავისოდ არასდროს გამოუყენებია და ყოველთვის ცდილობდა თავისი სოფლის, თავისი მეზობლების სასიკეთოდ გარჯილიყო...

„ბრეჟნევის ეპოქაში“ (ჰყავდა ასეთი „მცირემიწელი“ გენერალური მდივანი საბჭოეთის ქვეყანას), რომ იტყვიან, „გაკეთდა“ ხალხი, პრინციპი — „შენც იცხოვრე და მეც მაცხოვრე“ გამეფდა ირგვლივ. მუქთად ნაშოვნი საშენი მასალებით სრასასახლეები იგებოდა... ცხონებულმა მამაჩემმა ბაბუაჩემის ნაქონი ძველთაძველი ხის ოდა დაგვიტოვა, როგორც ერთ-ერთი ნიშანი მისი ნამუსიანი ცხოვრებისა.

ალიონზე გადიოდა სახლიდან...

და მთელი ოჯახი დედაჩემს, შენს დიდ ბებოს აწვა კისერზე. იგი მაღლაკის მეზობელი სოფლიდან, ფარცხანაყანევიდან იყო. წყალტუბოში გაეცნოთ ერთმანეთი ვენესა და ნინას, სადაც სასამართლოს მდივნად მუშაობდა, თურმე, ილარიონ ნიქაბაძის უმცროსი ქალიშვილი. ილარიონი შეძლებული გლეხი ყოფილა, ახლაც დგას ულამაზეს ეზოში, ქუთაისი-სამტრედიის გზატკეცილის სიახლოვეს, გასული საუკუნის ოციან წლებში აშენებული ორსართულიანი სახლი (იქ ჩემი ბიძაშვილი ცხოვრობს თავისი ჯალაბით), როგორც ჩემი ბავშვობის სიმბოლო, გარდასული დღეების, ამ დიდი ოჯახის ტკივილებისა და სიხარულის უტყვი მოწმე.

ჩემი დედულეთის უზარმაზარი კარ-მიდამო (ზოგი კომუნისტების მიერ ჩამორთმეული და ზოგიც საკუთარი) სავსე იყო ატმის, მსხლის, ბლის, ალუბლის ხეებით...

ხშირად ვიყავი იქ, სწორედ იმ დროს იგებოდა ქუთაის-სამტრედიის განიერი, მოასფალტებული „სამხედრო“ გზა, რომელსაც, უმეტესად, ქართველი ჯარისკაცები აშენებდნენ. ვმეგობრობდით ბავშვები ამ მზით გარუჯულ, გახუნებულფორმიან ბიჭებთან, მივუტანდით ხოლმე ნესვს, საზამთროს, კარალიოკს...

ამ სოფლიდან, ამ ეზო-კარიდან, ამ ოჯახიდან იყო აფრენილი ჩემი სათნო, ღვთივმოსავი დედა, დედაბოძად რომ შეუდგა მარდალეიშვილების ოჯახს და ამ ოჯახის სიჯანსაღეს შეალია თავისი ქალობა... იცი, რა ოჯახი იყო, ანანო? მცირედით კმაყოფილი, სტუმართმოყვარე, ქართული პოეზიისა და სიმღერის ტრფიალი. რამდენჯერ, შუაღამეზე მოსულან ოჯახში სტუმრები. დღესაც ყურში მიდგას „პობედის“ სიგნალი. ეს სოსო იყო — მამაჩემის ქუთაისელი მამიდაშვილი — დარდიმანდი და არლანზე მოქეიფე. ნაშუაღამევს, მთელ სოფელს რომ ეძინა, სოსოია დათიაშვილს სწორედ მაშინ გაუსკდებოდა ჩვენი სიყვარულის გუდა და მაღლაკისკენ გამოსწევდა ტენტიანი მანქანით.

„ე კაცო, მგონი, სოსოა!“ — გვესმოდა დედაჩემის ხმა გვერდითა ოთახიდან.

ვინ უცდიდა მასპინძლის გამოგებებას — სოსოს უკვე შე-



ციცქნა ანანიკო „ალექსანდრეს ბაღში“ საბავშვო ეტლში ნებივრობს, მე კი გონებაში ვესაუბრები შვილიშვილს და ჩუმად ვმარცვლავ მოგონებათა კრიალოსანს

მოყვანილი ჰყავდა ეზოში „პობედა“, აბა, „ტუში“, ამბაკიაო, შეუძახებდა მეარღნეს და აჭყვიტინებულ მელოდიას მოხდენილად ააყოლებდა ტანს.

სანამ სტუმარი ეზოში ხმაურობდა და მამაჩემს კოცნიდა, შენა ხარ, ვენია, ჩვენი სანათესაოს ქვიტკირიო, დედაჩემი უკვე სამზადში ცეცხლს აგუზგუზებდა, სახაჭაპურე ცომი ყოველთვის გამზადებული ჰქონდა, წინასწარ იჭერდა ხოლმე თადარიგს.

შემობრაგუნდებოდნენ „ზალაში“ სტუმრები, სოსო თავის წესს არ არღვევდა — საწოლში გვკოცნიდა, გვიღიტინებდა თვალებდაჭყეტილ ბავშვებს და თან კვახის ფოთლისოდენა ასმანეთიანებს შემოგვიცურებდა სასთუმალქვეშ. ამასობაში დედაც შემოდიოდა, თეფშებზე მადისაღმძვრელად მოთიმთიმე და ყველგადმომდინარე ხაჭაპურები ეწყო. „შენ გენაცვალოს, ნიქაბაძის ქალო, მთელი მსოფლიოს საქალეთი, ასე ხუთ წუთში რაფერ აცხობ ხაჭაპურს“, — შუბლზე კოცნიდა დედას სოსო. „შენი ოჯახიშვილობის იმედი რომ მქონდა, იმიტომ შეგაწუხეთ ამ უდროო დროს და არ დამძრახო, ჩემო რძალო... ორ ჭიქას დავლევ და წავალ“...

მართლაც არ რჩებოდა დიდხანს, გვესმოდა ბავშვებს, ჭიშკართანაც რომ ბოდიშობდა სოსო, ახლა ერთი, თქვენ მესტუმრეთ, შემაწუხეთ ქუთაისშიო... წამოიყვანეთ ის ბოვშებიო...

ვის ეცალა ქალაქში სასტუმროდ და სასეირნოდ — დედა იყო მთელი ოჯახი, ასაუზმებდა დედა და თვალისჩინწართმეულ დედამთილს — მაია ბებოს, ჩვენ „უკანა“ ეზოში გადავდივართ, დედა, სამარგლავადო, დაუბარებდა და დაგვიყენებდა გვერდით.

ამასობაში აბრეშუმის ჭიაა „დასაპურებელი“.

„ეს კვალი გეიტანე, შვილო, და გადმოდი შენც, დაცხა უკვე“, — დადუნას — ჩემ დას ( ასე ვეძახდით, ბაბუ, შინაურობაში ლია ბებოს) უბარებს დედა.

„ჩამოვბელოთ ბარელამ, გუშინ რომ დაგვრჩა ის ბჟოლა, და ამ იჯრაზე ეყოფათ, ალბათ“...

ბჟოლაზე ხის კიბეთი ავდივარ და სასხლავით ვჭრი ტოტებს... დედა ქვემოთ დგას, ერთმანეთზე აწყობს, ამოიილლიავებს დროდადრო და აივანზე ააქვს ტოტები.

„ჩამოდი ახლა და ჩასხეპე, შვილო, მე პარკი ლობიოს ჩავადგამ, ანი ქე მოვა მამაშენი... გარეთ ხვარ გირჩევნია, დედა?.. (დედამთილს მიმართავს), გაგიყვან და დაჯექი ლაფაროში, კაი ამინდია“.

„მე თვითონ გავალ, შვილო, მივეჩვიე უკვე, აგერ არ მაქვს ბამბუკის ჯოხი?“

ბჟოლის ტოტებს ვსხეპავ. აივანზე მწვანე ფოთლის გროვა დგას, ოთახში ერთიმეორეზე ჩამოკიდებული ჩელტები აბრეშუმის ჭიას გაუვსია, ხვანცალებენ ჭიები, საჭმლის მოლოდინში მოსვენება დაჰკარგვიათ.

დედას უკვე მოუკრეფია პარკი ლობიო, ჯორკოზე ჩამომჯდარა, კალთა გაუვსია და გულდაგულ არჩევს, იქვე ნაირ-ნაირი სართავი და მწვანილი აწყვია, ჟაშკულამისა და ქინძის სურნელი მოაქვს ნიავს.

„ნიქაბაძის ქალო, სახლში ხარ“? — ეზოში მეზობელი შემოდის, ხელში ქოთანი უჭირავს.

„მობრძანდი, ოლია ბიცოლა“ — დედა კოინდარზე ყრის ლობიოს, დგება, კალთას იბერტყავს.

„ნინა, მჭადის ფქვილს მასესხებ?“

„გავიყოთ... დღეს უნდა გავგზავნო სწორედ ბიჭი წისქვილში სიმინდის დასაფქვავად“.

დედა ქოთანს ართმევს, სამზადში შედის და ცოტა ხანში ფქვილით სავსე ჭურჭელი გამოაქვს.

„ო, იცოცხლე“.

„რა ქენი, ჩასხეპე“? — მეხმიანება დედა.

„მზადაა“.

„აბა, ჩამოდი, დედა გენაცვალოს, ეს წკნელები ასე დაყრილი არ დახვდეს მამაშენს, დააწყვე და გადაიტანე უკან... დადუნას გახედე, რას შობა, არ დაამთავრა მარგვლა?“

დედა ლობიოთი სავსე ქვაბს ბუხარში დგამს მოსახარშად, აივანზე ამოდის, ახლა კალთას ბჟოლის ფოთლებით ივსებს და აბრეშუმის ჭიას აპურებს, შრიალ-შრიალით სადილობენ ჭიები, წამში ხრავენ ვეება, ნამყენი ბჟოლის ფოთლებს.

... დედა ქვიჯაში სართავს ნაყავს, გობზე დაყრილ მოხარშულ ლობიოს ოხშივარი ასდის, უკვე მჭადების დაცხობაც მოუსწრია, დადუნა ჭასთან მწვანილს რეცხავს. ცოტა ხანში ჭიშკარი იღება და მამა შემოდის ეზოში, მურია ელაქუცება, მკერდზე ახტება...

...ტაბლაზე შლის სადილს დედა, ბებოს ლოგინთან ტაბურეტზე უწყობს თავის არჩივს.

ვსადილობთ... დედა ჯერაც ფეხზეა, შეჭამანდს, მჭადს და ყველს უმატებს ტაბლას, წყლის მოტანა დამვიწყნია, დოქს ვიღებ, დედა არ მანებებს, თვითონ მოაქვს წყალი, გვისხამს, ჭიქას ავსებს, მერე, უჩუმრად, თვითონაც ჯდება ტაბლასთან, პირჯვარს იწერს, მჭადს და ყველს სწვდება, სულ რამდენიმე ლუკმა ყოფნის და ისევ ფეხზეა, ბებოს ჭიქით წყალს აწვდის, ლოცავს დედამთილი — „შენმა მშობელმა იხაროს, დედა“...

დრო გადიოდა, დედას საქმე და საზრუნავი ემატებოდა. ამდენ ჯაფას ჯანიც მიჰქონდა. ავადმყოფობა შეეჩვია — გულის არითმიას უჩიოდა. ვეკითხები ერთხელ, სტუმრები რომ გავაცილეთ, დედამ ყველაფერი რომ მიალაგ-მიასუფთავა და კიბეზე ჩამოჯდა გულამოვარდნილი: „არ იღლები, დედა?“

„რას იზამ, შვილო, დღეში ცხრა პარტია სტუმარი რომ მიიღო, მეათესაც ისე უნდა შეხვდე, თითქოს პირველად შემოსულიყოს იმ დღეს სტუმარი ოჯახში“.

არავითარი პირადული, არავითარი თავკერძული...

რამდენჯერ შევსწრებივარ: აი, ძილის წინ საწოლზე ჩამომჯდარი, პირჯვარს იწერს და ბუტბუტებს: „ღმერთო, შენ მიმყოფე კარგად ჩემი ქმარ-შვილი“.

იქნებ, ამ ოცდარვა წლის წინათ — იანვრის ერთ უჟმურ საღამოს, როდესაც გულმა შეუტია და მიმხედავი არავინ გაუჩნდა, ამავე სიტყვებს იმეორებდა ჩემი საბრალო დედა — „ღმერთო, შენ მიმყოფე კარგად ჩემი ქმარ-შვილი“.

ვერავინ უშველა, ვერავინ დაეხმარა...

და გადასახლდა წუთისოფლიდან მარადიულ სოფელში 59 წლის ქალი.

... წავიდეთ ახლა, ბაბუ, შენი ჭამის დროც დამდგარა უკვე. ჩაეკარი შენს დედიკოს მკერდში. მისი სითბო არ მოგაკლოს ღმერთმა, რადგან დედაზე ძვირფასი არავინ ჰყავს ქართველ კაცს ამქვეყნად.

**ვილენ მარდალეიშვილი**



◎ ინფორმაცია

## უარს ვეტყვით „გაზპრომს“?

სასტუმრო „თბილისი მარიოტში“ გუშინ ენერგოუსაფრთხოების საკითხებზე სამუშაო შეხვედრა დაიწყო, რომელშიც რამდენიმე ქვეყნის, მათ შორის აშშ-ს, დიდი ბრიტანეთის, ერაყისა და ლიტვის წარმომადგენლები მონაწილეობენ.

ორდღიანი ღონისძიება საქართველოს ენერგეტიკისა და საგარეო საქმეთა სამინისტროების, დიდი ბრიტანეთის თავდაცვის აკადემიის, აგრეთვე, ოქსფორდის უნივერსიტეტის სახელმწიფო მართვის ინსტიტუტის ორგანიზებით ტარდება.

კონფერენციის გახსნაზე საქართველოს ენერგეტიკის მინისტრმა ნიკა გილაურმა საქართველოში ბოლო წლებში ენერგოუსაფრთხოების კუთხით გადადგმული ნაბიჯები მიმოიხილა და უახლოეს გეგმებზე ისაუბრა.

როგორც ნიკა გილაურმა აღნიშნა, უახლოეს მომავალში საქართველო შეძლებს „გაზპრომისგან“ გაზის შესყიდვაზე უარის თქმას. „საქართველოსთვის მნიშვნელოვანია, ასევე, საკუთარი სატრანზიტო ფუნქციის უკეთ წარმოჩენა“, — აღნიშნა მან.

**ინტერპრესნიუსი**


**სააქციო საზოგადოება „კავკასავტომაგისტრალი“ აქციონერთა საყურადღებოდ**

2007 წლის 21 ივნისს, 12 საათზე გაიმართება სააქციო საზოგადოების აქციონერთა საერთო კრება.

დღის წესრიგი:

1. 2006 წლის სამეურნეო საქმიანობის შედეგები;
2. 2007 წლის პროგრამის განხილვა;
3. წესდებაში ცვლილებების შეტანა;
4. მიმდინარე საკითხები.

კრება გაიმართება სააქციო საზოგადოების იურიდიულ მისამართზე: ქ. თბილისი, ორხევის დასახლება, თეთრიხევის ჰესი, ახვლედიანის ქ. №24.

№ 99. შაბათი, 26 მაისი, 2007 წელი.

# სხვადასხვა

● ჯონდი ბალათურიას უკვე შეტანილი აქვს სარჩელი საკონსტიტუციო სასამართლოში, რომლითაც იგი პედაგოგებისთვის სამთვიანი შრომითი ხელშეკრულების გაფორმებას აპროტესტებს



## ⊙ ინფორმაცია

### სტუმრობა ჩვილ ბავშვთა სახლში

**საქართველოს პირველი ლედი სანდრა რულოვსი და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი ლადო ჭიპაშვილი გუშინ ნუცუბიძის ქუჩაზე მდებარე ჩვილ ბავშვთა სახლს ეწვივნენ.**

სანდრა რულოვსმა და ლადო ჭიპაშვილმა პრეზიდენტის ინიციატივით გადარიცხული თანხით ჩატარებული სარემონტო სამუშაოები დაათვალიერეს, ბავშვთა სახლში არსებულ პრობლემებსა და პატარების ცხოვრების პირობებს გაეცნენ.

ბავშვთა სახლის დირექტორმა სტუმრებთან პატარების ოჯახებში დაბრუნების გზებზე ისაუბრა.

აღსანიშნავია, რომ ბავშვთა სახლში ექიმთა შტატიც გამოიყო, რომელიც აღსაზრდელთა ჯანმრთელობაზე ზრუნავს.

ნუცუბიძის ქუჩაზე მდებარე ჩვილ ბავშვთა სახლში ამჟამად 112 ჩვილი ცხოვრობს.

### აქცია განათლების სამინისტროს წინ

**პოლიტიკური გაერთიანება „ქართული დასის“ ლიდერმა ჯონდი ბალათურიამ და რამდენიმე პედაგოგმა განათლების სამინისტროს წინ აქცია გამართეს.**

**როგორც ბალათურიამ განაცხადა, მისი ძირითადი მოთხოვნა 70-ე საჯარო სკოლიდან გათავისუფლებულ 5 პედაგოგსა და პასუხგაუცემელ ოფიციალურ წერილს ეხება, რომელიც ლომაიას სახელზე გაიგზავნა.**

მისი თქმით, 70-ე საშუალო სკოლის მასწავლებლებს დირექტორის მიერ ყოველთვიურად ხელფასიდან 15 ლარის ოდენობის თანხა ექვითებოდათ, რაც პედაგოგების პროტესტს იწვევდა. საბოლოოდ კი, ეს იმით დასრულდა, რომ დირექტორმა მათ 3-თვიანი ხელშეკრულების ვადის ამოწურვისთანავე სკოლიდან დათხოვნის შესახებ განცხადება გაუფორმა და სამსახურიდან გაათავისუფლა.

რაც შეეხება პედაგოგებს, რომლებიც აქციას ესწრებოდნენ, მათ განაცხადეს, რომ მათი გათავისუფლების ძირითადი მიზეზი იმ უკანონობასთან შეუგუებლობაა, რასაც დირექტორი ჩადიოდა.

ისინი აცხადებენ, რომ ყოველთვიურად ექვითებოდათ თანხები ხელფასიდან, ასევე, დირექტორი მასწავლებლებს ავალებდა კლასებში კომუნალური გადასახადების თანხები აეკრიფათ, რაც მათ პროტესტს იწვევდა.

შეგახსენებთ, რომ ჯონდი ბალათურიას უკვე შეტანილი აქვს სარჩელი საკონსტიტუციო სასამართლოში, რომლითაც იგი პედაგოგებისთვის სამთვიანი შრომითი ხელშეკრულების გაფორმებას აპროტესტებს. ბალათურიას თქმით, ეს ხელშეკრულება პედაგოგის სამსახურიდან ყოველგვარი მოტივით გათავისუფლების საშუალებას იძლევა.

### ვაზაგაშვილი კვლავ დაკითხეს

**2006 წლის 2 მაისს კორტებთან ჩატარებული სპეცოპერაციის დროს დაღუპული ზურაბ ვაზაგაშვილის მამა, იური ვაზაგაშვილი გუშინ კვლავ დაიკითხა...**

ვაზაგაშვილების სახლიდან გამოსულმა გამომძიებელმა, თბილისის პოლიციის სამმართველოს თანამშრომელმა ჟურნალისტებისთვის კომენტარი არ გააკეთა. მან მხოლოდ ის აღნიშნა, რომ ვაზაგაშვილი მოწმის სტატუსით დაიკითხა.

როგორც იური ვაზაგაშვილმა განაცხადა, ავტომანქანა, რომელთან დაკავშირებითაც დაიკითხა, მას კანონიერად ჰყავს.

— ჩემი მეგობრისგან, დავით ბერუაშვილისგან შევიძინე, თუმცა არ გადამიფორმებია. ბერუაშვილს ყველა საჭირო დოკუმენტაცია აქვს, რაც ადასტურებს, რომ იგი ავტომანქანის კანონიერი მფლობელია, — აღნიშნა ვაზაგაშვილმა.

იგი უსაფუძვლოს უწოდებს ავტომანქანით სამართალდამცავების დაინტერესებას და ამის მიზეზად ზეწოლას ასახელებს.

— მათ უნდათ, რომ გავჩუმდეთ, ოჯახზე ზეწოლას ახდენენ. 24 საათი დამდევენ და მითვალთვალებენ. ათი დღის წინათ კი კასპში ჩემს ნათესავთან სახლში ნიღბებით და ავტომატებით შევარდნენ, — განაცხადა ვაზაგაშვილმა.

მისივე თქმით, თუ ავტომანქანა ძებნაში იყო, აქამდე უნდა დაეკავებინათ.

— რამდენჯერმე დამაჯარიმეს, დოკუმენტები შეამოწმეს, ძებნაში რომ ყოფილიყო მანქანა, კომპიუტერი ხომ აჩვენებდა მონაცემებს? — აღნიშნა ვაზაგაშვილმა.

ვაზაგაშვილს სამართალდამცავებმა ავტომანქანა 23 მაისს ბათუმის საქალაქო სასამართლოს ბრძანების საფუძველზე ჩამოართვეს. როგორც ბრძანებაშია აღნიშნული, ავტომანქანა იძებნებოდა. დაზარალებულად ბრძანებაში ბათუმელი ჯონი ცივაძეა დასახელებული.

**ინტერპრესნიუსისა და ჯი-ეიჩ-ენი-ს მიხედვით**

## ⊙ ორბიტაზე

### ძეგლს აუგებენ, ხელთუქმნელს...

**ჩვენი გაზეთის წინა ნომერში გაუწყეთ, თუ როგორ მიესალმა ფეხბურთის მეფე — პელე, თანამემამულის, „ვასკუ დე გამას“ ფორვარდის რომარიოს მიერ მეათასე გოლის გატანას. ახლა კი ბრაზილიიდან იტყობინებიან, რომ უახლოეს ხანში ფეხბურთელს ძეგლს დაუდგამენ რიო-დე-ჟანეიროში, „ვასკუ დე გამას“ სტადიონის შესასვლელთან. მოქანდაკე ოზორიო კორრეას ის თითქმის მზადა აქვს. ბრინჯაოს ძეგლი „ჯუჯა“ ფეხბურთელის სიმაღლისაა (169 სმ).**

მსოფლიოს, ესპანეთის, ბრაზილიისა და ნიდერლანდების ჩემპიონს ბრაზილიის ფეხბურთის კონფედერაციის პრეზიდენტი რიკარდუ ტეიშეირა გადასცემს სამახსოვრო მედალსა და ბრაზილიის ნაკრების ყველა მოთამაშის ხელმოწერილ ნაკრების მაისურს.

### „ინტერი“ — ირანსა და ავღანეთს

**იტალიის წლევანდელი ჩემპიონი — მილანის „ინტერი“ დაეხმარება ირანსა და ავღანეთს ეროვნული ფეხბურთის განვითარებაში, მონაწილეობას მიიღებს რა ფეხბურთის ეროვნული აკადემიების საქმიანობის გაფართოებაში.**

„ინტერმა“ უკვე შექმნა რამდენიმე საფეხბურთო სკოლა — აბადანში, ისპაჰანში, თეირანში, — განაცხადა ეროვნული ფეხბურთის აკადემიის თავკაცმა მასუდ მოეინიმ, — ეს კლუბი მონაწილეობას მიიღებს ნაჰავანდში აკადემიის ჩამოყალიბებაში. კლუბის მიზანია ფეხბურთის ნორჩი ტალანტების აღზრდა ჩვენს ქვეყანაში“.

### მთაო, გადმიშვი, გადმიშვი!

**სახელგანთქმულმა რუსმა მთასვლელმა სერგეი ბოგომოლოვმა შეწყვიტა მსოფლიოს ერთ-ერთ უმაღლეს მწვერვალზე ანაპურნუზე (8091 მ) ასვლა და დაბრუნდა საბაზო ბანაკში.**



— ჩვენ დიდმა თოვლმა შეგვაჩერა, — განაცხადა ალპინისტმა, — ამ მთაში ძალზე ბევრია, თანაც სველი და მოძრაობა თითქმის შეუძლებელი იყო. ვერაფერში შემოგვედავებიან, თოკები თითქმის სამ კილომეტრზე გავჭიმეთ, მაგრამ მთა უფრო ძლიერი აღმოჩნდა, 7 100 მეტრზე ზევით არ აგვიშვა. იქ ესპანელებსაც ჰქონდათ ბანაკი, მაგრამ კარვებთან ყველა მისასვლელი სველმა თოვლმა ჩახერგა. ერთადერთ ვიწრო გასასვლელში უმაგრესი ყინულის მსხვრევაც კი მოგვიხდა. მაგრამ დამრეც ფერდობზე, პლატოზე რომ უნდა გავეყვანეთ, მუხლამდე თოვლში ჩავცვივდით. ივლისში ყაზახურ ექსპედიციასთან ერთად ალბათ K-2-ს დავლაშქრავთ ჩინეთის მხრიდან.

### საბავშვო ეტლი — სიმბოლურად?

**იტალიელი** მოდელი და ინგლისური „მანჩესტერ სიტის“თავდამსხმელი ბერნანდო კორადოს საცოლე ელენა სანტარელი უარყოფს ინფორმაციას მისი ფეხმძიმეობის შესახებ, რაც იტალიურმა პრესამ იმას დაუკავშირა, რომ ფეხბურთელმა განაცხადა „მალე მამა გავხდებიო“, თანაც ელენამ წონაში მიიმატა.

როგორც ლამაზმანმა განაცხადა, ისინი ნამდვილად ფიქრობენ ქორწილზე, მაგრამ ბავშვზე ლაპარაკი ჯერ ადრეაო.



კითხვაზე, თუ რასთან დაკავშირებით შეიძინა ბერნანდომ საბავშვო ეტლი, ელენამ უპასუხა, რომ ეს სიმბოლური საჩუქარია მისი მხრიდან. თუმცა, როგორც ამბობენ, ასეთ რამეს ასე უბრალოდ არ ყიდულობენ. ეს კი საბოლოოდ მაშინ დადასტურდება, როცა ფეხბურთელი პამპერსების შეძენასაც დაიწყებს...

## ⊙ მოგვმართავენ, გვეკითხებიან

რუბრიკას უძღვება გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ იურიდიული კონსულტანტი ირინე ღლონტი.

**კითხვა: 5 თვის წინათ, დაწესებულების გაუმართავი შრომის პირობების გამო მძიმედ დავშავდი, საწარმოო ტრამვის გამო I ჯგუფის ინვალიდი გავხდი, ჩავიტარე ძვირადღირებული მკურნალობა. გთხოვთ, განმიმარტოთ, ვალდებულია თუ არა დაწესებულების ადმინისტრაცია, ამინაზღაუროს მკურნალობის ხარჯები?**

**მერაბ ბაბუციძე**

**პასუხი:** საქართველოს შრომის კოდექსის 35-ე მუხლის შესაბამისად, დამსაქმებელი ვალდებულია, სრულად აუნაზღაუროს დასაქმებულს სამუშაოს შესრულებასთან დაკავშირებული ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებით მიყენებული ზიანი და აუცილებელი მკურნალობის ხარჯები.

* * *

**კითხვა:** ვმუშაობ ცვლებში. ამ რამდენიმე დღის წინათ, შეცვალეს გრაფიკი ისე, რომ არაფერი შემატყობინეს. ჰქონდათ ამის უფლება?

**თქვენი ერთგული მკითხველი**



**პასუხი:** ცვლიანობის განრიგში ცვლილებების შეტანის შესახებ დასაქმებულს უნდა ეცნობოს 10 დღით ადრე, თუ ეს შეუძლებელი არ არის უკიდურესი საწარმოო აუცილებლობის გამო.

* * *

**კითხვა: დაწესებულების ადმინისტრაციამ მივლინებაში გამგზავნა ორი თვით, რამაც მძიმე დაღი დაასვა ჩემს ისედაც შერყეულ ჯანმრთელობას. გთხოვთ, განმიმარტოთ, მიიჩნევა თუ არა აღნიშნული შრომის ხელშეკრულების პირობების შეცვლად?**

**რეზო ესებუა**

**პასუხი:** დამსაქმებლის მიერ დასაქმებულის მივლინებაში გაგზავნა არ მიიჩნევა შრომითი ხელშეკრულების პირობების შეცვლად. თუ მივლინების პერიოდი არ აღემატება წელიწადში 45 კალენდარულ დღეს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შრომის კოდექსის მე-12 მუხლის შესაბამისად, ამ ვადის გადამეტებით (თქვენს შემთხვევაში — 2 თვით) მივლინებაში გაგზავნა შრომითი ხელშეკრულების შეცვლად მიიჩნევა.

**მოგვმართეთ, შეგვეკითხეთ: 98-96-33.**


**სს „მცხეთის ნავთობპროდუქტის“ აქციონერთა საყურადღებოდ!**

**2007 წლის 15 ივნისს 14 სთ-ზე გაიმართება სს „მცხეთის ნავთობპროდუქტის“ აქციონერთა საერთო კრება საზოგადოების იურიდიულ მისამართზე: მცხეთის რ-ნი, სოფ ძეგვი.**

**დღის წესრიგი:**

1. განვლილი წლის სამეურნეო შედეგების განხილვა;
2. აუდიტის არჩევა;
3. სხვადასხვა.

შპს „სანუგი“ აცხადებს ლიკვიდაციას. დაინტერესებულმა პირებმა გთხოვთ მოგვმართოთ მისამართზე: ქ. თბილისი, შავიშვილის ქ. №1-ში, ტელ: 30-94-93.

**შპს „სანი ჯორჯია თრეველი“ აცხადებს ლიკვიდაციას. დაინტერესებულ პირებს გთხოვთ მოგვმართოთ მისამართზე თევდორე მღვდლის II ჩიხი, № 8, ტელ:. 35-68-42.**

**რეკლამა**
„საქართველოს რესპუბლიკაში“
98-96-32; 899 328576

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ცხადია, ყველა ადამიანს აქვს უფლება, ნებისმიერი გადაწყვეტილება მიიღოს, სურვილისამებრ მოიქცეს, თუმცა სახელოვანი სპორტსმენები მხოლოდ საკუთარ თავს არ ეკუთვნიან — მათ უკან ქომაგთა მილიონიანი არმია დგას**



სეოკი

# ხომ არ იჩქარე, ლუკა!

**საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის აღმასკომის სხდომა სეოკის პრეზიდენტმა ბადრი პატარკაციშვილმა გახსნა. შემდეგ აღმასკომის ახალ წევრად მიიღეს თბილისის ვიცე-მერი გიორგი მელაძე, რომელიც ამას წინათ დედაქალაქის ოლიმპიური კომიტეტის თავმჯდომარედ აირჩიეს.**

სხდომაზე მოისმინეს ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტის კახა გეწაძის, ეროვნული ნაკრები გუნდების მთავარი მწვრთნელების — ზაზა თურმანიძის (თავისუფალი ჭიდაობა), ბეგი დარჩიას (ბ/რ ჭიდაობა) და შოთა ხაბარელის (ძიუდო) ინფორმაციები ევროპის ჩემპიონატების შედეგებისა და მსოფლიო ჩემპიონატებისთვის მზადების შესახებ. პეკინის თამაშებზე ოლიმპიურ სოფელში საქართველოს მისიის ხელმძღვანელად კვლავ ლერი ხაბელოვი დაამტკიცეს. ითქვა ისიც, რომ 21-28 ივლისს ბელგრადში ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიურ ფესტივალზე ქართველი სპორტსმენები ჩოგბურთში, ძიუდოში, მძლეოსნობაში, ტანვარჯიშში, ცურვასა და ველოსპორტში იასპარეზებენ.

თითქოს ყველაფერი მშვიდობიანად უნდა დამთავრებულიყო, რომ ბოლო ინფორმაცია სახელოვანმა ფალავანმა ლუკა კურტანიძემ გააკეთა. იგი ამას წინათ ევროპის ათლეტთა კომისიის სხდომაზე იმყოფებოდა. იქაურ ამბებს რომ მორჩა, მერე გამაოგნებელი განცხადება მოვისმინეთ — დიდი მადლობა ოცდაშვიდწლიანი ერთობლივი თანამშრომლობისთვის, ყველანი მიყვარხართ, ვიცი, სამშობლოსთვის კიდევ შემიძლია ხარკის გაღება, მაგარმ დიდი სპორტიდან მივდივარო.

ოლიმპიური თამაშების ორგზის ბრინჯაოს პრიზიორი, მსოფლიო ჩემპიონატების ორ-ორი ოქრო-ვერცხლისა და ერთი ბრინჯაოს მედლის კავალერი, ხუთგზის ევროპის ჩემპიონი, სამგზის მეორე და ორგზის მესამე ადგილების მფლობელი ქართველი ფალავანი, რომელსაც 16 აპრილს 35 წელი შეუსრულდა, ჯერ კიდევ ახალი სეზონის დასაწყისში ოლიმპიურ ოქროზე ოცნებობდა.

რა მოხდა? რა იმალება მისი გამოსათხოვარი სიტყვის ბოლო აბზაცში? — **„ღმერთმა იცის, რამდენი რამე მაქვს სათქმელი, თუმცა, აჯობებს, გავჩუმდე და უფალს შევთხოვო ჩვენი გამარჯვება საერთო მომავლისათვის“.**

ლუკამ ისიც გვითხრა: **„მიმაჩნია, რომ სწორი გადაწყვეტილება მივიღე. წლების შემდეგ, როცა განვლილ გზას გავიხსნებ, ვფიქრობ, ამ ნაბიჯს ისე მოვიგონებ, როგორც ღირსეულს. მსურს, ვახტანგ ბალავაძის სახელობის ტურნირზე ვიჭიდაო და ქომაგებს იქ დავემშვიდობო, როგორც სპორტსმენი“.**

ცხადია, ყველა ადამიანს აქვს უფლება, ნებისმიერი გადაწყვეტილება მიიღოს, სურვილისამებრ მოიქცეს, თუმცა სახელოვანი სპორტსმენები მხოლოდ საკუთარ თავს არ ეკუთვნიან — მათ უკან ქომაგთა მილიონიანი არმია დგას.

გუშინ ერთ-ერთმა გაზეთმა დაწერა, კურტანიძის განცხადებამ მოწმენდილ ცაზე მეხივით დაიგრუხუნაო. მართლაც რომ, ასე იყო. საყვარელ სპორტსმენთან შელევა იოლი როდია.

**ხომ არ იჩქარე, ლუკა?**

**ვაჟა დანელია**

ფეხბურთი

# მეზობელო, კარისაო...



**ხვალ, 20 საათზე, ეროვნულ სტადიონზე დავით ყიფიანის სახელობის „ყაზბეგის“ თასის გათამაშების შარშანდელი ფინალი გამეორდება: „ამერი“ — „ზესტაფონი“.**

შეგახსენებთ, რომ მაშინ პენალტების სერიაში გამარჯვება გლდანელებმა მოიპოვეს. საინტერესოა, შეძლებენ ყვირილასპირელები რევანშის აღებას? სხვათა შორის, თემურ მახარაძის გუნდი ზედიზედ მესამედ გამართავს გადამწყვეტ შეხვედრას, მაგრამ ჯერჯერობით საპატიო ჯილდოს ერთხელაც ვერ დაეუფლა. იქნებ დღეს გატყდეს ნავსი.

დავძენთ, რომ პროფესიული ფეხბურთის ლიგამ სპონსორთა შემწეობით დასკვნითი რაუნდის მონაწილეთათვის სოლიდური ფულადი პრიზები დააწესა, სიახლე კი ის გახლავთ, რომ მატჩს თურქ მსაჯთა ბრიგადა მოემსახურება *(მთავარი არბიტრი ქიუნეთ ჩაქირი).*

ჩემპიონთა ლიგა



# მეშვიდე გაელვება

**მთავარი** რომ ტაბლოა, კიდევ ერთხელ დაამტკიცა კარლო ანჩელოტის გაწვრთნილმა „მილანმა“. მართალია, ტერიტორიულ და, დროის უმეტეს ნაწილში, სათამაშო უპირატესობას „ლივერპული“ ფლობდა (განსაკუთრებით შესვენებამდე), მაგრამ გადამწყვეტი მაინც კაკას, პირლოსა და ინძაგის უმაღლესი საშემსრულებლო ოსტატობა აღმოჩნდა.

**„მილანი“ – „ლივერპული“ 2:1 (1:0)**

**გოლები: ინძაგი (45, 82 წთ.); კუიტი (89 წთ.).**

შარშანწინდელი დაუვიწყარი ფინალისგან განსხვავებით, რაფაელ ბენიტესმა ამჯერად მეტისმეტად დააგვიანა ბრძოლაში დამატებითი მოიერიშე ძალების ჩაბმა, თუმცა, რატომღაც ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, რომ ინგლისელები ისედაც განწირულნი იყვნენ. საილუსტრაციოდ გავიხსენოთ ის მთელი რიგი მომენტები, როცა უბერებელი მალდინი (იგი მერვედ გამოვიდა მინდორზე ფინალში და ამ მაჩვენებლით „რეალის“ რეკორდსმენ თავდამსხმელ ფრანსისკო ჰენტოს გაუტოლდა) დაცვის ცენტრში მიუტევებელ შეცდომებს უშვებდა, რომლებიც დაუსჯელი დარჩა.

დასასრულს, ჩვენი თანამემამულის ინდივიდუალური მიღწევის შესახებაც: კახა კალაძე პოსტსაბჭოთა სივრციდან პირველი ფეხბურთელი გახდა, ვინც ჩემპიონთა ლიგა მეორედ მოიგო. ვიმედოვნებთ, „ჯვაროსანთა“ კაპიტანს მალე სატრაბახოდ საქმე ეროვნული ნაკრების მაისურითაც ექნება.

**გია პლატონიშვილი**




კალათბურთი

# ვერისაკენ ჰერი, ჰერი!



**ქართული** საკალათბურთო სეზონი ვერის ბაღში დაგვირგვინდება — ზეგ მიხეილ კეკელიძის სახელობის დარბაზში ქვეყნის ახალი ჩემპიონი „აზოტი“ და ეროვნული თასის მფლობელი „ავიამშენი“ სუპერთასს გაითამაშებენ.

შეგახსენებთ, რომ რუსთაველებმა წლეულს მხოლოდ ორი მატჩი წააგეს და ორივე მომავალ მეტოქესთან (თითოჯერ სუპერლიგასა და სათასო ფინალში). ასე რომ, მათ შორის ამჯერადაც პრინციპული ბრძოლაა მოსალოდნელი, რომელშიც ფავორიტად „ჯვაროსანთა“ საბაზო კლუბი ითვლება.

ამ მოსაზრებას გაზეთ „ლელოს“ ამასწინანდელი გამოკითხვის შედეგებიც ამყარებს, სადაც მწვრთნელებმა და ჟურნალისტებმა უპირატესობა „აზოტის“ მცველებს კოტე ტუღუშსა და ლაშა გამყრელიძეს მიანიჭეს. რაც შეეხება კალათბურთის ფედერაციის ვერსიას, იგი წლის ლაურეატებს ზეგ ვერის ბაღში დაასახელებს.

ჭადრაკი

# რუბიკონი გადალახეს

**ეკატერინბურგში გრძელდება მოჭადრაკე ქალთა პირველი გუნდური მსოფლიო ჩემპიონატი 10 ნაკრების მონაწილეობით.**

მეოთხე ტურში ქართველი ქალები მრისხანე მეტოქეს — ახალგაზრდა ჩინელებს ხვდებოდნენ, რომლებმაც მანამდე სამ შეხვედრაში მხოლოდ 0,5 ქულა დაკარგეს. ჩვენი გუნდი, ეტყობა, ლიდერთან სათამაშოდ კარგად განეწყო და ფრესაც (2:2) მიაღწია: მაია ჩიბურდანიძე და ნინო ხურციძე, შესაბამისად, ჭაო სიყეს და რუან ლუფეის დაუზავდნენ, ლელა ჯავახიშვილმა ჰოუ იფანს სძლია, ხოლო სოფიო გვეტაძე შენ იანგთან დამარცხდა. მეოთხე ტურის დანარჩენი მატჩები ასე დამთავრდა: ვიეტნამი — ჩეხეთი 3:1, ბოტსვანა — სომხეთი 0:4, გერმანია — უკრაინა 2:2, რუსეთი-პოლონეთი 2,5:2,5.

მეხუთე ტურში ჩვენმა მოჭადრაკეებმა რუსებთან 1:3 წააგეს. გაუწყებთ დანარჩენი შეხვედრების შედეგებს: პოლონეთი — ვიეტნამი 2:2, უკრაინა — ჩინეთი 0,5:3,5, სომხეთი — გერმანია 1,5:2,5, ჩეხეთი — ბოტსვანა 4:0.

9 ქულით ერთპიროვნულად კვლავ ჩინეთი (17) ლიდერობს. ქულით ნაკლები აქვთ რუსებს (12). მომდევნო ადგილზე მოდიან: უკრაინა — 7(12), საქართველო — 6(11,5), პოლონეთი — 5(10,5), ვიეტნამი — 5(8,5), სომხეთი — 4(12), გერმანია — 4(8,5), ჩეხეთი — 2(8), ბოტსვანა — 0(0).

გუშინ მოჭადრაკეები ისვენებდნენ. დღეს მეექვსე ტურში ითამაშებენ: ვიეტნამი — ბოტსვანა, გერმანია — ჩეხეთი, ჩინეთი — სომხეთი, რუსეთი — უკრაინა, პოლონეთი — საქართველო.

**თამარ გეჯაძე**

# ახალი დიდოსტატის ახალი სიმაღლე

**თბილისის ჭადრაკის სასახლეში დამთავრდა 20 წლის მოჭადრაკეთა საქართველოს პირველობა, რომელშიც სხვადასხვა რეგიონის 60-მდე წარმომადგენელი მონაწილეობდა.**



გოგონებში შესანიშნავად იასპარეზა თელაველმა ბელა ხოტენაშვილმა, რომელმაც 9 შესაძლებლიდან 7,5 ქულით ჩემპიონობა მოიპოვა. გამარჯვებულს თითო ქულით ჩამორჩნენ გურჯაანელი მაკა ფურცელაძე და ბათუმელი მირანდა მიქაძე. უკეთესი კოეფიციენტით ვერცხლის მედალი მიქაძეს ხვდა.

ვაჟებში ბოლო ტურის შემდეგ ბათუმელ გაიოზ ნიგალიძესა და გორელ დავით მაღალაშვილს ერთნაირი შედეგი აღმოაჩნდათ — 7 ქულა თითოეულს. გამარჯვებული აქაც კოეფიციენტმა გამოავლინა — მსოფლიო პირველობის (ოქტომბერში ერევანი უმასპინძლებს) საგზური ხოტენაშვილთან ერთად ნიგალიძეს ერგო. 6 ქულით მესამე იყო შოთა აზალაძე.

ჭადრაკის ფედერაციამ გამარჯვებულები და პრიზიორები შესაბამისი ხარისხის მედლებითა და დიპლომებით დააჯილდოვა.

ასპარეზობის შემდეგ ვესაუბრეთ გოგონებში გამარჯვებულ **ბელა ხოტენაშვილს,** თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მე-2 კურსის სტუდენტს, სხვადასხვა ასაკში საქართველოს ექვსგზის ჩემპიონსა და თექვსმეტწლიანებში მსოფლიო პირველობის ოქროს მედლის მფლობელს, რომელიც ამას წინათ ბაქოში ჰეიდარ ალიევის ხსოვნის ტურნირში მონაწილეობდა და მესამედ შეასრულა ქალებში დიდოსტატისა და ვაჟებში საერთაშორისო ოსტატის ნორმა. ამ წოდებებს მას ფიდეს უახლოეს კონგრესზე მიანიჭებენ.

— ძლიერმა შემადგენლობამ მოიყარა თავი, — თქვა მან. — შეჯიბრებაში ერთი დიდოსტატი (ფურცელაძე) და ორი საერთაშორისო ოსტატი (გავაშელიშვილი და ბაციაშვილი) მონაწილეობდნენ. მიხარია, რომ ძლიერ კონკურენტებთან ბრძოლაში გავიმარჯვე. უნივერსიტეტში საზაფხულო სესიამ ხელი თუ არ შემიშალა, ხუთი ივნისიდან მაიას თასის გათამაშებაზე მინდა ვიასპარეზო, ზაფხულში თურქეთის რომელიმე ტურნირზე გამოვალ, რათა ოცწლიანთა მსოფლიო პირველობისთვის კარგად მოვემზადეთო.

**ლელა ღონღაძე**

**სურათზე: მარცხნიდან — შოთა აზალაძე, მაკა ფურცელაძე, დავით მაღალაშვილი, მირანდა მიქაძე, გაიოზ ნიგალიძე და ბელა ხოტენაშვილი.**
**ავტორის ფოტო.**

№ 99. შაბათი, 26 აპრილი, 2007 წელი.

# კულტურა

● 35 წლის შუალედის შემდეგ ზურაბ სოტკილავა ელდარ გეწაძესთან ერთად აბესალომისა და მურმანის დუეტს იმღერებს ზ. ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერიდან“. საიუბილეო დღეების გაგრძელება იქნება ხობში ფესტივალის ფარგლებში 3 ივნისს გამართული საღამოც, რისთვისაც რუსეთიდან ხობს საგანგებოდ 150 კაცი ეწვევა




◎ ლექსი – მეგზური

ნოდარ ჯალაღონია

## სამშობლო სულ სხვა ღმერთია

### მიწა ფიცვერცხლით შეჭმული

„ქართველებო, ძმებო! ცხადად ვხედავთ, აუცილებელი სიკვდილი მოსულა ჩვენზე. რომელი გინდათ: სახელით სიკვდილი მამულისათვის და კარგი მეფისათვის, თუ უნამუსო სიცოცხლე?...

... სიკვდილი გვირჩევნია... — გმადლობთ ძმებო!

მაშ, სამი თითით ყველამ მიწა ავიღოთ, შევჭამოთ, ეს იყოს წმიდა საიდუმლოს (ზიარების) მაგიერი, მას უკან საიქიოს წავიდეთ სახელოვნად!“

კრწანისის ველზე თავად გიორგი გურამიშვილის მიერ წარმოთქმული სიტყვიდან

თუ სიყვარული მამულის გულით
გვშია და გვწყურია,
სამშობლოს მიწა და წყალი ჩვენი
არსობის პურია.

ამიტომ, ბევრი ქვეყნისთვის,
მამულისათვის ეწამა,
ჯავრისგან მიწა შეჭამეს,
სირცხვილი რომ არ ეჭამათ.

როს გულმა ფიცვერცხლ ნაჭამმა
ბიჭები გააფოლადა:
— სამშობლოს ვინც უღალატოს,
დედა შეერთოს ცოლადა!

თქვეს და ვაჟკაცთა ლაშქარი მომხვდურს
გულდაგულ ეკვეთა,
სურვილით დედა-სამშობლოს
და არა მარტო მეფეთა.

მეფენი მიდი-მოდიან,
სამშობლო რჩება უცვლელი,
ეს მათი სისხლით გაბრწყინდა
„ქართლის ცხოვრების“ ფურცელი.

ვერ მოერია დრო-ჟამი სამშობლოს
მადლით შემოსილთ
და იქცნენ ქვეყნის ხატებად
და მიწად საქართველოსი.

იქცნენ „ვარციხედ“, „ქვაციხედ“,
„ველის ციხედ“ თუ „მკვდრის გორად“,
მათმა ნებამ და სახელმა
სამშობლო გაადიდგორა.

და დღესაც, მათი ხმა ისმის
ცოცხლების გასაგონადა:
— ვინც უღალატოს სამშობლოს,
დედა შეერთოს ცოლადა!

### სანამდე უნდა ვითმინოთ

ღმერთია მოწმე, ამ ქვეყნად
არ გაჩენილა თავისით,
არც თამარშენი თამარის
და არც გარეჯი დავითის.

ნეტავ, დღეს ვინ გვედავება,
რა სინდისით და პირითა,
ნაგებს ქართული სისხლ-ოფლით,
ქართული ქვით და კირითა.

ქვეყნის მტერი და ორგული
სანამდე უნდა ვაცინოთ,
სანამდე უნდა შორიდან
ვეფეროთ და ველაციცოთ.

ჩვენს ციხე-კოშკებს, ჩვენს ტაძრებს,
ჩვენს საფიცარს და სალოცავს,
სანამდე უნდა გავუძლოთ ამ
წუთისოფლის გამოცდას.

სანამდე ვიხეტიალოთ ფიქრებითა
და ოცნებით,
სანამ ვეძებოთ კლდე-ღრეში
მიტოვებული ლოცვები.

სანამდე ვიშორიშოროთ ჩვენი
სისხლ-ოფლით ნაჯერი,
ტაო-კლარჯეთის მიწა თუ
გარეჯის მიწის ნაჭერი.

სანამდე უნდა გვიმზერდეს დუშმანის
თვალი გამწყრალი,
სანამდე გვქონდეს სადაო სამშობლოს
მიწა და წყალი.

### მოსალოც-მოსაფერები

ქართული სიტყვა და სისხლი უცხო
მიწაზე დაღვრილი,
ღმერთს ავედრებდა სამშობლოს,
მამულზე ლოცვით დაღლილი.

ვაგლახ! რამდენი შორს დაგვრჩა
მოსალოც-მოსაფერები,
სახლები და საფლავი ჩვენი
მონაზონ-ბერების.

ვინც იქ ლოცვით და კურთხევით
ქვეყნის ბედ-იღბალს კვერავდა
და საქართველოს სახელი ტანს ეცვა
ჯაჭვის პერანგად.

ვინც უპატრონა ქართულ წიგნს,
დასისხლულ ქორონიკონებს,
მათ სახელს დედა-სამშობლო
არ ივიწყებს და იგონებს.

არ ივიწყებს და იგონებს,
ადიდგულებს და ახარებს,
ვინც დღესაც უცხო მიწაზე
მამულზე ფიქრით ალამებს.

ვინც უცხო ცის ქვეშ არ იშლის მამულზე
ფიქრს და ოცნებას,
ვინც იცავს თავის ხალხის და
სამშობლოს პატიოსნებას.
ვინც ღმერთისა და მამულის
ლოცვა-ვედრებით ილლება,
მისთვის სამშობლოს კარი და
სამოთხის კარიც ილება.

### ჩვენებურები

სარწმუნოებისათვის თავდადებული ლაზები წმინდანებად შერაცხა ქართულმა ეკლესიამ. მათი ხსენების დღედ 12 მაისი ძვ. სტ. 29 აპრილი დააწესა.

თქვენზე წუხილი ჩვენ ბევრჯერ
ცრემლებად გადავიგორეთ,
გულს კლავდა თქვენი დუმილი და
უფრო — თქვენი სიშორე.

იმ ოცნებიდან, ფიქრიდან, —
იმ ძველი საქართველოდან,
ფარნავაზ-ქუჯის სამშობლო დიდი
ხანია გელოდათ.

ლეგენდები და მითები წინ
მიგვიძღოდა ხატებად
და ჰგავდა სიზმრის ახდენას
თქვენი აქ გამოცხადება.

დიდ წინაპართა სულები
დღეს საფლავიდან დგებიან,
ნიკორწმინდა და ჭყონდიდი
თქვენ წინაპართა ძვლებია.

მჯერა, აწი არ იქნებით
სამშობლოსათვის ხიზნები,
საქართველოში ივლიან თქვენი
ფიქრი და სიზმრები.

კვლავ გელით ნოქალაქევი,
ის ზღვა და დიოსკურია,
ისევე, თქვენი სიტყვები და
სიყვარული სწყურიათ.

მარტვილი ისევ თქვენს ბედზე იმარტვილებს
და იდარდებს,
რომელ ხატზეც გსურთ ილოცეთ,
საქართველო კი გიყვარდეთ.

2007 წელი

◎ სამშობლო გულში იხუტებს

## როგორ შეაყვარა „ფრანგ ქართველ“ ბიჭუნას ზურაბ სოტკილავამ საქართველო

ზურაბ სოტკილავას ყოველი ჩამოსვლა მშობლიურ ქვეყანაში საოპერო ხელოვნების მოყვარულთათვის ზეიმის ტოლფასია. სამ ათეულ წელზე მეტია ქართული ვოკალური სკოლის (დავით ანდღულაძის მოწაფე) ამ ღირსეულმა წარმომადგენელმა თავისი შემოქმედებითი ცხოვრება დაუკავშირა მოსკოვის დიდ თეატრს, თუმცა, თავისი ულამაზესი ტემბრის ხმით, ემოციითა და ტემპერამენტით მსოფლიოს მრავალი ქვეყნის წამყვანი საოპერო სცენის მუდამ სასურველი და აღიარებული მომღერალია. მისი რეპერტუარი 30-ზე მეტ პარტიას მოიცავს და როგორც თავად ამბობს, ყველა ერთნაირად, შვილივით უყვარს.

„რაც მომწონდა, და მიყვარდა ყველა პარტია ვიმღერე“, ამის თქმის საბაბი მომღერალს დღეს უკვე აქვს, როცა გავლილია მისი შემოქმედებითი ცხოვრების გარკვეული ეტაპი. განვლილ გზას დაუკავშირდა რუსეთის ქალაქებში — მოსკოვში, პეტერბურგსა და ვლადივოსტოკში გამართული საიუბილეო საღამოები, ამ გამორჩეულ ფაქტს — ხელოვანის დაბადებიდან 70 წლისთავს უკავშირდება მისი ამ დღეებში თბილისში ჩამოსვლაც. „სადაც კი მიმღერია, ყველა ქალაქიდან მირეკავენ და მთხოვენ, რომ საიუბილეო საღამოები გავმართო, მეც შეძლებისდაგვარად ვცდილობ შევუსრულო თხოვნა. ჯერ თბილისში, შემდეგ ხობის ფესტივალზე შევხვდები ქართველ მსმენელს, მერე კი რიგში ბევრზე ბევრი ქალაქი და ქვეყანაა“.

მაგრამ ყველაზე დიდ ჯილდოდ ზურაბ სოტკილავას მსმენელის აღიარება და სიყვარული მიაჩნია. ამის მაგალითად რამდენიმე წლის წინათ პარიზული კონცერტს იხსენებს, როცა მასთან ქართველი ემიგრანტები, დედა-შვილი ერისთავები მისულან, დედას შეუჩივლია: ჩემს შვილს არაფერი სწამს ქართული, ფრანგობა უფრო უნდა, ვიდრე ქართველობაო, კონცერტის შემდეგ აღფრთოვანებულ 15 წლის ბიჭუნას მომღერლისთვის უთქვამს, ამიერიდან მუდამ ვიამაყებ ქართველობითო. მსგავს მაგალითებს ბატონი ზურაბი ბევრს ყვება სიამაყით.

მომღერალს არც საქართველოსა და რუსეთს შორის დაძაბული ურთიერთობის ფონზე უგრძვნია რაიმე უპატივცემულობა, პირიქით, „როცა რუსეთმა რეპრესიული პოლიტიკის გატარება დაიწყო იქ მცხოვრები ქართველების მიმართ, მე მურმანსკში ვიყავი, კონცერტი მქონდა, მაშინ გაავრცელეს ხმა, ვითომ მე დამაჩოქეს, ეს მოჭორილი იყო. კონცერტს დიდი წარმატება და არნახული ტაში ჰქონდა. აი, ეს ტაში იყო სწორედ რუსი ხალხის საპროტესტო აქცია იმ პოლიტიკის გამო, რასაც იმ დროს რუსეთის პოლიცია და ომონი მიმართავდა. მე ხალხით სავსე დარბაზებში ვმღერი და ხალხი ფეხზე ადგომით მხვდება“.

ერთიც არის, რომ ამ გართულებული ურთიერთობის გამო მომღერალი აზერბაიჯანის გავლით ჩამოვიდა თბილისში და რატომღაც საათნახევრის ნაცვლად 5 საათი უმგზავრია, დასვენებაც კი ვერ მოასწრო ხეირიანად, რომ რეპეტიციაზე მოვიდა. საგანგებოდ მასთან შესახვედრად მისულმა ჟურნალისტებმა დრო ვიხელთეთ, რეპეტიციაზე შევიპარეთ და გავიყურსეთ. ბატონი ზურაბი საუკეთესო ფორმაშია, მისი ხმა ძველებურად მომხიბლავად ჟღერს და დარწმუნებით შემიძლია ვთქვა, რომ 29 მაისს თბილისის საოპერო თეატრში გალაკონცერტზე მოსულ მსმენელს დიდი სიამოვნება ელის. ამ დღეს ბატონ ზურაბთან ერთად იმღერებენ და დაუკრავენ: მოსკოვის დიდი თეატრის სოლისტი, ახალგაზრდა ანა აგლატოვა (სოპრანო), საგანგებოდ იტალიიდან წვეული პიანისტი ბორის პეტრუშანსკი, ასევე ქართველი შემსრულებლები ალექსანდრე კორსანტია, მზია ნიორაძე, ელდარ გეწაძე, ნინო ჩაჩუა, ტარიელ ჭიჭინაძე, ვანო გალუაშვილი.

პროგრამას ერთი სიურპრიზი გამოარჩევს. 35 წლის შუალედის შემდეგ ზურაბ სოტკილავა ელდარ გეწაძესთან ერთად აბესალომისა და მურმანის დუეტს იმღერებს ზ. ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერიდან“. საიუბილეო დღეების გაგრძელება იქნება ხობში ფესტივალის ფარგლებში 3 ივნისს გამართული საღამოც, რისთვისაც რუსეთიდან ხობს საგანგებოდ 150 კაცი ეწვევა.

რუსუდან მუხიგულაშვილი

## განცხადება

**სააქციო საზოგადოება „ელვას“ სალიკვიდაციო კომისია ატარებს აუქციონს საზოგადოების ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებების გაყიდვის მიზნით:**

აუქციონზე გასაყიდად გამოტანილი იქნება: 2-სართულიანი შენობა სოფ. ოძისში, საწყისი ფასით 3600 ლარი, საოფისე ფართი 1460 კვ. მეტრი 2-ში განაშენების მიწის ფართთან ერთად საწყისი ფასით 450000 ლარი; ცენტრალური გამანაწილებელი პუნქტი თავისი აღჭურვილობით განაშენების მიწის ფართთან ერთად საწყისი ფასით 12470 ლარი. ფასები მოცემულია დღგ-ს ჩათვლით. აუქციონზე ვაჭრობისას დაცული უნდა იქნეს ფასის მატების ბიჯი ფასის 50 პროცენტის ოდენობით.

აუქციონი ჩატარდება მიმდინარე წლის 26 ივნისს დღის 12 საათზე, სს „ელვას“ ტერიტორიაზე, მისამართი: ქ. თბილისი, **ჯიქიას ქ. №5.**

აუქციონში მონაწილეობის მიღების მსურველი სს „ელვას“ სალიკვიდაციო კომისიაში წარადგენს: განცხადებას; „ბე“-ს ობიექტის ღირებულების 10 პროცენტის გადახდის ქვითარს; პირადობის დამადასტურებელ მოწმობას; მინდობილობას, თუ იგი მოქმედებს იურიდიული ან ფიზიკური პირის სახელით.

აუქციონზე მონაწილეთა განცხადებები მიიღება ყოველდღე 11 საათიდან 16 საათამდე, გარდა შაბათ-კვირისა სს „ელვას“ სალიკვიდაციო კომისიაში მიმდინარე წლის 26 ივნისამდე.

თუ აუქციონის მონაწილე არ გამოცხადდა აუქციონზე, მას „ბე“-ს სახით გადახდილი თანხა არ უბრუნდება.

ობიექტის გაცნობა და დამატებითი ცნობების მიღება დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ ზემოთ აღნიშნულ მისამართზე.

სს „ელვას“ სალიკვიდაციო კომისია

# ქრონიკა

● ჩვენ დავანთებთ მოგონებების სანთლებს, რომლებიც დილამდე არ ჩაქრება. ამით ჩვენ დავამტკიცებთ, რომ ბავშვები, რომლებიც სპორტდარბაზში დაწვეს და დახვრიტეს ბოევიკებმა, ყველას გვახსოვს



◎ დიზაინერთა კონკურსი

## ლამაზი საღამო რესტორან „ქალაქურში“

რესტორანი „ქალაქური“ მასპინძლობდა ახალგაზრდა დიზაინერთა ჩვენება-კონკურსს, რომლის ორგანიზატორი იყო სამოდელო სტუდია „კანდელიბერის“ ხელმძღვანელი ნინო ლურსმანაშვილი. მოწვეულ სტუმრებს შორის იყვნენ ცნობილი სახეები – მომღერალ თამუნა ამონაშვილი, რეჟისორი მანანა ტატიშვილი და სხვები. საღამოს უძღვებოდა ზაზა ალექსიძე. მოეწყო მოდელების ჩვენება, გამოავლინეს საუკეთესოები. პირველი ადგილი მიანიჭეს დიზაინერ ნინო ყურაშვილს, მეორე – ბესო ჯაფარიძეს, მესამე კი მარი ბეკურაშვილს. სწორედ ისინი გახდნენ „ოქროს ნემსის“ მფლობელები. ჩვენება-კონკურსმა მონაწილეთა და დამსწრეთა დიდი მოწონება დაიმსახურა.

**ოლღა ღვინიაშვილი**

## განცხადება

### აუქციონის ჩატარების შესახებ

ქუთაისის საგადასახადო ინსპექცია 2007 წლის 27 ივნისს დღის 14 საათზე, ამბროლაურში, კოსტავას №33-ში (ამბროლაურის ყოფილი საოლქო საგადასახადო ინსპექციის შენობაში) კოოპ. „სოფლმშენკომპლექსის“ ყადაღადადებული ქონების რეალიზაციის მიზნით ატარებს აუქციონს.

სარეალიზაციოდ გამოტანილი იქნება შემდეგი ქონება:

1. ადმინისტრაციული კორპუსი, ერთსართულიანი, ნაგები გვიშტიბის და თეთრი ქვის ბლოკით, საერთო ფართი 20X10 კვმ, ხის კარ-ფანჯარა, შეუმინავი, სახურავი აზბესტის შიფერის, შესაკეთებელია, შეფასეუბლია 5000 ლარად.

2. სამშენებლო მასალები. კუთხოვანა – 150 მმ, 50 მ, 600 ლარად, შველერი – 14 სმ-იანი, 125 მ, 1250 ლარად, შველერი – 18 სმ-იანი 5 მ, 60 ლარად, ბალკა – 40 სმ-იანი, 35 მ 1050 ლარად, ხის კოჭი – 500 მ, 1500 ლარად, აზბესტის შიფერი – 250 ცალი, 1000 ლარად, რამა-ხერხი – 800 ლარად, მორების სახერხი (გაუმართავი) 600 ლარად, თვითნაკეთი სახერხი დაზგა 3 ცალი, 900 ლარად, ქარხნული სახერხი 400 ლარად, ელ-კარადა 100 ლარად, ელძრავი 60 ლარად, ლითონის ჯართი 0,5 ტ. 100 ლარად.

3. ავტომანქანა: გაზ-53-12-01 (ავტოცისტერნა, გაუმართავი) – 3200 ლარად, მაზი 5549 (თვითმცლელი, გაუმართავი) – 5000 ლარად, ზილი მმზ-45021 (თვითმცლელი, გაუმართავი) – 1800 ლარად, ზილ–130 (დაშლილი, გაუმართავი) 350 ლარად, ზილ–10 ბ-1 (ცემენტ. ნახ. მის.) – (დაშლილი)– 1200 ლარად, უაზი-452-დ (ბორტიანი, გაუმართავი) – 1400 ლარად, ზილ-157 (ბორტიანი) – 3500 ლარად, ზილ მმზ-554 (თვითმცლელი, გაუმართავი) – 1900 ლარად, ზილ-157-კდ (ბორტიანი) – 3500 ლარად, ზილ-431412 (ავტოამწე) – 17000 ლარად, კამაზ-5411 (თვითმცლელი) – 14500 ლარად.

სულ სარეალიზაციოდ გამოტანილი ქონების საწყისი ფასი შეადგენს 66770 (სამოცდაექვსი ათას შვიდას სამოცდაათი) ლარს.

მესამე პირები, რომელთაც გააჩნიათ უფლება ამ ქონებაზე, ვალდებულნი არიან ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებანი აუქციონის დაწყებამდე წარუდგინონ ქუთაისის საგადასახადო ინსპექციას.

აუქციონზე მონაწილეობის მსურველი პირი ვალდებულია აუქციონის დაწყებამდე ხაზინის სადეპოზიტო ქვეანგარიშზე წინასწარ გადაიხადოს აუქციონზე გასაყიდად გამოტანილი იმ ნივთის საწყისი ღირებულების 2 პროცენტი, რომლის შეძენასაც იგი აპირებს, რაც გამარჯვების შემთხვევაში ჩაითვლება გადახდილი თანხის ანგარიშში.

ნებისმიერი მყიდველი, რომელიც აუქციონზე შეისყიდის ქონებას, ვალდებულია დაუყოვნებლივ გადაიხადოს მის მიერ შემოთავაზებული ფასის სულ ცოტა ნახევარი, ან 5000 ლარი უმცირესი თანხის მიხედვით, თუ აქციონზე მიღებული იქნა მის მიერ შემოთავაზებული ფასი, ხოლო თანხის დარჩენილი ნაწილი უნდა დაიფაროს რეალიზაციიდან 14 კალენდარული დღის განმავლობაში. თანხის მთლიანად დაფარვამდე მყიდველს არ გააჩნია ქონებაზე საკუთრების უფლება.

ყველა დაინტერესებულ პირს უფლება აქვს ქუთაისის საგადასახადო ინსპექციასთან შეთანხმებით წინასწარ გაეცნოს აუქციონზე გასაყიდად გამოტანილ ქონებას.

**ცნობებისთვის მიმართეთ ქუთაისის საგადასახადო ინსპექციას მისამართზე: ქ. ქუთაისი, რუსთაველის პრ. №1.**

**ტელ.: 8-231-4-20-95, 8-231-4-45-79.**

◎ შავი თარიღი

## ბესლანი – „1000 დღე ბავშვების გარეშე“

30 მაისს 1000 დღე შესრულდება ტრაგედიიდან, როცა 2004 წლის 1 სექტემბერს ბესლანის №1 საშუალო სკოლაში ტერორისტებმა 334 ადამიანი იმსხვერპლეს.

ამ დღისთვის ემზადებიან მშობლები, რომლებსაც, ტრაგედიის დროს შვილები დაეღუპათ.

კომიტეტის აქტივისტები 29-30 მაისის ღამეს მემორიალურ სასაფლაოზე გაათენებენ, სადაც დასაფლავებული არიან ტრაგედიის მსხვერპლნი, – აცხადებს სუსანა დუდიევა, „ბესლანის დედების“ ხელმძღვანელი, ერთ-ერთი დაღუპულის – ზაურის, დედა.

– ამ აქციას ჰქვია – „1000 დღე ბავშვების გარეშე“. ჩვენ დავანთებთ მოგონებების სანთლებს, რომლებიც დილამდე არ ჩაქრება. ამით ჩვენ დავამტკიცებთ, რომ ბავშვები, რომლებიც სპორტდარბაზში დაწვეს და დახვრიტეს ბოევიკებმა, ყველას გვახსოვს. სამწუხაროდ, გავიდა 1000 დღე, მაგრამ არავის უგია პასუხი მომხდარზე, – თქვა სუსანა დუდიევამ.

„ბესლანის დედების“ კომიტეტის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ 23 მაისს ვლადიკავკაზში, ლენინის რაიონის სასამართლოში, უკვე მერამდენედ იწყება დაზარალებულთა განცხადებების განხილვა.

მალგობეკსკის მილიციის თანამშრომელთა საქმეს ყაბარდო-ბალყარეთის სასამართლო 30 მაისს დაიწყებს. პროცესზე გამოძახებულია 200-ზე მეტი ინგუშეთის მოქალაქე. მილიციელებს ბრალი ედებათ ბესლანის ტრაგედიის არასწორ გამოძიებაში.

თუმცა იმ თანამშრომლებმა, რომლებსაც ბრალი ედებათ 293-ე მუხლით (თანამდებობრივი გულგრილობა, რომლის გამოც დაიღუპნენ ადამიანები), ანდრეი მიროსლავმა , ნუგზარ დრიაევმა, თეიმურაზ მურთაზოვმა მიმართეს ფედერალურ სასამართლოს შეწყალება-ამნისტიისთვის. „განსასჯელები თავის ბრალს არ აღიარებენ, და ამნისტიის გზით სურთ თავი აარიდონ პასუხისმგებლობას, ვნახოთ, რა გადაწყვეტილებას გამოიტანს სასამართლო,“ – განმარტა საზოგადოებრივი კომიტეტის „ბესლანის ხმის“ წარმომადგენელმა ელა კესაევმა.

**ოლღა ცისკარიშვილი**

## განცხადება

სს „ელმავალმშენებლის“ აქციონერებს გაცნობებთ, რომ მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის 54-ე მუხლის 54' და 54' პრიმა პუნქტების, სს „ელმავალმშენებლის“ წესდების მე-20 მუხლის 20.5 პუნქტის შესაბამისად სს „ელმავალმშენებლის“ აქციათა 87 პროცენტის მფლობელი „DEMA COMPUTERS LIMITED“-ის მეპატრონემ და გენერალურმა დირექტორმა ოლეგ გიორგის ძე ზირიანოვმა ერთპიროვნულად განიხილა სს „ელმავალმშენებლის“ 2006 წლის საქმიანობის შედეგები და მიიღო შემდეგი გადაწყვეტილება:

1. დამტკიცდეს სს „ელმავალმშენებლის“ გენერალური დირექტორის ზ. ცინცაძის ანგარიში სს „ელმავალმშენებლის“ 2006 წლის საქმიანობის შედეგების შესახებ.

2. დამტკიცდეს სს „ელმავალმშენებლის“ სამეთვალყურეო საბჭოს ანგარიში 2006 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.

3. დამტკიცდეს 2006 წელს მიღებული წმინდა მოგების განაწილების შესახებ დირექტორთა საბჭოს და სამეთვალყურეო საბჭოს ერთობლივი წინადადება „მიღებულ იქნეს ცნობად – საქართველოს საგადასახადო კოდექსის 192-ე მუხლის მე-2 პუნქტის (იურიდიული პირის მიმართ ამ კოდექსით გათვალისწინებული გამოქვითვების გადამეტება ერთობლივ შემოსავალზე გადაიტანება 5 წლამდე ვადით და დაიფარება მომავალი პერიოდების ერთობლივი შემოსავლების ხარჯზე) მოთხოვნის თანახმად, სს „ელმავალმშენებლის“ 2006 წლის მოგება, რომელიც შეადგენს 547 608 ლარს, მთლიანად მიმართული იქნა 2005 წლის ზარალის დასაფარავად“.

**სს „ელმავალმშენებლის“ სამეთვალყურეო საბჭო**

◎ მახსოვრობიდან ვერ წაშლი!

## წარსული, რომელიც გვაშინებს

**წლეულს 1930-იანი წლების საბჭოთა რეპრესიების 70 წლისთავია.** „საიუბილეო“ ათვლის წერტილად რეპრესიების აპოგეა – 1937 წელია აღებული, თორემ, ფაქტობრივად, 1921 წლიდან დაწყებული, ყველა წელი „საიუბილეოა“.

ამ თარიღს დაუკავშირა საზოგადოება „მემორიალმა“ გამოფენა „საბჭოური რეპრესიები საქართველოში – 20-იანი წლების პოლიტპატიმრები“. იგი გვაცნობს იმ წლების სოლვეცკის კონძულის, ნორილსკის, ასტრახანის და სხვა საკონცენტრაციო ბანაკების ბინადარ ქართველებს.

საბჭოთა პერიოდის რეპრესიების ამსახველი გამოფენა თემატურად 3 ნაწილად არის ჩაფიქრებული.

როგორც ვხედავთ, აწინდელი ექსპოზიცია, ასე ვთქვათ, პირველ ეტაპს – 1920-იან წლებს ეკუთვნის. შეგროვილია ასობით ფოტოსურათი – ინდივიდუალური თუ ჯგუფური, რომლებიც იმ წლებში რეპრესირებულთა ყოფას ასახავს, გამოფენილია დღიურები, ჩანაწერები, მაშინდელი გაზეთები.

განზრახულია კიდევ ორი გამოფენის მოწყობა – 30-იანი და 40-50-იანი წლების ფოტომატიანეებისა.

გამოფენის გახსნაზე „მემორიალის“ საქმიანობაზე ილაპარაკა ამ საზოგადოების თავმჯდომარემ ბატონმა ილამაზ მიწიშვილმა.

ექსპონატების შესახებ დამსწრეთ ახსნა-განმარტება მისცა გამოფენის ორგანიზატორმა, „მემორიალის“ თავმჯდომარის მოადგილემ გიორგი სოსელიამ.

ტევადი და შინაარსიანი ექსპოზიცია გვაიმედებს იმ საშინელ და ბოროტ წლებს, გვაფიქრებს წარსულზე და გვაფრთხილებს, რომ მსგავსი რამ აღარასოდეს განმეორდეს.

**ალექსანდრე ავალიანი**

◎ ინფორმაცია

## ვინ შეცვალა ცოცხალი ჩვილი მკვდრით?

**რუსთავის სამშობიარო სახლში 20 მაისს გარდაცვლილი ბავშვის დედა მარიამ გიგაური ამტკიცებს, რომ მისი შვილი ცოცხალია, სამშობიარო სახლში კი ცოცხალი ბავშვი მკვდრით შეუცვალეს.**

როგორც მარიამ გიგაურმა განაცხადა, მეზობელთან ვინმე ციცო ჩიჩუამ დაურეკა, რომელმაც უთხრა, რომ ბავშვი ცოცხალია.

– ამ ქალბატონმა მითხრა, რომ ბავშვი ცოცხალია და რუსთავში, ახალი სამგორის დასახლებაში, ე.წ. რუსების უბანში იმყოფება ცოლ-ქმართან, რომლებსაც შვილი არ ჰყავთ. მას ინფორმაციის სანაცვლოდ არც თანხა და არც ჯილდო მოუთხოვია, უბრალოდ მითხრა, რომ ჩვენს შესახებ ინფორმაცია გაიგო და გადაწყვიტა, დაგვეხმარებოდა, – აცხადებს ბავშვის დედა.

ბავშვის მშობლებმა აღნიშნული სატელეფონო შეტყობინების შესახებ პროკურატურას უკვე აცნობეს.

**ინტერპრესნიუსი**

## განცხადება

2007 წლის 21 ივნისს, დღის 12 საათზე შედგება მცხეთის რაიონის სოფ. ქსანში მდებარე სააქციონერო საზოგადოება „ციცხვი-92“-ის აქციონერთა საერთო კრება.

**დღის წესრიგში შეტანილია საკითხები:**

1) 2006 წლის საანგარიშო წლის შედეგები, მომხსენებელი ს.ს. გენერალური დირექტორი ა. ზოზირაშვილი.

2) სააქციონერო საზოგადოების მიერ მოგებიდან მიღებული თანხების გამოყენება ახალი ტექნიკის შესაძენად, მომხსენებელი ე. ლომია.

დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ დარეკონ: ტელ: 899-418-852.

# ბოლო გვერდი

... მაცხოვრის აღდგომიდან ორმოცდამეათე დღეს მოციქულები ერთად შეიკრიბნენ. მოულოდნელად ხმაური ატყდა, თითქოს ქარმა დაბერაო და იქ მყოფთა თავზე ცეცხლის ენები დაირხა, სულიწმიდის მადლით მაცხოვრის 70 მოციქული სხვადასხვა ენაზე ალაპარაკდა



**სულიერება**

## ღირსი ექვთიმე ათონელი

**26 მაისს საქართველოს სამოციქულო ეკლესია იხსენიებს ღირს ექვთიმე ათონელს, მთარგმნელს. ის იყო ცნობილი ქართველი ბერის, ათონელი მოღვაწის იოანეს ძე.**

... ღირსი იოანე თავის ძესთან და რამდენიმე მოწაფესთან ერთად ათონის მთაზე წავიდა და ღირსი ათანასე დიდის ლავრაში დაეყუდა.

ულუმბოს მთიდან ათონზე გადმოსული ქართველი მამები ფიცხელ მუშაკობაში იყვნენ. ღირსმა ექვთიმემ ჯერ კიდევ მამის სიცოცხლეში იმდენი საღმრთო წიგნი თარგმნა, რომ მათი ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა. იგი სასულიერო მწერლობის ყველა დარგში მოღვაწეობდა. ბიბლიოლოგია, ჰაგიოგრაფია, ასკეტიკა, ლიტურგიკა – აი, სასულიერო მწერლობის ის დარგები, რომელშიც წმიდა ექვთიმეს უმუშავნია.



ღირსი ექვთიმეს ცხოვრების აღმწერელი წმიდა გიორგი მთაწმინდელი 50-ზე მეტ თარგმანს ჩამოთვლის და დასძენს: „ესე ყოველნი და ამათსა ფრიად უმრავლესნი წიგნნი თარგმნნა ღმერთშემოსილმან, მამამან ჩუენმან და ესრეთ აღაორძინა მისდა რწმუნებული იგი ტალანტი“.

მამის გარდაცვალების შემდეგ წმიდა ექვთიმე შეიქმნა წინამძღვარი ათონის ივერთა მონასტრისა, რომელიც მამა იოანემ წმიდა იოანე თორნიკყოფილთან ერთად დააარსა.

გონებით წრფელმა და მდაბალმა, სულით მშვიდმა და განათლებულმა წმიდა ექვთიმემ 14 წელიწადს უწინამძღვრა ათონის ქართველთა მონასტერს, შემდეგ კი, რადგანაც სამწერლო საქმიანობისთვის დრო სჭირდებოდა, მამის ანდერძისამებრ წინამძღვრობა მამა გიორგის გადააბარა, ხოლო თვითონ სენაკში ჩაიკეტა, რათა მთლიანად თარგმნისთვის მიეყო ხელი.

... ერთხელ მამა ექვთიმე იმპერატორმა კონსტანტინე მერვემ დაიბარა. სტუმრობის შემდეგ მამა ექვთიმემ მხატვართან მიბარებული ხატის სანახავად წასვლა გადაწყვიტა. მას ახლად ნაყიდი ჯორი შეუკაზმეს. გზაზე შავით შემოსილი გლახაკი გადაუდგა და მოწყალება სთხოვა. ღირსმა მამამ ჯიბეში ჩაიყო ხელი. ჩამოძონძილი გლახაკის დანახვაზე ჯორი შეშინდა, აიწყვიტა და წმიდანი ძირს ჩამოაგდო.

მომაკვდავ წმიდა ექვთიმეს მთელი საბერძნეთი დასტიროდა. მისი პატიოსანი ნაწილები წაასვენეს ათონის მთაზე და დაკრძალეს „სამარხოსა ლუსკუმასა ტაძარსა შინა წმიდისა ნათლისმცემლისასა“.

## სულთმოფენობა

**27 მაისს საქართველოს სამოციქულო ეკლესია სულთმოფენობის დღესასწაულს ზეიმით აღნიშნავს.**

... მაცხოვრის აღდგომიდან ორმოცდამეათე დღეს მოციქულები ერთად შეიკრიბნენ. მოულოდნელად ხმაური ატყდა, თითქოს ქარმა დაბერაო და იქ მყოფთა თავზე ცეცხლის ენები დაირხა, სულიწმიდის მადლით მაცხოვრის 70 მოციქული სხვადასხვა ენაზე ალაპარაკდა. ხმაურზე უამრავი ხალხი შეიკრიბა. ბევრმა ვერ ახსნა ამ უჩვეულო მოვლენის მიზეზი, მაგრამ ვინც იწამა უფლის სიტყვები, მიხვდა, რომ ადამიანებს აღუდგათ და განუმტკიცდათ ის კავშირი, რომელიც ბაბილონის გოდოლის შენების დროს დაკარგეს. სულიწმინდის მადლი კი გადმოვიდა უფლის მოწაფეებზე, რომლებსაც უნდა ექადაგათ მთელ მსოფლიოში ჭეშმარიტი სარწმუნოება.

... ეს იყო განსაკუთრებული დღე. ამ დღეს დაარსდა ქრისტეს ეკლესია, რომელიც წარმოადგენს ზეციურ სამეფოს დედამიწაზე. მისი პირველი მეთაურები იყვნენ მოციქულები, რომლებსაც უფლის ხელდასხმით მიეცათ ნიჭი ქრისტეს წიალში ადამიანთა მოსაწოდებლად. მას შემდეგ ადამიანებს აღარ ემუქრებათ საშიშროება ღმერთთან კავშირის განწყვეტისა, რადგან ეკლესია თავად ქრისტეს სხეულია, ხოლო ყოველი მორწმუნე ადამიანი – სხეულის ნაწილი, გაერთიანებული ხილული და უხილავი სამყარო, ის, რაც ჩვეულებრივი თვალისათვის მიუწვდომელია და მხოლოდ მადლის მიერ გარდაქმნილი ადამიანის შინაგანი ბუნებისთვის არის მისაწვდომი.

... ეკლესიის წიალში მყოფი ადამიანის ბუნება გაცილებით აღმატებულია, ვიდრე პირველქმნილი ადამიანებისა, მიწიერ სამოთხეში რომ ცხოვრობდნენ.

* * *

**27 მაისს, სულთმოფენობის დღესასწაულზე მოიხსენიება წმიდა მამანი და დედანი, რომლებიც თურქებმა აჭარაში აწამეს... უსჯულო მტერმა იცოდა, რომ ქართველი ერის განადგურება მხოლოდ ქრისტიანობის აღმოფხვრით შეიძლებოდა, ამიტომ ყოველ ღონეს ხმარობდა აჭარლების გასამაჰმადიანებლად. მან ძალადობას მიმართა, როცა მოტყუებით და ცბიერებით ვერაფერს გახდა.**

ახალციხის მუზეუმის ხელნაწერთა ფონდში დაცული დოკუმენტები შემზარავად აღწერენ ქრისტესთვის თავდადებულთა წამებას...

სახრჩობელები და თავსაკვეთები იყო აღმართული სოფელ აჭარისწყალში, ქედაში, დანდალოში, ჩაქვში, ხულოში, მაჭახელაში და გონიოში.

საქართველოს სამოციქულო ეკლესიამ წმინდანებად შერაცხა ქრისტიანობისთვის აჭარაში მოწყვეტილი მამანი და დედანი.

მოამზადა
**გიული ლიპარტიამ**

**ინფორმაცია**

## ტრაგედია ხელვაჩაურში

**ხელვაჩაურის რაიონის გამგეობის შენობის ნანგრევებში ექვსი ადამიანი მოჰყვა.**

როგორც შემთხვევის ადგილიდან იუწყებიან, ორი მათგანი მძიმედ არის დაშავებული, ოთხი კი – შედარებით მსუბუქად. მძიმედ დაშავებულთა შორის ერთ-ერთი ქალბატონი ნაირა ჭელიძეა.

გამგეობის შენობა გუშინ ჩამოინგრა.

* * *

**ხელვაჩაურის რაიონის გამგეობის შენობის ჩამონგრევის შედეგად დაშავებული ნაირა ჭელიძე და ნაზი მაღრაძე ბათუმის პირველი რესპუბლიკური საავადმყოფოს რეანიმაციის განყოფილებაში გადაიყვანეს.**

ორივე მათგანს თავის არეში მძიმე დაზიანებები აქვს მიღებული. ექიმების განცხადებით, მათი ჯანმრთელობის მდგომარეობა სტაბილურად მძიმეა.

მომხდართან დაკავშირებით პასუხისმგებლობას რაიონის გამგებელი ბადრი შავლიძე ერთ-ერთ თბილისურ სამშენებლო კომპანიას აკისრებს, რომელიც გამგეობის ძველ კორპუსში სარემონტო სამუშაოებს აწარმოებდა.

– შენობის ჩამონგრევის ფაქტს კუდებს ნუ გამოაბამთ, ღვთის რისხვა არ არის, არამედ მუშების დაუდევარი საქციელის შედეგია, – განუცხადა გამგებელმა ჟურნალისტებს. როგორც ცნობილია, რამდენიმე ხნის წინათ ხელვაჩაურში, ფერიის მთაზე მშენებარე ეკლესია დაანგრიეს.

**ინტერპრესნიუსი**

**გვემრავლოს!**

## ინგლისში ნინო დაბადებულა, ცის ნამი ცისფრად ნაკამკამარი

**ზარი ინგლისიდან გაისმა. ამ სიშორიდან მიღებულმა სასიამოვნო ცნობამ გაახარა პაპა და ბებია – ნოდარ და ცისანა ფიროსმანაშვილები.**

– შეგვეძინა გოგონა, დავარქვით ნინო!

სასიხარულო ამბის შემტყობინებლები მალხაზ ნარინდოშვილი და თამარ ფიროსმანაშვილი იყვნენ. მათ ამ ერთი წლის წინათ დაამთავრეს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. მალხაზმა იურიდიული, თამარმა – ჟურნალისტიკა. ჯვარი მცხეთაში, ჯვრის მონასტერში დაიწერეს. ახლა კი ისინი, სწავლის გაღრმავების მიზნით, ინგლისში კოლჩესტერის სასწავლებელში სწავლობენ, ორივემ კონკურსში გაიმარჯვეს. ისინი თავიანთ გოგონასთან ერთად ორ წელიწადში ჩამოვლენ, – გვაცნობა ჩვენმა კორესპონდენტმა დედოფლისწყაროდან ნანა ჭიჭინაძემ.



**ნათელა ფაილოძე**


**განცხადება**

დაიკარგა შავ საქაღალდეში ჩადებული საბუთები. მპოვნელი დასაჩუქრდება.

ტელ: 899 53-22-99.


**კადრი**



**ანეკდოტები**

– **ქალიშვილო**, ყვინთვა გიყვართ?
– ძალიან.
– მაშინ, მოდი, ჩავყვინთოთ საწოლში!

* * *

– **ქალიშვილო**, სვამთ?
– არა.
– საერთოდ არ სვამთ?
– მხოლოდ მაშინ, როდესაც დამისხამენ.



* * *

– **შენ** რა, უსახლკარო მაწანწალა ხარ?
– მე ბოთლების ჩაბარების მენეჯერი ვარ.

* * *

**ირმებს** რქები სქესობრივი მომწიფების შემდეგ ამოსდით.

ზუსტად ადამიანებივით, რაღა!

* * *

– **ჩემი** მიხოს ექსკრემენტები მთელ ინსტიტუტში საუკეთესოდ მიუჩნევიათ, ენაცვალოს ბაბოი!
– ექსპერიმენტები, ბაბოჯან, ექსპერიმენტები!

* * *

**როდესაც** სახელმწიფოს შენგან რამე უნდა, მაშინვე ახსენდება სიტყვები „მოვალეობა“ და „კანონი“, ხოლო როდესაც შენ დაგჭირდება რამე მისგან, იგი იხსენებს სიტყვებს „პატრიოტიზმსა“ და „რიგს“.

* * *

**იმისთვის**, რომ ჩვენი ხალხი ყოველ მხარეს არ აქნევდეს თავს, საჭიროა, რომ მას კისერზე ვინმე აჯდეს.


საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
აიწყო და დაკაბადონდა გამომცემლობა მაქსიმუმში“.
მ. კოსტავას ქ. №14. ტელ: 93-50-22.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემლები
შპს „ახალი საუკუნის“ დამფუძნებელი ჟურნალისტები. მისამართი: კოსტავას ქ. № 14. ტ: 899 537616; 98-96-33.
შპს „თანადგომა -1“ ქიზიყის ქ. № 12. ტ: 899 797679; 98-96-32.

იბეჭდება გამომცემლობა „კოლორის“ სტამბაში, რკინიგზის ჩიხი, 20.

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
მორიგე რედაქტორი
ვილენ მარდალეიშვილი

ინდექსი 66434,
მისამართი: 0108, თბილისი,
მ. კოსტავას ქ. №14.
მთავარი რედაქტორი: 98-96-34.
მთავარი რედაქტორის მოადგილეები: 98-96-33.
სარეკლამო განყოფილება: 98-96-32; 899 328576



რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. წერილებში მოყვანილი ფაქტების უტყუარობაზე პასუხს აგებენ ავტორები, რომელთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

ავტორებს ვთხოვთ, კომპიუტერზე ანაწყობ 2-2,5 ნაბეჭდ გვერდზე მეტი მოცულობის სტატიებს ნუ შემოგვთავაზებენ.